

ვიოლე  
გოგოლაძევილი



„განი  
დგდათ  
გზისა“

გიორგი გოგოლაშვილი

საქართველო  
და  
საქართველო

4

საქართველო  
და  
საქართველო

**„ერი დედა ენისა“ –**  
(ფიქრები პაპა-ფაქაქაძეზე)

თბილისი 2020

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი  
არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების  
ინსტიტუტი

„ენა და მწერალი“ ჩემი ფოლოლოგიური ცხოვრების თანამდევია თემა. გადავწყვიტე, წიგნაკების სახით წარმომედგინა მკითხველისათვის ჩემი ნაფიქრი ჩემთვის ძვირფას მწერლებზე... წინა შეხვედრებში დავით კლდიაშვილის, მუხრან მაჭავარიანისა და ანა კალანდაძის შესახებ ვისაუბრეთ...

ამჯერად ვაუა-ფშაველას ენობრივ სამყაროსთან მიახლებას შევეცდებით...

რედაქტორი **რუსუდან ლანდია**

ტექნიკური რედაქტორი **ლევან ვაშაკიძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა **რუსუდან გრიგოლიასი**

გარეკანი **ნინო ებრაღიძისა**

## შინაარსი

წინათქმა .....	5
1. ქართული სალიტერატურო ენა XIX საუკუნის მეოთხე ოცწლეულში (ანუ: აკაკიდან ვაჟამდე) .....	7
2. „ერი დედაა ენისა“ .....	25
დანართი პარაგრაფისათვის (საინტერესო ფაქტი) .....	36
3. რაფიელ ერისთავი და რაზიკაშვილები .....	38
4. ვაჟა-ფშაველა ქართული ენობრივი სივრცის შესახებ.....	49
5. ზოგადად ტერმინთა და ცნებათა ურთიერთმიმართე- ბისათვის .....	56
6. „ვინ არის ნიჭიერი მწერალი?“ .....	61
7. ვაჟა-ფშაველას ენის პრობლემა ლიტერატურულ სამყაროში.....	69
ა) ვითარება 1915 წლამდე .....	69
ბ) ვითარება 1915 წლის შემდგომ .....	100
8. შენიშვნები დიალექტიზმების თაობაზე ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში .....	120
ა) ზოგადი საკითხები.....	121
ბ) დიალექტიზმების თაობაზე პროზაში, პუბლიცის- ტიკასა და დრამატურგიაში .....	135
გ) დიალექტიზმების შესახებ პოეზიის ენაში (ლექსები) .....	144
დ) დიალექტიზმების შესახებ – პოეზიის ენაში (პოემები) .....	150
9. ანა კალანდაძის გაკვეთილი .....	161

## ენა და მწერალი

1. „შეენებით სავსე ქართული“ (ფიქრები დავით კლდიაშვილზე) – 2019
2. „ქართული ქართველთ რწმენა“ (ფიქრები მუხრან მაჭავარიანზე) – 2019
3. „ენა – ბედისწერა“ (ფიქრები ანა კალანდაძეზე) – 2019
4. „ერი დედაა ენისა“ (ფიქრები ვაჟა-ფშაველაზე) – 2020

გაგრძელება იქნება...

## წინათქმა

ვაჟა-ფშაველა მოღვაწეობას იწყებს XIX საუკუნის 70-80-იანი წლების მიჯნაზე. არცერთი ქართველი მწერლის გამოსვლას სამწერლო ასპარეზზე არ მიუპყრია ისეთი ყურადღება, არ გამოუწვევია ისეთი მკვეთრი რეაქცია, როგორც ვაჟას გამოჩენამ შეძლო... უპირველესად ეს რეაქცია მწერლის ენობრივმა პოზიციამ გამოიწვია... გენიოსის შემოსვლა გენიოს ილია ჭავჭავაძეს ასე შეუფასებია: „ახლა ჩვენ ძველებმა კალამი უნდა დავდვათ და გზა ვაჟას დავუთმოთ“; დიდ ილიას ვაჟას ენაზე ყურადღება არ გაუმახვილებია, მაგრამ...

თუმცა მოდით, მივყვით მოვლენათა განვითარებას...

სანამ უშუალოდ ვაჟა-ფშაველას პოზიციის შესახებ ვისაუბრებთ, ის ვთქვათ, როცა ვაჟა შემოდის ქართულ მწერლობაში, რა ხდებოდა ენობრივ ასპარეზზე... რატომ მიექცა ასეთი ყურადღება მის ენას...

XX საუკუნის დასაწყისში კონსტანტინე გამსახურდია წერდა: „**ვაჟა, როგორც ენობრივი მოვლენა, დღესაც შეუსწავლელია**“...

XX საუკუნის დასასრულს თამაზ ჩხენკელმა თქვა: „ვაჟას შემოქმედება **ჯერ არ არის საკადრისად შესწავლილი და შეფასებული... ვაჟა მომავლის პოეტია**“... ცხადია, აქ ვაჟას ენობრივი სამყაროც იგულისხმება...

XXI საუკუნის დასაწყისია... რა გაკეთდა დღეისათვის ვაჟას ენობრივი სამყაროს შესაცნობად?

აი, ამ თემაზე გვინდა ვისაუბროთ და ჩვენი მოკრძალებული აზრი გავუზიაროთ მკითხველს... ამ ნარკვევს „**ფიქრები**“

ვაჟა-ფშაველას შესახებ“ დავარქვი... ალბათ „ფიქრები“ ყველაზე მეტად შეეფერება ამ ნაშრომს:

ვაჟა ერთგან წერს: „**კაცს რომ ფიქრი არ ჰქონდეს, შენი მტერი, რომ კაცის ყოფნა იქნებოდა წუთისოფელში.** მაშინ ხომ ველარც ენა იენავებდა და დამუნჯდებოდა მთელი კაცობრიობა. სიმართლით რომ ვთქვათ, ენა უფრო ცოდვიანია ფიქრზე; **ფიქრს რა ცოდვა აქვს, მანამ საქმედ არ გადაიქცევა? არაფერი**“ (IX. 129<sup>1</sup>). ჰოდა ამიტომაც დავარქვი **ფიქრები** (ფიქრს რა ცოდვა აქვსო!)... სხვათაშორის **ფიქრები** ვაჟას არაერთ წერილსაც ალბათ ამიტომ ჰქვია...

---

<sup>1</sup> ეს ნარკვევი ეფუძნება ვაჟა-ფშაველას თხზულებათა სრული კრებულის ანტომაულს: „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1964 წ. ვიმოწმებთ ტომს და გვერდს.

1. ქართული სალიტერატურო მნა XIX  
საუკუნის მმითხე ოცფლელში  
(ანუ: აპაკიდან ვაჟამდე)

როცა ვაჟა-ფშაველაზე საუბრობენ და მის ენობრივ პოზიციას შეეხებიან, უპირველესად აკაკი წერეთლის ლექსს გაიხსენებენ – „ენას გიწუნებენ, ფშაველო“... და ზშირად იწყება განსჯა – ამ პოეტურ პოლემიკაში რომელი იყო მართალი – აკაკი წერეთელი თუ ვაჟა-ფშაველა. ამ პაექრობის პერიპეტეებს მოგვიანებით მიმოვიხილავთ უფრო დაწვრილებით; აქ წინასწარ იმას აღვნიშნავთ, რომ ეს ლექსები 1913 წელს გამოქვეყნდა – ამ გენიოსთა ცხოვრების ბოლო პერიოდში. არადა, ვაჟას (უფრო სწორად რაზიკაშვილების) ენობრივი პოზიციის მიმართ აკაკის უარყოფითი დამოკიდებულება 1899 წელს გამოქვეყნდა („ბიბლიოგრაფიული შენიშვნები“...)... თუმცა არც ეს იყო პირველი კრიტიკა ვაჟას ენისა: 1888 წელს „ივერიაში“ დაიბეჭდა პ. მირიანაშვილის წერილი, რომელშიც საკმაოდ მკაცრად იყო შეფასებული ვაჟა-ფშაველას ენა... ეს იყო პირველი საჯარო „საყვედური“ ვაჟას მიმართ მისი ენობრივი პოზიციის გამო... გერონტი ქიქოძე იმასაც იხსენებს, რომ ვაჟა-ფშაველას სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლისთანავე „ყოველი მისი ახალი თხზულება აღტაცებას იწვევს ტფილისის გემოგახსნილი და მოწინავე ლიტერატორების ვიწრო წრეში; მაგრამ ამავე დროს გაზეთ „ივერიას“, სადაც მისი ნაწერები იბეჭდება უმთავრესად, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოდან მოდის ერთპიროვნული ან კოლექტიური მუქარის წერილები: შეწყვიტეთ ვაჟა-ფშაველას ნაწერების ბეჭდვა,

თორემ გაზეთის გამოწერაზე უარს ვიტყვითო. ეს არალოიალური და მტრული განწყობილება ვაჟასადმი შემდეგაც კარგახანს არ შეცვლილა: მან ჯერ თავი იჩინა თვით „ივერიის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელის – მეველის – ყოვლად უდიურ გალაშქრებაში ვაჟას წინააღმდეგ 1894 წელს, ხოლო უკანასკნელ დროს აკაკის ცნობილ ლექსში, რომელშიც ვაჟას ენა იყო დაწუნებული და რომელმაც ვაჟას მხრივ რაინდული და თავდაჭერილი პასუხი გამოიწვია“... როგორც ვთქვით, ამ პოლემიკებს ქვევით მიმოვიხილავთ...

ფაქტი ერთია: თითქმის ერთდროულად გამოვიდნენ სამოღვაწეო ასპარეზზე ალექსანდრე ყაზბეგი, ეგნატე ნინოშვილი, დავით კლდიაშვილი და რაზიკაშვილები... დიალექტიზმების გამოყენების თვალსაზრისით არცერთ მათგანს არ დაუმსახურებია ისეთი კრიტიკა, როგორიც – რაზიკაშვილებს; არადა, სხვებიც არანაკლებ „სცოდავენ“ სალიტერატურო ენის მიმართ... ეს ერთი მხარეა პრობლემისა და, მეორე მხრივ, საგულისხმოა გააზრება იმ ენობრივი სიტუაციისა, რომელიც ვაჟა-ფშაველას მოღვაწეობას უსწრებდა წინ; სხვაგვარად: რა ვითარებაა ენობრივ ასპარეზზე? რატომ ვერ ეგუება ერთმანეთს აკაკისა და ვაჟას თვალთახედვა?...

\* \* \*

რა ხდება დედაენის სამყაროში (ქართული სალიტერატურო ენის სამყაროში) სამოღვაწეო ასპარეზზე აკაკის გამოსვლიდან ვაჟას გამოჩენამდე...

ანუ: რა ვითარება იყო, როცა აკაკი გამოვიდა ასპარეზზე და რა ვითარება – როცა ვაჟა შეუდგა სამწერლო მოღვაწეობას...

ანუ: აკაკიმ და მისმა თაობამ სალიტერატურო ენას როგორ უპატრონეს და როგორ შეამზადეს ვაჟას ასპარეზი...

მოდით, ასე ვთქვათ: აკაკი წერეთელი, თანამებრძოლებთან ერთად, ორი ათეული წელი იბრძოდა იმისათვის, რომ ვაჟას თაობას ქართული სალიტერატურო ენის ასპარეზი მეტნაკლებად მოწესრიგებული დახვედროდა...

\* \* \*

XIX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისს, აი, ასე ახასიათებს თედო სახოკია: „ეს ის დრო იყო, როდესაც მშობლიური ენა დევნილი იყო სკოლებში, პატივყარილი – ოჯახებში. არისტოკრატობას ერცხვინებოდა ქართულად ხმის ამოღება, თავმოსაწონად მიაჩნდა რუსულად ლაპარაკი, თითზე ჩამოსათვლელი ინტელიგენცია რუსულად ფიქრობდა, რუსულადვე მეტყველებდა... ქართული ენის შესასწავლად ორგვერდიანი ქართული ანბანი არსებობდა... და აი, ასეთს „განწირულს დროს გამოდის ი. გოგებაშვილი“...

თუმცა იაკობ გოგებაშვილი მოღვაწეობას იწყებს კიევიდან დაბრუნებისთანავე, 1863 წელს...

მანამდე, 1861 წელს ილია ჭავჭავაძე ბრუნდება პეტერბურგიდან და აქვეყნებს წერილს „ორიოდე სიტყვა რევაზ შალვას ძის ერისთავის მიერ კოზლოვიდგან „შეშლილის“ თარგმანზედ“... ეს ცნობილი ფაქტია: ამ სტატიით დაეღო სათავე ე. წ. „თაობათა ბრძოლას“ – „მამათა და შვილთა ბრძოლას“... ერთ-ერთი მთავარი თემა ამ „ბრძოლისა“ ენა იყო; გვანხოვს, რა თქმა უნდა, ილიასეული შეგონება: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ უპატრონებთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას?... ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს!...“

რატომ კეთდება ასეთი აქცენტი **ენაზე?** – მიაჩნიათ, რომ **ენის გადარჩენა – ქვეყნის გადარჩენაა!**...

მოდით კითხვა ასე დავსვათ: ცოტა გადაჭარბებული ხომ არ არის ეს შეფასებანი, ეს განგაში? – არა:

საქართველოს სახელმწიფოებრიობის ხანგრძლივ ისტორიაში XIX საუკუნე იყო დრო, როცა **ქართულმა ენამ დაკარგა სახელმწიფო ენის ფუნქცია...** ასეთი ბედი არ რგებია ქართულ ენას არც სპარსელების, არც არაბების, არც მონღოლების, არც ოსმალების მიერ ქვეყნის უმძიმეს პოლიტიკურ ვითარებაში ჩაყენების შემთხვევაშიც კი...

და ეს იყო XIX საუკუნეში...

ცხადია, ქართველობა მშვიდად არ შეხვედრია ამ უბედურებას: საუკუნის გარიჟრაჟზე იწყება დაპირისპირება მომხდურ ძალასთან, ბრძოლა ენისა და ერის გადარჩენისათვის (გავიხსენოთ 1804 წლის მთიულეთის აჯანყებიდან 1832 წლის შეთქმულებამდე და მერეც...)... თუმცა 40-იანი წლებიდან მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა...

და აი, 60-იან წლებში ასპარეზზე გამოდის თაობა, რომლის ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენელიც აკაკი წერეთელია!...

ვთქვით: 1861 წელს ილია ბრუნდება საქართველოში და აქვეყნებს თავის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სტატიას... 1863 წელს იაკობი ჩამოდის სამშობლოში და სკოლას მიაშურა (სკოლა დედაენას გადაარჩენს... დედაენის გადარჩენა ქვეყნის გადარჩენის საწინდარია!).

და **სწორედ ამ დროს ასპარეზზე შემოდის აკაკი წერეთელი...**

\* \* \*

როგორც ითქვა, XIX საუკუნის შუახანებია; ვითარება ურთულესია: **ერთი მხარე** დედაენის ძნელბედობისა – ესაა იმპერიული ენობრივი პოლიტიკის უღმობლობა!

**მეორე მხრივ** – ანტონ კათალიკოსის სამი სტილის ბატონობა... ესეც ცნობილი ფაქტია – ანტონ კათალიკოსმა თავისი უდიდესი ავტორიტეტისა და შეუდარებელი ნიჭის წყალობით შეძლო ქართული სალიტერატურო ენის განვითარებისათვის თავისი (ანტონისეული) გეზი მიეცა... ამ თემაზე ლიტერატურა საკმაოდ მრავლადაა, ამიტომ აღარ განვაგრძობთ საუბარს; ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ მიზანი ანტონისა კეთილშობილური იყო – **სურდა ქართული სალიტერატურო ენის გამრუდებული გენერალური ხაზი გაესწორებინა**; შედეგი სავალალო აღმოჩნდა: ერთიანი ქართული სალიტერატურო ენის ნაცვლად მივიღეთ სამეგარი ტიპის სამწერლობო ენა – მაღალი სტილის, საშუალო სტილის და დაბალი სტილის. ვითარება ასეთი ისახებოდა: მაღალი სტილით უნდა შექმნილიყო საღვთისმეტყველო და სამეცნიერო ხასიათის ლიტერატურა; საშუალო სტილით – საისტორიო ხასიათის თხზულებანი; დაბალი სტილით – საყოფაცხოვრებო ხასიათის ლოკუმენტები... ლიტერატურაში ეს თეორია ასე ლაგდებოდა: მაღალი სტილი – ტრაგედიის ენა, საშუალო სტილი – დრამის ენა, დაბალი სტილი – კომედიის ენა (XIX ს-ში გ. ერისთავის კომედიები სწორედ ამ პრინციპითაა შექმნილი და, როგორც ჩანს, რევაზ ერისთავის თარგმანიც...). მაღალი სტილის ჩამოყალიბებაში ანტონი აქტიურად ჩაერია. მისი სამეცნიერო და საღვთისმეტყველო შრომები სწორედ ამ „ენით“ დაიწერა. მან ორიენტაცია აიღო ძველ ქართულ ენაზე – სასულიერო მწერლობის ენაზე, არადა XVIII საუკუნეა... ძველი ქართული სალიტერატურო ენის ძირითადი ნორმები უკვე დიდი ხნის ჩაბარებული იყო წარსულს... მოხდა მცდარი ინტერპრეტაცია ამ ნორმებისა და მივიღეთ ფაქტობრივად ხელოვნური სალიტერატურო ენა (ანუ „მაღალი სტილის“ ენა)... ვიმეორებთ: მთავარი შეცდომა ის იყო, რომ საყრდენად არ გამოიყენებოდა საერთო-სახალხო ენა... ხოლო თუ როგორი იყო იმდროინდელი საერთო-სახალ-

ხო ენა, ამის ნიმუშად მეტ-ნაკლებად დავით გურამიშვილის პოეზია გამოგვადგება... ხოლო როგორი იყო ანტონის მაღალი სტილით დაწერილი თხზულებანი, ამის კარგი მაგალითია თუნდაც ანტონისავე „ქართული ღრამმატიკა“... ეს ცნობილი თემაა და მსჯელობას ადარ განვაგრძნობთ...

ასე რომ, ანტონ კათალიკოსისეული რეფორმა წარუმატებელი აღმოჩნდა: არ მოხდა ქართული სალიტერატურო ენის გამრუდებული მაგისტრალური ხაზის გასწორება... პირიქით – **კიდევ უფრო დამძიმდა ვითარება სალიტერატურო ენის ასპარეზზე...**

ანტონის თეორია მისი ავტორის დიდი ავტორიტეტის წყალობით თითქმის ერთი საუკუნე ბატონობდა... ეს მარტო ანტონის ავტორიტეტის წყალობა არ უნდა იყოს – განათლებულ საქართველოში მოთხოვნა იყო „მართლუბნობისა და წესიერწერისა“ (გავიხსენოთ ანტონისეული შეგონება: „არა-რა მოყუარება სიბრძნისა იქმნების თუნეერ მართლუბნობისა და წესიერ წერისა!“)...

ჰოდა, ანტონი იყო ორიენტირი მართლუბნობისა და წესიერწერისა XIX საუკუნის შუახანებშიც...

ასე რომ, სალიტერატურო ენის **ასპარეზზე აკაკი წერეთლისა და მისი თაობის** გამოსვლის ჟამს ეს ორი დიდი პრობლემა იდგა – **ერთი მხრივ** – იმპერიული ენობრივი პოლიტიკის უღმობლობა და, **მეორე მხრივ** – ანტონ კათალიკოსის „სამი სტილის“ თეორიის ბატონობა...

და ქართული სალიტერატურო ენის ასპარეზზე შესაბამისად ორი ფრონტი გაიხსნა სწორედ 60-იან წლებში...

\* \* \*

ლიტერატურულ საქმიანობას – ლექსების გამოქვეყნებას – აკაკი წერეთელი 1859 წელს იწყებს „ცისკარში“: ჟურნალ „ცისკარის“ მე-9 ნომერში იბეჭდება ლექსი „ნავი“, მე-10 ნომერში –

მერში – ლექსი „ქართლის სალამო“ ინიციალით „წ“ ხელმოწერილი... როგორც ჩანს, ჟურნალის რედაქტორი ცუდად ერევა ლექსში: „მე და კერესელიძე როგორღაც ვერ მოვეწყვეთ. ლექსები წამიხდინა, თავისებურათ გადააკეთა“ – დაიჩვილებს აკაკი დედისადმი გაგზავნილ წერილში... ლექსში „ქართლის სალამო“ ასეთი სტროფიც ჩაუმატებია რედაქტორს:

„ჭხედავ რუსეთსა? რუსეთს შენს მხსნელსა?

ვით ზრუნავს შენთვის, გიმართავს ხელსა?

ეცადე ნაცვალს, და მოთმინებას

შენ ნუ აკმარებ მას ცარიელსა“... ცხადია, ასეთი ჩარევა პრინციპულად მიუღებელი იყო აკაკისათვის...

ლექსი „შამილის სიზმარი“ არ დაუბეჭდეს; აკაკი ამ ფაქტს ასე ხსნის: „არ ვიცი, რათ არ დაიბეჭდა, მგონია შეშინდა, ცოტა თავისუფლათ იყო დაწერილი“... თუმცა, როგორც ჩანს, მხოლოდ იდეური პრობლემა არ ყოფილა. აკაკი იგონებს: ივანე კერესელიძემ „სხვათა შორის მითხრა, რომ შენი უკანასკნელი ლექსი, „შამილის სიზმარი“ ძალიან მომწონსო, ეფრემ მღვდელსაც მოეწონა, ცენზორსაც, მაგრამ ჯერ მაინც ვერ დაგებეჭდავო...“

– რატომაც? ცენზორ...

– გრიგოლმა (გ. ორბელიანი – გ. გ.) არ ქნა. **ნამეტანი გამბედავად არის დაწერილი და კილოც იმერულიაო.** ჯერ არ მინდა, რომ ვაწყენინო და მერე კი უთუოდ დაგებეჭდავო...“

მივაქციოთ ყურადღება: იმთავითვე ორი კუთხით უყურებენ აკაკის ლექსებს – გაბედულიაო (ე. ი. იდეოლოგიურად მიუღებელი) და ხალხურ კილოზეა დაწერილიო (კილო იმერულიაო...)...

ისიც გაავითვალისწინოთ, რომ ერთ-ერთ შემფასებელ-დამფასებელი გრიგოლ ორბელიანია, რომელიც მოგვიანებით აქტიურად ჩაერთო „მამათა და შვილთა“ ბრძოლაში და „მამათა“ მხარეს დადგა!...

ჯერ 1859 წელია...

1860 წელს „ცისკარში“ (№1) იბეჭდება აკაკის ლექსი „საიდუმლო ბარათი“. ეს იყო პირველი ლექსი, რომელსაც აკაკის სახელი და გვარი მოეწერა სრულად:

„საიდუმლო ბარათო!

გითხრეს: „ექმენ მარადო

სიხარულის მომნიჭედ

და სევდისა ფარადო“...

აკაკი წერეთელს შეატყობინეს: „პლატონ იოსელიანს, რომელიც ქართულს ასწავლის ნამესტნიკ ბარიატინსკის, გადაუთარგმნია მისთვის ეს ხელნაწერი და შენი ვინაობაც მოუხსენებია. ბარიატინსკის ძალიან მოსწონებია და უბრძანებია, რომ დაებეჭდათ და ავტორის სახელი და გვარი მოეწერათ“...

ამ ლექსის „კილოს“ საკმაოდ სერიოზული მითქმა-მოთქმა გამოუწვევია. ანჩისხატის ლეკანოზს ეფრემს მიუწერია პოეტისათვის: „გილოცავ მეშაირობას და თანვე გთხოვთ, მამაშვილობას, ამისთანა ლექსებს მდაბიო ენით ნუ სწერ! დარბაისლური ენა ეჭირვება და შენ-კი რაღაც სოფლურ ენითა სწერ. და ეს მით უფრო საშიშია, რომ შენი ლექსი ყველას გულში ხვდება, გამოსვლისთანავე სასიძღვრო ლექსათ გადაიქცა, განსაკუთრებით ქალები იძღვრიან, და ვაი თუ მაგ შენ ენას მიეჩვიონ და გადიგდონ გულიდან ძველი დარბაისლური ქართული“.

ცხადია, „დარბაისლური ენა“, „ძველი დარბაისლური ქართული“ „მაღალი სტილის“ ქართულია; „მდაბიო ენა“, „სოფლური ენა“ „დაბალი სტილის“ ენაა...

თავად ირაკლი ლორთქიფანიძესაც ამგვარივე თხოვნით მიუმართავს აკაკისათვის – „ძველი ენით წერეო“...

1860 წელია...

„ჩემს თავგადასავალში“ აკაკი ამ ფაქტის გამო ასეთ რამეს დაწერს: „ამ წერილებმა, ცოტა არ იყოს, გამაყოფოჩეს. ცხრამეტი წლის ახალგაზრდას, სულსა და გულს მიტკობდა უფრო ის, რომ „ქალები იმღერიანო“. და მეც გადავწყვიტე, რომ თავი დავუდვა მწერლობას. მაგრამ **სახალხო ენით და არა დარბაისლურად ვწერო**“...

ფაქტობრივ, ეს არის ბრძოლის დასაწყისი იმ ფრონტზე, ზემოთ რომ ვთქვით – ანტონ კათალიკოსის დამკვიდრებული ტრადიციის წინააღმდეგ...

სწორედ ამ ფრონტზე მთავარი მოვლენა ილიას წერილი იყო, „ორიოდე სიტყვა“, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკრის“ 1861 წლის მე-4 ნომერში. ეს იყო ფაქტობრივ XIX საუკუნის 60-იანი წლების **ენობრივი რეფორმის დასაწყისი** – საკმაოდ ფართომასშტაბიანი შეტევა არსებულ ენობრივ ვითარებაზე.

ამ რეფორმის პერიპეტიები კარგადაა ცნობილი. მთავარი დევიზი ამ რეფორმისა ასეთი იყო: **სალიტერატურო ენა უნდა იყოს ერთი და იგი უნდა ემყარებოდეს საერთო-სახალხო ენას.**

ილიას ამ პირველი წერილის საპასუხოდ იმავე „ცისკარში“ დაიბეჭდა ბარბარე ჯორჯაძის, გიორგი ბარათოვის, რევაზ ერისთავის წერილები... შემდეგ ილიას წერილი „პასუხი“ (დაიბეჭდა „ცისკრის“ 1861 წლის მე-6 ნომერში)... განხეთქილება თაობათა შორის ამ წერილმა კიდევ უფრო გააღრმავა. იბეჭდება სარდიონ ალექსი-მესხიშვილის, ბარბარე ჯორჯაძის, ეფთვიმე წერეთლის საპასუხო წერილები... ამის საპასუხოდ გამოქვეყნდა სამი წერილი – „სამი თერგდალეულისა“ (ვარაუდობენ – კირილე ლორთქიფანიძისა, გიორგი წერეთლისა და აკაკი წერეთლისა) და ა. შ. ...

ვიძიებრებთ, ეს იყო **„დარბაისლური ქართულის“** დამცველთა შეტევა **„მდაბიური ქართულის“** მქადაგებელთა წინააღმდეგ...

ეს არ იყო შემთხვევითი შეტევა ახალთაობისა სამი სტილის თეორიაზე. ილია ჭავჭავაძე ასე განმარტავს „პასუხში“: „ნურავინ ნუ გაიფიქრებს, რომ არ მესმოდეს დიდი მნიშვნელობა ანტონ კათალიკოზისა. ანტონი დიდ ალავს დაიჭერს ჩვენს ლიტერატურაში, როგორც წარმომადგენელი იმ დროის საქართველოს განათლებისა, მაგრამ ეხლა რომ პოეზიის განხილვა იმ დროის კანონებით მოვინდომოთ, ძალიან შეეცდებით“...

მოკლედ, „ხალხია ენის კანონის დამდები და არა ანბანთთეორეტიკაო“ და სწორედ ნო-იანი წლებიდან დაიწყო **საერთო-სახალხო ენის საფუძველზე – ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბება.**

ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და სხვანი – „თერგდალეულნი“...

ვთქვით: 1863 წელს დაბრუნდა საქართველოში იაკობ გოგებაშვილი – ერთ-ერთი მთავარი ძალა სალიტერატურო ენის ასპარეზზედ...

ჩვენ ვსაუბრობთ – ქართული სალიტერატურო ენის ხალხურობის პრინციპზე...

მაგრამ ქართულს რომ ებრძვიან საერთოდ?

„ცისკრის“ 1862 წლის მე-5 ნომერში იბეჭდება აკაკის საპოლემიკო წერილი „ახირებული ფურცელი“ (ეფთვიმე წერეთლის საპასუხოდ). ამ წერილში ჩართულია ლექსი „ჭრელაძეებს“, რომელიც შემდგომში ცალკე ლექსადაც დაიბეჭდა:

„ქართულზედ რომ ხელს იღებენ,  
ველარც რუსულს ახერხებენ,  
ულვაშებს ემტერებიან,  
რუსულად ბაკებს უშვებენ...  
ქართულ ენას არად ხდიან,  
შვილებს რუსულადა ზრდიან,  
ტრეტიაკოვსკის აქებენ

და რუსთველს კი დასცინიან.  
ეს გახლავან ჭრელაძენი,  
საქართველოს ფუჭნი ძენი,  
უსწავლელნი სწავლულები,  
კოტრი-კრეზნი, სულელ ბრძენნი“...

თელო სახოკიას მიერ აღწერილი ვითარება გავიხსენოთ ზემოთ რომ მოვიყვანეთ: „ეს ის დრო იყო, როდესაც მშობლიური ენა დევნილი იყო სკოლებში, პატივყარილი – ოჯახებში“... და სხვანი... ეს „ჭრელაძეების“ დროა და სწორედ ამას უცხადებს ბრძოლას ახალთაობა...

არ იყო იოლი ორ ფრონტზე ბრძოლა... ის მეორე ფრონტი („მამათა და შვილთა“ ბრძოლა მაქვს მხედველობაში), მართალია, 70-იან წლებში გამწვავდა, მაგრამ, შეიძლება ითქვას, რომ არ იყო იმდენად საშიში: მათ, ორივე მხარეს, მაინც ერთი მიზანი ამოძრავებს: „რა ენა წახდეს, ერიც დაეცესო“ – იტყვის გრიგოლ ორბელიანი; „მტურობა ენის არს მტურობა ქვეყნისაო“ – კვერს დაუკრავს ილია ჭავჭავაძე...

გაცილებით პრობლემური პირველი ფრონტია – ბრძოლა ქართული ენის მიერ ღირსეული ადგილის მოპოვებისათვის განათლებისა და კულტურის სფეროში...

ფუძნდება ქართული პრესა; იბრძვიან ქართულ ენაზე სწავლებისათვის; იხსნება ქართული სკოლები...

ვიმეორებთ – ეს ყოველივე ცნობილია...

აკაკი წერეთელი ორივე ფრონტზე ბრძოლის სათავეშია!... ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებისა და დამკვიდრების საქმეში განუსაზღვრელია იაკობ გოგებაშვილის როლიც. **აკაკი წერეთელს მოვუსმინოთ:** „მთელ საქართველოში იაკობ გოგებაშვილი ერთადერთი მოღვაწეა, რომელიც თავისი შრომით და ენერგიით, თავისი მძლავრი კალმის ნაწარმოებით უდიდეს სამსახურს უწევს ქართველობას. იაკობის მიერ შედგენილი ქართული სახელმძღვანელოებით მოფე-

ნილია მთელი საქართველო. ვინაა ისეთი ქართველი, რომ იაკობ გოგებაშვილის „დედა-ენაზე“ არ აეხილოს თვალები. ჩემი და ილიას ღვაწლი რა მოსატანია იმ დიდ ღვაწლთან, რომელიც იაკობ გოგებაშვილს მიუძღვის ქართველი ერის წინაშე... იაკობ გოგებაშვილმა ქართველ ხალხს ქართული ენის სიტკბოება ყურში ჩააწვეთა, ქართველ ხალხს ქართული ენა შეაყვარა. განა ეს პატარა საქმეა! იაკობ გოგებაშვილი ღირსია, რომ ქართველმა ხალხმა სიცოცხლეშივე ძეგლი დაუდგას“...

**ახლა იაკობ გოგებაშვილს მოვუსმინოთ:** „...მე ღირსი არა ვარ იმ ქება-დიდებას, რომელიც თქვენ მომიძღვენით; მე ქართველი ხალხისთვის ბევრი არაფერი გამიკეთებია, მაგრამ თუ მართლა რაღე გავუკეთე ქართველ ხალხს, მე ეს **გავაკეთე ილია ჭავჭავაძის დახმარებით და ხელშეწყობით**. მე როდესაც შევეცადე საქართველოს შელახული უფლებების, კულტურის და ენის დაცვა, ყვავ-ყორნებით შემომესიენ პედაგოგების ქურქში გახვეული რუსი მოხელეები. ჩემდა სამწუხაროდ, ამათ გვერდში ამოუდგნენ ზოგიერთი გამყიდველი, ფულისა და ჩინმედლების მოყვარული ქართველები და, აი, სწორედ იმ დროს, როდესაც ესენი თავს მესხმოდნენ, ჩემი ერთ-ერთი იმედი, მფარველი და ნუგეშის მომცემი ილია ჭავჭავაძე იყო. ილია ჭავჭავაძე მუდამ ლომივით ესხმოდა თავს და ანიავებდა კატკოვს, იანოვსკის და ყველა იმათ, რომლებიც სხვადასხვა სახის მოჭორილი ამბებით ცდილობდნენ შეებღალათ საქართველოს საუკეთესო წარსული, ქართველი ხალხისათვის პირიდან ამოეგლიჯათ თავისი საყვარელი მშობლიური ქართული ენა და მოესპოთ ქართველი ხალხის ყოველგვარი კულტურული მონაპოვარი, რომლითაც ის ერთ დროს ამაყობდა და ეხლაც ამაყობს“...

იმავე სიტყვაში იაკობი აკაკისაც უხდის მადლობას: „ამ საქმეში აგრეთვე **დიდი დამსახურება მიუძღვის საქართველოს ბუღბუღს აკაკი წერეთელს**, რომელიც ჩემი სახელმძღვანე-

ლოების „დედა-ენისა“ და „ბუნების კარის“ შედგენაში მუდამ აქტიურად მენმარებოდა, ხელს მიწყობდა და მიგერიებდა ყველა იმათ, რომლებიც წინააღმდეგი იყვნენ ჩემი სახელმძღვანელოების საქართველოს სკოლებში გავრცელებისა“...

როგორც აკაკი, ისე იაკობი საკმაოდ ზუსტად ახასიათებენ იმჟამინდელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ (ეროვნულ!) ვითარებას და გამოკვეთენ ილიას, აკაკის და იაკობის როლს ეროვნული საქმის გამარჯვებაში. იაკობმა ორი გვარი ახსენა – კატკოვი და იანოვსკი... ვინც იცის XIX საუკუნის ისტორია საქართველოსი, დამემოწმება, არ იყო იოლი მათთან გამკლავება, მაგრამ ეს შეძლო ამ სამეულმა... თუ რის ფასად, შეიძლება წარმოვადგინოთ თუნდაც დიდი ივანე ჯავახიშვილის მიერ იანოვსკის დახასიათებიდან: „იანოვსკიზე დაუძინებელი მტერი არ ჰყოლია ქართულ ენასო“... არადა, ისტორია ქართველი ერისა ივანე ჯავახიშვილმა იცოდა... იანოვსკისთან ბრძოლა ცალკე თემაა... ასევე ბრძოლა უამრავ შინაურ თუ გარეშე მტერთან... და ასე იმარჯვებდა ქართული საქმე; **იბრუნებდა თავის კუთვნილ ადგილს საქართველოში ქართული ენა...**

აკაკი იტყვის: „ვინ არ იცის, რომ **ჩვენი ბედისწერა განათლებაზედ არის დამოკიდებულიო**“ და იმთავითვე, 60-იანი წლებიდან უმთავრეს მიზნად მშობლიურ ენაზე განათლების მოწყობა იქცა... ეროვნული სკოლის ჩამოყალიბება... ქართული სახელმძღვანელოების შედგენა... მეწინავე დროშა იაკობმა აიღო ხელთ... „ქართული ანბანი“ (1865), „ბუნების კარი“ (1868) „დედა-ენა“ (1876)... ეს ეპოქალური მნიშვნელობის შენაძენია ქართული საგანმანათლებლო სივრცისათვის...

**ერთიანი ქართული სალიტერატურო ენა** მთავარი პრობლემა იყო... მთავარი საზრუნავი იყო... ილია, აკაკი, იაკობი საერთო ძალით იბრძვიან ამ პრობლემის გადასაჭრელად, მაგრამ მაინც გვაქვს პრინციპული განსხვავებები: ილიას „თავისი ენა“ აქვს, აკაკის – „თავისი ენა“... და იაკობის სახელმძღვანელოების

ნელოებმა იტვირთა გამაერთიანებელი ფუნქცია; მოგვიანებით იტყვის: „ჩემი მართლწერა (...) მიმაჩნია ქართულ ლიტერატურულ მართლწერად, რომელსაც მისდევდნენ ბოლოს დრომდე საზოგადოდ ქართველი მწერლები იმერნი და ამერნი, ყველა ჩვენბური პერიოდული გამოცემანი აღმოსავლეთის და დასავლეთის საქართველოსა“.

იაკობი თავის „ქურაში ატარებდა“ ილიას ნაწერებსაც და აკაკის ნაწერებსაც... წერს: „აკაკის ხელთნაწერი ჩვენ ხელუხლებლივ ვერ დავბეჭდეთ. მასში ჩვენ, თანახმად პედაგოგური მოთხოვნებისა და ბავშვის ფსიქიკისა, მოვახდინეთ შიგა და შიგ ზოგიერთი ცვლილებანი“ და ეამაყება იაკობს ის, რომ აკაკიმ თავის წიგნებში სწორედ იმ სახით შეიტანა იაკობის მიერ გასწორებული ნაწარმოებები, როგორც „დედა-ენაში“ დაიბეჭდა... რა სახის იყო ეს ცვლილებები, აქ არ ჩანს, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ იაკობი ენობრივად ზოგ საკითხში არ ეთანხმება აკაკის (ცნობილი ხანგრძლივი პოლემიკა ამის დასტური). ასე რომ, სახელმძღვანელო ერთ ნორმებზე უნდა იყოს აგებული; სხვადასხვა ავტორის (ილიასი და აკაკისიც კი...) თუ ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები იაკობის ქურაში გაივლის...

აკაკი წერეთლისათვის მისაღებია ეს პრინციპი. არსად აკაკი წერეთელს არ უთქვამს, რომ მის მართლწერაში იაკობის ჩარევა მისთვის მიუღებელი იყო... ის ცნობილი პოლემიკაც იმისთვის კი არ გაიმართა, არა მე ვარო მართალი; არა – „იაკობის ენაში“ რაიმე არასწორი არ გაიპაროს, არამართებული არ დამკვიდრდესო...

და სწორედ იაკობის სახელმძღვანელოების წყალობით ეს ერთიანი სალიტერატურო ენა ვრცელდება და წიგნის ენად იქცევა მთელ საქართველოში.

შალვა დადიანის მხატვრული ენით რომ ვთქვათ, „დედა-ენა“ – ამაფეთქებელი ნაღმოსანით მისრიალებდა იგი ჩვენს მი-

უვალს მთა-კლდეებში – თუშეთსა და სვანეთში. – მიდიოდა ბარად, შეუყვებოდა აჭარასა და მესხეთს და ყველგან სძრავდა ენას საქართველოდ, ყველგან აფეთქებდა გრძნობას ეროვნულსა“...

ასე რომ, „იაკობის ქართული“ იქცა სრულიად საქართველოში წიგნის ენად.

ამ საქმეში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დაარსება და მისი საქმიანობა.

1879 წელს იაკობ გოგებაშვილის ინიციატივით, ილიას, აკაკის, დიმიტრი ყიფიანისა და სხვათა თანადგომით დაარსდა სწორედ **ქმწკს**. ესეც ცნობილი ფაქტია: სრულიად საქართველო – თუშეთიდან აჭარამდე, სვანეთიდან მესხეთ-ჯავახეთამდე – მოიფინა ორ- და ოთხკლასიანი სასწავლებლებით... ეს იყო მთავარი პირობა ერთიანი ქართული სალიტერატურო ენის გავრცელებისა და დამკვიდრებისა მთელ ქვეყანაში!...

სწორედ ამ პერიოდში, 70-იან წლებში, დამკვიდრდა ტერმინი „დედა-ენა“. 1876 წელს ამ სახელწოდების სახელმძღვანელოს გამოსვლამ ეს ტერმინი აქცია სრულიად ქართველთათვის სალიტერატურო ენის, წიგნის ენის ძირითად სინონიმად.

**შენიშნავთ:** იაკობის „დედაენის“ გამოსვლამდე (1876 წლამდე) ილიას, აკაკის და იაკობის ნაწერებში ეს ტერმინი არ გვხვდება. სწორედ იაკობმა შემოიღო ეს ტერმინი საანბანე სახელმძღვანელოსათვის და აქედან დამკვიდრდა „მთავარი ენის“, „სადმართო ენის“, „სალიტერატურო ენის“, „წიგნის ენის“ **ძირითად სინონიმად**. მოგვიანებით ილია ჭავჭავაძე დაწერს: „ქართველისათვის „დედა“ მარტო მშობელი არ არის, ქართველი ღვიძლს ენასაც „დედა-ენას“ ეძახის, უფროსს ქალაქს – „დედა-ქალაქს“, მკვიდრს და დიდს ბოდს სახლისას –

„დედა-ბოძს“, უდიდესსა და უმაგრეს ბურჯს – „დედა-ბურჯს“, სამთავრო აზრს – „დედა-აზრს“...

ასე რომ, სახელმძღვანელოს სახელად „დედა-ენა“ გულისხმობს სალიტერატურო ენის სახელმძღვანელოს! აკაკი და ილია, როგორც იაკობმა შეგვახსენა, ამ „დედაენის“ შექმნაში აქტიურად მონაწილეობენ. იაკობი კირილე ლორთქიფანიძეს სწერდა პირად წერილში: „ამ ცოტა ხანში უნდა გაუგზავნო ილია ჭავჭავაძეს და აკაკი წერეთელსა გადაწერილი საყმაწვილო რუსული ლექსები ქართულ ენაზედ გადასათარგმნელათა. ლექსებს ბლომათ ვაწერინებ და კაი ხანს წაართმევს ამ ჩვენს პოეტებს მათი თარგმნა. ამიტომაც ცოტა არ არის ვეჭვანულობ, ვაი თუ უარი მითხრან... არ შეიძლება, რომ თქვენ, პეტრემ და კიდევ სხვებმა ვინმემ გავლენა თქვენი მხრით იქონიოთ ამ ჩვენ პოეტებზედ“...

ასე რომ, მთელი ორი ათეული წლის მანძილზე, 1860 წლიდან 1880 წლამდე (**ვიდრე სამოღვაწეო ასპარეზზე შემოვა ვაჟა-ფშაველა**) აკაკი წერეთელი ფრონტის წინა ხაზზეა და თავდადებით იბრძვის ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებისა და დამკვიდრებისათვის; ცხადია, ეს თავდადება და თავგამოდება გრძელდება შემდგომაც, აკაკი წერეთლის სიცოცხლის მანძილზე...

**და თუ 80-იანი წლებისათვის უკვე არსებობს ცნება ერთიანი ქართული სალიტერატურო ენისა, დედაენისა, ამაში ლომის წილი აკაკისაც მიუძღვის!...**

ეს არ ნიშნავს იმას, რომ აკაკის არა აქვს გააზრებული ხალხური მეტყველების – დიალექტების – მნიშვნელობა. პირიქით, სწორედ აკაკი წერეთელი ადგენს საგანგებო ინსტრუქციას ხალხური მეტყველების ნიმუშების შესაკრებად და აქვეყნებს მიმართვას: „გულმხურვალედ გთხოვთ, ვისაც კი შეუძლიან მოახერხოს და განსაკუთრებით კი სოფლის მასწავლებლებს, რომ ჩვენში სახალხო შაირები, ზღაპრები, გამოცა-

ნები და სხვა ყოველგვარი ზეპირგადმოცემები შეძლებისდაგვარად მოაგროვონ და ჩემ სახელზედ, ან „დროებისა“ და ან „შრომის“ რედაქციაში გამოაგზავნონ ხოლმე... ამით ისინი რიგიან სამსახურს გაუწევენ ჩვენს დედაენას... მხოლოდ ამას კი ვსთხოვთ, რომ გადმოწერის დროს არაფერი გაასწორონ და თავისი არა ჩაუმატონ რა; დასწერონ ისე, როგორც გაიგონონ უმეტნაკლებოდ“.

მიზანდასახულება მკვეთრია და ნათელი – **დედაენისათვისო!**...

ისიც გვახსოვს, აკაკის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლას როგორ გამოეხმაურა გრიგოლ ორბელიანი: „კილო იმერულიაო“... სხვა დროსაც უთქვამთ, „კილო მოიიმერლებსო“... სწორედ ამგვარმა შენიშვნებმა ათქმევინა აკაკის: „ენის ცოდნა განა კრივი ან ბურთაობაა, რომ უბან-უბან გავიყოთ და ვიძახოთ: არა ჩვენ მხარესაა გამარჯვება, თუ არა თქვენსასაო!“ – ეს ირონიული „თავისმართლებაა“. სერიოზულად კი ასე მსჯელობს:

„საქართველოს ერთი რომელიმე კუთხე კი არ შეადგენს, რომ მთლიანი საქართველოს ენა მარტო მას დაუმორჩილოთ; იმერეთიც ისეთივე საქართველოა, როგორც ამერეთი და მიტომაც იმერლობას ნურავინ მიკიჟინებს. ღმერთმა ნუ მომიშალოს იმერლობა, რომელიც იგივე ქართველობაა... **ქართველი მწერალი წერის დროს ჩემიან-შენიანობით კი არ უნდა სარგებლობდეს.** უნდა ყოველივე კუთხე ჰქონდეს მოვლილი, შესწავლილი და გამოკვლეული და თუ რამე ქართული ნახოს, ამოკრიბოს და ამითი კი არ იხელმძღვანელოს, რომ ეს ქართული არ არის და სხვა კუთხეაო... მაგალითად ჭრილობის შესახებვე, ანუ ნაღრძობის შესაკრავ ფირფიტებს ქართველები არტაშანებს ვეძახით. ეს სიტყვა, ცხადია, რომ სომხურიდან გვაქვს გადმოღებული და ნუ თუ ქართველებს თავისი საკუთარი სიტყვა არ ექნებოდათ! ექნებოდათ, მაგრამ დაკარგულა. მე-

გრელებში კი დარჩენილა, აქ არტაშნები არ იციან რა არის და „ხერკალს“ ეძახიან, რაიც ქართულია. და მაშ უფლება აღარა გვაქვს, „ხერკალი“ ვიხმართო, რადგან ქართულში აღარ იციან?“

აქ არის სწორედ მკვეთრად და ლაკონურად ჩამოყალიბებული აკაკი წერეთლის პოზიცია სალიტერატურო ენისა და ხალხური კილოების მიმართ; ხალხური კილოების მნიშვნელობაზე დედაენის გამდიდრება-გამრავალფეროვნების საქმეში...

სწორედ ეს იყო ის პოზიცია პოეტისა, საიდანაც ეკამათება ვაჟა-ფშაველას, მის ძმებს, ერთი მხრივ, თუ ივანე მაჩაბელსა და იაკობ გოგებაშვილს – მეორე მხრივ...

გაგვიგრძელდა სიტყვა... თუკი შევძელით, გვინდოდა წარმოგვეჩინა, როგორ იყო ენობრივი სიტუაცია საქართველოში იმ პერიოდისათვის, როცა აკაკი წერეთელი და მისი თაობა გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე; რა გზა განვლო ქართულმა სალიტერატურო ენამ იმ დროისათვის, როცა ვაჟა-ფშაველა და მისი თაობა შემოდის სამწერლო ასპარეზზე... და როცა აკაკისა და ვაჟას ცნობილ პოლემიკას შევეხებით, ეს უნდა გავითვალისწინოთ...

და საერთოდ, როცა ვაჟა-ფშაველას ენაზე ვსაუბრობთ, ამ ვითარების გათვალისწინება აუცილებელი გვგონია...

## 2. „ერი ღელაა მნისა“...

ვთქვით: ვაჟა-ფშაველას გამოჩენა სამწერლო ასპარეზზე მნიშვნელოვან მოვლენად იქცა: ერთი მხრივ, იგი აღიარებული იქნა უდავო ტალანტად (მაგ., გავიხსენოთ ილიას რეაქცია...) და, მეორე მხრივ, იმთავითვე კრიტიკის საგნად იქცა მისი ენობრივი პოზიცია, „პოეტური კილო“...

ვაჟა-ფშაველას არა თუ აკრიტიკებენ და უწუნებენ ენას, „ლექციებსაც“ კი უტარებენ ენობრივ საკითხებზე – რა არის ენა, რით განსხვავდება „საერო ენა“ და „სათემო კილო“ ერთმანეთისაგან.

1888 წელს გაზეთ „ივერიის“ 166-ე ნომერში დაიბეჭდა პეტრე მირიანაშვილის (1860-1940) წერილი „საერო ენა და სათემო კილო“.

პეტრე მირიანაშვილი ვაჟა-ფშაველას თაობის მოღვაწეა; იგი განსაკუთრებით აქტიური იყო ქართული სალიტერატურო ენის დაცვისა და განვითარებისათვის ბრძოლაში. მან მონაწილეობდა მიიღო 1894 წელს იაკობ გოგებაშვილსა და აკაკი წერეთელს შორის გამართულ პოლემიკაში ენობრივ საკითხებზე (იაკობს უპირისპირდებოდა); იგი იყო ერთ-ერთი მთავარი პირი „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების“ იმ ჯგუფში, რომელიც ქართული სალიტერატურო ენის ნორმების შექმნაზე მუშაობდა (1914-1915 წლები)... მან საუნივერსიტეტო განათლება პეტერბურგის უნივერსიტეტში მიიღო და შემდეგ სწავლა საფრანგეთში სორბონის უნივერსიტეტში განაგრძო...

ამას იმიტომ აღვნიშნავთ, რომ ენობრივი საკითხებისადმი მიძღვნილი მისი საპოლემიკო წერილი შემთხვევითი არ იყო. როგორც ჩანს, მას საკმაოდ საფუძვლიანი ლინგვისტური განათლება ჰქონდა მიღებული; ეს ჩანს თუნდაც სალიტერატურო ენის ნორმების საკითხებზე მისი მონაწილეობიდან (იხ. ი. ყიფშიძე, თხზულებანი, 2015, გვ. 539-546).

და სწორედ ეს პ. მირიანაშვილი აქვეყნებს წერილს – „საერო ენა და სათემო კილო“. სწორედ ევროპული, კერძოდ, ფრანგული გამოცდილებით ცდილობს იგი თავის აზრს დამაჯერებლობა შესძინოს; წერილს ამიტომაც ასე იწყებს: „საფრანგეთის ერის მოქალაქეობრივმა ცხოვრებამ დაჰბადა სხვათა შორის ერთი უტყუარი ჭეშმარიტება: **პოლიტიკის ერთობას, ენის ერთობაც მოჰყვება**“. ეს დებულება არის ფაქტობრივ შემზადება მკითხველის, რომ **არ შეიძლება ერთიანი ქართული სალიტერატურო ენის პრინციპების დარღვევა**. ავტორი მსჯელობაში რამდენიმე ტერმინს გამოიყენებს: „**სალიტერატურო ენა**“ – იგივე „საერო ენა“ და „**სათემო კილო**“ – იგივე ხალხური მეტყველება, დიალექტური მეტყველება.

პ. მირიანაშვილს აღარდებს ის, რომ დაისვა საკითხი საერთო-სახალხო ენის საფუძველზე სამწერლობო ენის გამართვისა, „ყველამ თავისი კილო აირჩია და ამ ნაირად დღეს **ჩვენს მწერლობაში რამდენიც მწერალია, იმდენი ენაა**, ესე იგი რა თემისაც არიან, იმ თემის ენით სწერენ და ზოგიერთი ზომ თავის სოფლის ენასაც ხმარობს. ამგვარად ენა მეტად აჭრელდა და **ქიზიყურის პროზისა და ფშაურის პოეზიის** მოვლინებამ ზომ მთლად **არია ენის ტაძარი**; ჰლამის დაჰბადოს მწვალებლობა, მეტად საზარი“.

ცხადია, ზედმეტად გამუქებული სიტუაციაა: 1888 წელს ვითარების ამგვარი შეფასება („ყველა თავისი თემის ენით სწერენ“) გადაჭარბებულია (არარეალურია...)... არც „ქიზიყური პროზის“ წარმომადგენლები ქმნიან ამინდს... პ. მირიანაშვი-

ლის მთავარი სამიზნე, როგორც ჩანს, ვაჟა-ფშაველას. ამიტომ საკითხს ასე სვამს: „უცილოა, რომ ფშაურს პოეზიას, ისე როგორც სხვა ქართველთა თემის პოეზიას, თავისი საკუთარი ჩინებული მხარე აქვს და, სამწუხაროდ-კი იქაურს მწერლებს **ვერ შეუგნიათ**, (!) თუ რა სახით უნდა შეიტანონ საერო მწერლობაში თავიანთის თემის პოეზიის საკუთარი მარგალიტები“... პ. მირიანაშვილი იმ დროს 28 წლისაა; როგორც ჩანს, გაამყვებელი თავისი „ევროპულობით“ და ამიტომაც თავისზე ერთი წლით უმცროს ვაჟა-ფშაველას ამ ტონით ესაუბრება!... პროვინციალიზმებს უწუნებს, მოძღვრავს, რა შეიძლება შემოიტანოს თემის კილოდან საერო ენაში და რა – არა: „სიტყვის საქცევი ფიგურებრ თქმულება, ჰიპერბოლები, შედარებანი, ანდაზები თუ აფორიზმები – აი, რა არის განსხვავებული. აი, ამათის შემოტანით გამდიდრდება საერო მწერლობა, თუ მისივე სახით შემოაქვს“...

და ყოველივე ეს მსჯელობა კი, როგორც ჩანს, ამ დასკვნისთვისაა წარმართული: **„ბ-მა ვაჟა-ფშაველას ფშაურმა პოეზიამ დღევანდელს ქართულთან შედარებით უკან ჩამორჩენილი გრამატიკური ფორმები შემოიტანა და ამასთანავე ზოგიერთი მეტ-ხორცი სიტყვებიც**. ჩვენი მწერლობა მოვალეა, რომ სამწერლო ხელოვნება უმნიშვნელო და მეტ-ხორცის პროვინციალიზმით არ გაახორკლიანოს გასუფთავების მაგიერ“ – საკმაოდ მკაცრი დასკვნაა... ცხადია, „მაჩნანელის ქიზიყური პროზა“ – აქ სასხვათაშორისოდაა მოხმობილი...

ეს იყო, ფაქტობრივ, პირველი ოფიციალური, საჯარო დაუნდობელი კრიტიკა ვაჟა-ფშაველას ენისა...

მართალია, პ. მირიანაშვილი დასაშვებად მიიჩნევს მწერლისა და პერსონაჟის მეტყველებათა შორის ენობრივი განსხვავების დაშვებას („თემის კილოს ადგილი აქვს მწერლობაში, როდესაც მწერალი ალაპარაკებს თავის გმირებს; მხოლოდ მაშინ ნება ეძლევა მწერალს გვაჩვენოს თავისი გმირები, ისე,

როგორნიც თვითონ ნამდვილად არიან“), მაგრამ ვაჟა-ფშაველას შემთხვევაში „ეს დებულება“ არ „მუშაობს“...

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ვაჟა-ფშაველას ენა გააკრიტიკეს და „ლექციაც ჩაუტარეს“, რა არის „საერო ენა და სათემო კილო“.

მერეც ვნახავთ: ვაჟასთვის ენა უმთავრესი იარაღია მწერლობაში; როცა აკაკი წერეთელმა „ენა დაუწუნა“, დავით კლდიაშვილისათვის უთქვამს ვაჟას: „**მე ამ ჩემი ენით მომწონს თავი, თორემ სხვა რა არის ჩემს ლექსებში და პოემებში!** თუ ენაც დასაწუნია, მას არაფერი ყოფილაო“...

ფაქტია, გამოდის თუ არა სამწერლო ასპარეზზე, ვაჟას თავისი ენობრივი პოზიცია უკვე ჩამოყალიბებული აქვს და, როცა საჭიროებამ მოითხოვა (როცა ოპონენტები გამოუჩნდნენ მის ენას), ვაჟა იძულებულია, თავისი ენობრივი პოზიცია ჩამოაყალიბოს, ერთი მხრივ, პასუხი გასცეს ოპონენტებს და, მეორე მხრივ, თავისი აზრი ამ თემაზე განუმარტოს მკითხველს, დაინტერესებულ პირს...

ვაჟა-ფშაველა თავის კრიტიკულ-პუბლიცისტურ წერილებში საკმაოდ ვრცლად მსჯელობს ენობრივ საკითხებზე; უპასუხებს ოპონენტებს და განმარტავს თავის პოზიციას. ჩვენ ამ შემთხვევაში, როგორც აღვნიშნეთ, ვემყარებით ვაჟა-ფშაველას ათტომეულს (1964 წ.); მივუთითებთ ტომს და გვერდს (მაგ., X, 100)... ცხადია, მხატვრულ ნაწარმოებებზე მსჯელობისასაც ამ გამოცემას დავემყარებით...

\* \* \*

ვაჟა-ფშაველა პ. მირიანაშვილის საპასუხო წერილში ოპონენტს საკმაოდ მაღალპროფესიონალურად, საგნის ღრმა ცოდნით ესაუბრება თემაზე, **რა არის ენა**. ფაქტობრივ, ამით იმის თქმა სურს პოეტს, რომ **მას არაფერი შეშლია, მან იცის რას წერს, როგორ, რატომ და რა მიზნით...**

ამ თემებზე მსჯელობას ვაჟა-ფშაველა იწყებს პ. მირიანაშვილის საპასუხო წერილში და შემდგომ არაერთ პუბლიცისტურ ნაშრომში განავრცობს და აღრმავებს თავის აზრს... შევეცდებით ზოგადი სურათი წარმოვაჩინოთ – იყო თუ არა ვაჟა-ფშაველა ის მწერალი, ვისთვისაც „საჯარო ლექცია“ უნდა ჩაეტარებინათ, რა არის ენა...

ფაქტობრივ, ვაჟა-ფშაველა ამით განმარტავს თავის ენობრივ პოზიციას...

როგორც ითქვა, პ. მირიანაშვილმა სამსჯელოდ გახადა თემა – „საერო ენა“ და „სათემო კილო“, ვაჟა საპასუხო წერილში სწორედ ერისა და ენის ურთიერთმიმართების საკითხს დასვამს:

**„ხალხი, ერი დედაა ენისა.** იგი ჰბადებს და ჰზრდის ენას, როგორც დედა შვილს“ (IX, 62); ამავე აზრს ვაჟა სხვაგანც იმეორებს: **„ერი, უპირველეს ყოვლისა, დედაა ენისა“** (IX, 186)...

ვაჟა-ფშაველას მიერ ჩამოყალიბებული ეს ფორმულა ჭეშმარიტებაა და მისაღები დღესაც.

**შენიშვნა:** XX საუკუნის 80-იან წლებში გაჩნდა სატელევიზიო გადაცემა „ენა დედაა ერისა“; ფაქტობრივ ეს იყო ზეპირ მეხსიერებაზე დამყარებული ვარიაცია ვაჟასეული ფორმულისა, თუმცა ტელევიზიის „ყოვლისშემძლეობის“ წყალობით, ამ „შებრუნებულმა“ ფორმულამ ფართო გავრცელება შეიძინა; ზოგი ვაჟასაც მიაწერდა ამ ვარიანტს... არადა, ლოგიკა ვაჟასეულ ფორმულაშია...

საინტერესოა ვაჟას მსჯელობა ენის ბუნების თაობაზე: „ენას ფესვები წარსულს დროში აქვს გადგმული, – რაც ხასიათი და ბუნება ისტორიულად მიჰნიჭებია ენას, იგი უნდა შერჩეს სიკვდილამდე. მართალია, ენა თანდათან წარმატებაში

შელის, წინ მიღის, მაგრამ ისე კი არა, რომ ბუნებასა და ხასიათს იცვლიდეს. თუ ეს მოხდა, მაშინ ენაცა კვდება“ (IX.63).

აქ გამოთქმული თვალსაზრისი სრულად ეთანხმება თანამედროვე ენათმეცნიერებაში გამოთქმულ აზრს ენაში „მუდმივისა და ცვლადის“ არსებობის თაობაზე (იხ. ბ. ჯორჯენაძე, 1980, 46-72)...

საერთოდ, ვაჟა-ფშაველას სამწერლო ასპარეზზე გამოვლის პირველი დღეებიდანვე, როგორც ჩანს, აქვს თავისი მკვეთრი ენობრივი პოზიცია, რომელსაც იგი გაამყარებს მთელი ცხოვრების მანძილზე – მხატვრულ შემოქმედებასა თუ პუბლიცისტურ წერილებში. ეს პოზიცია ურყევია!...

ეს რომ ასეა, შეიძლება დავრწმუნდეთ, თუ მის პუბლიცისტურ წერილებს გულდასმით წავიკითხავთ.

მივყვეთ მსჯელობას:

\* \* \*

ნიჭიერი მწერლის თვალთაა დანახული ენის ბუნება, როცა ვაჟა მსჯელობს ენისა და მდინარის მსგავსებაზე. მოვიხმოთ ვრცელ ამონარიდს: „არა მგონია, შეედრებოდეს ერთი საგანი მეორეს ისე, როგორც მდინარე და ენა. რითი ჰგავს ენა მდინარეს? იმითი, რომ, რაც ერთხელ მდინარეს გემო და თვისება მიუღია თუ ხელოვნურად არ მოსტაცე, არ წაართვი, იგი თავისთავად არასოდეს არ დაჰკარგავს; მიმდინარეობს იმ ჟამთა ამ ჟამამდე დაუდგრომლად, მისი შეჩერება, დაგუბება, ცოტა ხნობით თუ შეიძლება, ხოლო სამუდამოდ კი არასოდეს...“

დიალ, მოღის ენაც მდინარესავით, მაგრამ თუ სათავეში, ე. ი. იქ, საიდანაც იბადება, არ დაშრა, ქვეით, ბოლოდგან მისი დაშრეტა ყოვლად შეუძლებელია, და ძალაც სწორედ მის სათავეშია. გამომდინარეობს უღვეველად, უკლებლად; საიდგან და როგორ იკრებს ამ ძალას, ჩვენთვის სულ ერთია. ენის სა-

ქმეც სწორედ ასეა. ქართული ენა გუშინ მოგონილი ზომ არ არის! იგი ძალიან დიდი ხნისაა, უკვე დამთავრებული, დახანებული ვაჟკაცია. რაც ხასიათი და თვისება დაჰყოლია, იგივე შეჰრჩება საზოგადოდ, საუკუნოდ. თუ ზოგიერთების ხელში იგი თავის ხასიათს ვერ იჩენს, ეს იმათი ბრალია, ვინც მას ამღვრევს უწმინდურებისა და ნაგავ-ნუგავის ჩაყრით. ვისაც ჰსურს ამ მდინარის წყალი იგემოს და დააფასოს იგი, ბოლოში, სადაც მღვრიე მოდის, კი არ ამოჰკრეფს, არამედ სათავეს მიჰპართავს“ (IX, 187).

**დედაენა იდეალი უნდა იყოს ყოველი ქართველისათვის:** „დედა-ენა უნდა გავრცელდეს, განვითარდეს, რადგან იგი ათვალწუნებულია, რომ თუ სხვა ყველაფერი დაგკარგეთ, ზნეობა, გრძნობა მამულიშვილობისა, სიმტკიცე რწმენაში, **იდეალი მაინც არ უნდა დაგკარგოთ**“ (IX, 299).

**ქართველი კაცი** საქართველოს, თავის ქვეყანასა და ქართველ ერს **ქართული ენით უნდა ემსახუროს**; სხვა ენაზე მსახურებით „**თავის დედა-ენას, თავიანთ ქვეყანას ძირს უთხრიან, ფესვებს აჭრიან**; ოფლში იწურებიან. იმოდენასა სწერენ რუსულად მხოლოდ და მერე როგორ ცდილობენ, რომ ლამაზი რუსულით დასწერონ თავის წერილები... მოკლედ რომ ვსთქვათ, მკითხველი გადაბირების გზაზე ღვება“ (IX, 299)...

ეს თემა – **დედაენაზე მსახურება ქვეყნისა** – ვაჟასთვის უაღრესად მნიშვნელოვანია. ზემომოყვანილ მსჯელობას პოეტი ასე განაგრძობს: „ამისთანა, ლამაზი რუსული ენის პატრონი მწერალი კი ფიქრობს, სამშობლოს ვემსახურებო. ვაი ამისთანა სამსახურს! **ამას ჰქვიან განა სამშობლოს სიყვარული?** განა ამისთანა ოინებით **აყვავდება ქართული ენა და მწერლობა?** განა ეს ღვაწლია? ღვაწლი კი არა, ეს პირდაპირ ღალატია, თაღლითობაა! ამას ჰქვიან ციხისა შიგნიდან გატეხა და, ზომ მოგეხსენებათ, იმაზე მეტი უბედურება ქვეყნისთვის სხვა არა შეიძლება იყოს, როგორც ღალატი შინიდან გამოძინარე“... (იქვე).

**არამშობლიურ ენაზე მოღვაწეობა**, ვაჟა-ფშაველას აზრით, „არის პირდაპირ **გამრყენელი ახალთაობისა**, რომელთა სულიც ახლად იფურჩქნება და რომ კარგად აყვავდეს და ნაყოფი გამოიღოს, მშობელი დედის რძე ესაჭიროება, მშობლიური ხმები, სამშობლოს სიყვარული და იდეალი იმისა, რომ იგი უნდა გახდეს მუშაკი თავისი ქვეყნისა, თავისი ერისა, ნაზი სიყვარული თავის დედაენისა“ (იქვე)...

**არამშობლიურ ენაზე მსახურების** მოსურნეთ ვაჟა-ფშაველა უძიძიძეს ბრალდებას წაუყენებს: „არ წარმოვიდგენიათ არასოდეს, რომ თქვენ, თქვენის უტიფარის მოქმედებით, **როგორც დედა-ენას**, ისე საუკეთესო ქართველ მოღვაწეთ ჰზოცავთ სისტემატურად?“ (იქვე)...

ვაჟა-ფშაველას აქვს ერთი ასეთი სტატია – „სახალწლო ფიქრები“ (გამოქვეყნდა „სახალხო გაზეთში“ 1914 წელს, №1084). რას უქადის ქვეყანას „მოდა“... „საკვირველი ის არი – დაღამება-გათენების კანონი მსოფლიო ბუნებისგან ცის პლანეტათა და ჩვენის პლანეტის ერთმანეთთან შეთანხმება-შეკავშირებაზეა დაფუძნებული“ და მისთანანი... (IX, 341) და ა. შ. სულისკვეთება გასაგებია: ვაჟა-ფშაველას აფიქრებს ის საფრთხე, რასაც გლობალიზაცია („მოდა“) უქადის სამყაროს, ქვეყანას, მაგრამ ვაჟასთვის მთავარია საქართველო, ქართველი და ქართული ენა: „მოდავ, თუ გწამ ღმერთი, **შეაყვარე ქართველებს საქართველო... (...)** მოდავ, შენი შეილების ლხენასა, **შეაყვარე ჩვენს ქალებს ქართული ენა და ქართული ლაპარაკი**“ (IX, 343)...

ვაჟა-ფშაველას IX ტომში იბეჭდება მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წერილი „ენა (მცირე შენიშვნა)“ (გვ. 186-187). ვარიანტებში ქვეყნდება ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული ორგვერდიანი ნაშრომი, რომელიც ათტომეულის გამოცემელს „ენის“ ვარიანტად მიუჩნევია (გვ. 554-556). ეს ალბათ სადავოა; ეს „ვარიანტი“ აშკარად ილია ნაკაშიძის წერი-

ლის საპასუხოდ დაწერილი ჩანს („რაიც მეტად არ მოსწონს ბ. ნაკაშიძეს“... „გვაძლევს საშუალებას მე და ბ. ნაკაშიძეს სხვა და სხვა იდეალებზე ვილაპარაკოთ“... „ბ. ილია ნაკაშიძის წერილი ისეთი კილოთია დაწერილი...“ „განსაკუთრებით იმ იდეალებზე, რომელსაც გვასწავლის ბ. ნაკაშიძე“, თუმცა რომელ წერილზეა საუბარი, არ ჩანს; თავად წერილში „ენა“ არც ი. ნაკაშიძეა ნახსენები და არც ეს „ბოლემიკა“... მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ იგულისხმება ილია ნაკაშიძის წერილი „ვაჟა-ფშაველას პოეზია“, რომელიც გამოქვეყნდა 1896 წ. (გაზეთი კვალი, № 44, 45, 47, 49, 51, 52) (ი. ნაკაშიძის წერილზე ქვემოთ მოგვიწევს საუბარი...). ასე რომ, ეს დამოუკიდებელი წერილი ჩანს და არა „ენა“-ს ვარიანტი... სამწუხაროდ, წერილი ნაკლულია, აკლია დასაწყისი...

ამ „ვარიანტში“ (ასე მოვიხსენიებთ ქვემოთ) ვაჟა-ფშაველა გვევლინება **დედაენის** ხმალამოღებულ დამცველად... სამწუხაროდ, არ ვიცით, რის საპასუხოდ ითქვა, მაგრამ თავისთავად საგულისხმოა მსჯელობა: თურმე „დედა-ენა უარსაყოფელი ყოფილა და არა სათაყვანებელი, რადგან იმის წყალობით უწმინდურებაც ბევრჯერ მოისმის“... (IX, 453)... აქ საინტერესო მსჯელობას გამოვტოვებთ; აღვნიშნავ მნიშვნელოვან დასკვნას: „გაძლიერება კი ჩვენი ყოვლად შეუძლებელია, თუ ეროვნულის თვით შეგნებას დაკარგავთ, ავითვალწუნებთ **დედა-ენას** და **მის საშუალებით არ აღვზრდით**, არ გავწვრთნით გონებრივ და ხეობრივ **ჩვენს შვილებს, ახალთაობას**“... (IX, 455).

**დედაენის** როლის ასეთი გააზრება, დედაენაზე ასე შეყვარებულ პოეტს ამგვარი (ვგულისხმობ პ. ძირიანაშვილის წერილს) ბრალი დასდო და „ასწავლო“, რომ ენის ერთობა ქვეყნის ერთობის საწინდარია,... სხვა რომ არა ვთქვათ, უხერხულია...

ვაჟას სწამს: „დედა-ენა ისეთი კუთვნილებაა ერისა, რომ თუ იმას დასთმობს ერი, სხვა ყველაფერსაც უგულვებელყოფს,

ტერიტორიაზედაც ხელს აიღებს“... რომ „დედაენა ერის შემადგენელი ძარღვია“... რომ „დედა-ენა ადამიანის სულისდგმა“ (IX, 455).

და კიდევ ერთი საკითხი: ვაჟა-ფშაველას მიაჩნია, რომ აუცილებელია „ბავშვი პირველ დაწყებით სწავლას ორსა და სამს წელს მაინც მშობელ ენაზე უნდა ითვისებდეს“ (იქვე)...

სხვაგანაც ვთქვი: აქ ისეთი აზრებია გატარებული, შთაბეჭდილება რჩება, ვაჟა იაკობ გოგებაშვილის იდეებს კარგად იცნობს და მას ემყარება...

მოკლედ, იმის თქმა მსურდა, ვაჟა-ფშაველას ძალიან კარგად აქვს გააზრებული – რა არის ენა, რა მნიშვნელობა აქვს ენას ერისთვის, როგორ უნდა ემსახუროს ქართველი ქართულ ენას, რა პრობლემების წინაშე დგას დედაენა და ეს პრობლემები რა ამოცანებს უსახავს ზოგადად ქართველს და კერძოდ ქართველ მწერალს... ასე რომ, ვაჟა შემთხვევით არც არაფერს წერს და არც არაფერს ამბობს... მაშ რატომ გახდა მისი ენა ასეთი პოლემიკის (კრიტიკის) საგანი? რა ვერ გაიგეს ოპონენტებმა (კრიტიკოსებმა)?

ზოგ რამეს კიდევ მივაპყრობ მკითხველის ყურადღებას (ვაჟა-ფშაველა დედაენას ხმარობს მშობლიური ენის, შესაბამისად ქართული ენის, სინონიმად – ესაა იაკობისეული გაგება „დედაენისა“...)...

ვაჟა-ფშაველას მთავარი სათქმელი ესაა: ადამიანისათვის ბედნიერებაა დედაენაზე საუბარი, სწავლა, სიმღერა, გალობა!...

ვაჟას აქვს უთარილო წერილი, რომელიც სიცოცხლის ბოლო წლებში ჩანს დაწერილი (1904-1905 წლებს წარსულ წლებად მოიხსენიებს); წერილის სათაურია „რა არის თავისუფლება?“...

ავტორის აზრით, „თავისუფლება და ბედნიერება სინონიმებია“ (IX 412) „ბედნიერებაწართმეულს რა ჰრჩება უბედუ-

რების მეტი? – არაფერი“ (IX, 412). ანუ თავისუფლების და-  
კარგვა უბედურებაა...

და აი, პოეტის ეროვნული პოზიცია:

**„იქ ვინ ნახა თავისუფლება, საცა მე ჩემს დედაენაზე  
ლაპარაკს მიშლიან: არც მასწავლიან, არც მაუბნებენ, არც  
მამღერებენ, არც მაგალობებენ?! რა გული უნდა მქონდეს მა-  
შინ? რას უნდა ვგრძნობდეთ?! – სხვას არაფერს, გარდა ზი-  
ზღისა, მძულვარებისა. მოწამლულ-მოშხამულია ჩემი სიცო-  
ცხლე, ვგრძნობ მხოლოდ უსიამოვნებას, სიძულვილს და  
ვწყვევლი იმ ძალებს, იმ მგლებს, რომელნიც ყველა ზემორე  
აღნიშნულ საქმეში ხელს მიშლიან, წინ მელობებიან და ვუცდი  
მარჯვე შემთხვევას, შევბუსრო ისინი... როცა ეს დრო დგება  
და მეც მოქმედებას ვიწყებ ამ ძალთა შესამუსრავად, დასათ-  
რგუნად, მაშინ იწყება ჩემი თავისუფალი ცხოვრება, აქ არის  
დასაწყისი თავისუფლებისა. და უკეთუ ვითმენ, ხმას არ ვი-  
ღებ, არაფერს ვამბობ, მაშინ ვარ მონა, არა მძულს ჩემი მჩაგ-  
ვრელი ძალა; იქნება მძულს კიდევ, მაგრამ ამ მძულვარებას  
გულში ვმაღავ; მაშინ ვარ ლაჩარი, უფრო საზიზღარი, ვიდრე  
მონა. არა, მძულვარება როცა უკიდურესობამდეს მიდის, მაშინ  
ლაჩრული გრძნობა ისპობა, მაშინ ამბობს ადამიანი: ან მო-  
კვდები, ან ვძლევ ჩემს მტანჯველთ!...“ (IX, 410).**

დიახ, დედაენაზე საუბარი, სწავლა, გალობა – თავი-  
სუფლებაა, ბედნიერებაა – ამბობს ვაჟა-ფშაველა.

და ეს არის ის შეგნება, რა შეგნებითაც ვაჟა-ფშაველა  
მთელი ცხოვრება ემსახურებოდა ქვეყანას, ერს, დედაენას! აი,  
აქედან უნდა დავინახოთ მისი, როგორც მწერლის, დამოკიდე-  
ბულება ქართული ენისადმი და ავხსნათ იგი... შევძლებთ კი?...

ვცდით მაინც...

არ ვფიქრობთ, რომ ყველაფერი ვთქვით, რაც უნდა  
თქმულიყო... ერთი კი უნდა დავინახოთ: **ენის რაობა, ენისადმი  
დამოკიდებულება, ენისადმი მზრუნველობა და თავდადება ვა-**

**უას სხვისგან არ ესწავლება...** მხატვრულ შემოქმედებაშიც ამ პოზიციის გამტარებელია... ანუ: თეორია და პრაქტიკა ვაჟა-ფშაველასი ერთმანეთს არ სცილდება...

დაბოლოს: ვაჟა-ფშაველასთან უცნაური არაფერი ხდება; მისი შემოქმედების ენობრივი სახე საკუთარი ენობრივი პოზიციის გამოსახულებაა...

დანართი პარაგრაფისათვის  
(საინტერესო ფაქტი)

პ. მირიანაშვილის ზემოხსენებული წერილი და ვაჟა-ფშაველას პასუხი 1888 წელს გამოქვეყნდა (პ. მირიანაშვილისა – „ივერია“, № 166, 9 აგვისტო; ვაჟასი – ამის შემდეგ – „ივერია“ № 192).

1888 წლის 21 თიბათვეს (ივნისს) ვაჟა-ფშაველა – („დიდი თონეთის სკოლის მასწავლებელი ლუკა რაზიკაშვილი“) მოხსენებით ბარათს წარუდგენს „ქართველთა შორის წიგნის ცოდნის (ასეა! – გ. გ.) გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას“:

„გამგეობის წევრთა შორის გავრცელებულა ჩემზედ უცხო და არასასიამოვნო ამბები: 1) ვითომ არაფერი მესწავლებინოს მოსწავლეთათვის და 2) მქონდეს დიდი განხეთქილება თონეთის საზოგადოებასთან. რადგან ეს მართალი არაა, ამიტომ საჭიროდ ვრაცხ, გამოვუცხადო პატივცემულს გამგეობას, რომ დანიშნოს კომისია საქმის გამოსარკვევად და გასაგებად“...

როგორც ჩანს, ეს რევიზია ჩაუტარებია „ბ-ნ მირიანაშვილს“. რევიზორის მხოლოდ გვარია მითითებული, ვფიქრობთ, აქ ალბათ პ. მირიანაშვილი იგულისხმება, რადგან იგი სწორედ 1888 წელს დაბრუნდა პარიზიდან და შეუდგა საზოგადოებრივ საქმიანობას (როგორც პედაგოგი, პუბლიცისტი...). ვაჟა-ფშაველა უემყოფილოა „მირიანაშვილის რევიზიის“ – „ბ-ნი

მირიანაშვილის რევიზია უნდა უკანონოდ ჩაითვალოს, როგორც ჩემს დაუსწრებლად მომხდარი. აზრი ბ-ნი მირიანაშვილისა ჩემი მოქმედების შესახებ არ არის საყურადღებო, რადგან მირიანაშვილი ჰსტუმრებია ჩემს მოჩივარს, რომლისგანაც სიმართლეს ვერასოდეს ვერ შეიტყობდა“... აქ ვაჟა-ფშაველა განმარტავს საქმის ვითარებას და „ნღობას უცხადებს“ იაკობ გოგებაშვილს: „ჩემს მოხსენებას ვგზავნი ბ-ნი იაკობ სვიმონის-ძის გოგებაშვილის სახელობაზე და ვითხოვ, წაკითხულ იქნას გამგეობის სხდომაზე“ (X. 167)...

ამ მოხსენებითი ბარათის გაგზავნიდან თვე-ნახევარში გამოქვეყნდა „ივერიაში“ პ. მირიანაშვილის წერილი... ვითომ რაიმე კავშირშია ეს ორი ფაქტი ერთმანეთთან?...

### 3. რაფიელ პრისტავი და რაზიკაშვილები

სანამ უშუალოდ ვაჟა-ფშაველას ენის პრობლემებს შევეხებოდეთ, ერთ კონკრეტულ საკითხს გვინდა მივაპყროთ ყურადღება.

1886 წელს ბაჩანა (სანდრო რაზიკაშვილი) ლექსს უძღვნის რაფიელ ერისთავს –

#### სალამი

შენი ჭირიძე, მოხუცო,  
ია გესროლუე, მამაო!  
ძილშიით გამოძალვიდა  
შენმა ფანდურის ხმამაო.  
შაერთო გრძნობის მორევსა  
ჩემ გულიც აიჩქამაო,  
იქით იორმა გაიგო,  
აქეთ ალაზნის წყალმაო...  
ბუნებამ ჯერი მიიღო,  
მთამ ქედი მოგიხარაო,  
მოავე გათავებულა,  
სამშობლომ გაიხარაო.  
ბიწსა ჰძლო სათნობამა,  
სიცოცხლე გაუმწარაო.  
საწყალმა ღამის მეხრემაც  
მადლობა დაგიბარაო,  
ნება მიეცი დაგდაფნოს  
გამოუცდელმა ყმამაო!

ცოტა მოგვიანებით, 1895 წელს რაფიელ ერისთავს სა-  
კმაოდ ვრცელ ლექსს უძღვნის თედო რაზიკაშვილიც:

**თ. რ. ერისთავს**

ფშავით გიბარებ ფშაველი  
ახალ წვერ-შამამდინარი:  
ფანდურზე დაემღერ შენს ლექსსა,  
თვალებს მწვავს ცრემლი მდინარი.  
ვაჟას ვეზვეწი, წამოველ,  
ეგებ მაცნობო, ვინ არი:  
შენი მაჩვენა სურათი –  
ბერი დიდებით მჩინარი!  
ენატრულობ გნახო თვალთა  
სიზმრითაც მამეჩვენები!  
მენაც სკოლისაკ ვიწიე,  
მაგრამ გაჯავრდენ ჩვენები  
არ გამამგზავნეს: ჯოგისა  
უნდა აძოვო ცხენები...

.....  
ხუთთავ ძმათ რაზიკაშვილთა  
მოკითხვა შემოგითვალეთ,  
შენ სადღეგრძელოც დავლიეთ,  
ყანწები გამოვიცალეთ,  
ისევ გვიყვარხარ და ისევ  
გული არ გამოვიცვალეთ!!

ამ ლექსებში, განსაკუთრებით **თედოსთან**, თვალშისაცე-  
მია დიალექტიზმები: წვერ-შამამდინარი, მამეჩვენები, სკოლი-  
საკ, გამამგზავნეს, მცალის, მყავ, დავწუხდი... **ბაჩანასთან** –  
შაერთო...

1896 წელს ვაჟა-ფშაველა აქვეყნებს წერილს „PRO  
DOMO SUA“, რომელიც ასე იწყება: „ამას წინად „მოამბე“-  
ში იყო დაბეჭდილი წერილი ჩვენის მხცოვანის და პატივცე-

მულის მგოსნის რაფიელის იუბილეს გამო, სადაც ბაჩანა და ვაჟა-ფშაველაც იყვნენ მოხსენიებულნი. პატივცემული ავტორი ზემოხსენებულის წერილისა ბ-ნი გრ. ყიფშიძე ამავე აზრს ჩვენზე იმეორებს რუსულ გაზეთში. ბ-ნს ყიფშიძეს ზოგი რამ შეცდომა მოჰსვლია და ამ შეცდომის გასწორება ეხლავე საჭიროდ მიმაჩნია“...

1895 წელია. 15 წელია ვაჟას ლექსები იბეჭდება... რა შეცდომაზეა საუბარი? ცოტა ქვევით განმარტავს:

„სადავოდ გახდა აგრეთვე ის გარემოება, ჰქონდა თუ არა გავლენა ჩვენს ძმებზე – რაზიკაშვილებზე რაფიელს“...

რა გავლენაზეა საუბარი? ვითომ ენობრივზე („მთის კილოზე“)?

მოდით გადავხედოთ გრ. ყიფშიძის წერილს.

\* \* \*

1895 წლის 22 ოქტომბერს რაფიელ ერისთავის საიუბილეო საღამო გაიმართა – ლიტერატურული მოღვაწეობის 50 წლისთავი აღნიშნა ქართულმა საზოგადოებამ. საიუბილეო საღამოს შესახებ ვრცელი წერილი გამოაქვეყნა გრიგოლ ყიფშიძემ ჟურნალ „მოამბეში“ (1895, № 10). გ. ყიფშიძე ძალიან სანტერესოდ მსჯელობს რ. ერისთავისა და ძმების – რაზიკაშვილების ურთიერთობაზე. ეკამათება იონა მეუნარგიას, რომელსაც თავისი ორიგინალური აზრი გამოუთქვამს რ. ერისთავისა და ფშაველი ძმების ურთიერთობაზე: „ვერ დავეთანხმებით პატივცემულს მწერალს და მცოდნეს ჩვენის სიტყვა-კაზმულის ლიტერატურისას, რომ ვითომ რაფიელის ლექსმა „სამშობლო ხევსურისა“ შექმნა მთელი სკოლა ქართულს ლიტერატურაში და რომ ამ სკოლაში პირველი ადგილი უჭირავთ ძმათა რაზიკაშვილთაო (იგივე ბაჩანა, ვაჟა-ფშაველა და თ. რაზიკაშვილი). ვერ დავეთანხმები იმიტომ, რომ ის ჰანგები, რომელმაც გაუთქვა სახელი რაფიელს, ის ხერხი წერისა, რომელიც საერთოა რაფიელისა და ძმათა რაზიკაშვილების ნა-

წერებში, გაჩნდა თითქმის ერთსა და იმავე დროს. ბაჩანას სა-  
უკეთესო სალირიკო ლექსები, თუ არა ვცდებით, დაბეჭდილია  
1881 წლიდან 1890 წლამდე „დროებასა“ და „ივერიაში“. ესე  
იგი სწორედ იმ დროსვე, როცა დაწერილია საუკეთესოვე  
ლექსები რაფიელის... რაიცა შეეხება ვაჟა-ფშაველას, იგი ხომ  
სულ ნაკლებად არის ლირიკი. ამ მხრივ პირველობას უთმობს  
რაფიელსაცა და თავის უნცროს ძმა – ბაჩანასაც. ძლიერება  
და ნიჭი ვაჟა-ფშაველასი არის ის უნარი მისი, რომლითაც  
ასულდგმულებს ბუნების ყოველ გვარ მოვლენასა...“ და შემ-  
დეგ: „ამას გარდა, სახელი ვაჟა-ფშაველასი დამყარებულია კი-  
დეგ მის ეპოსზედ“... აქ გრ. ყიფშიძე მეტად ორიგინალურ  
აზრს ავითარებს...

**შეგნიშნავთ:** გრ. ყიფშიძე არ მიუთითებს, ი. მუხარგიაშვილსა  
გამოთქვა ეს აზრი... ჩვენც მხოლოდ გ. ყიფშიძის  
ამ წერილს ვემყარებით.

ერთი შეხედვით, გრ. ყიფშიძე თითქოსდა ცდილობს ვა-  
ჟა-ფშაველას დაცვას არასწორად გააზრებული მისი ლირიკის  
წყაროების მიმართ და ამართლებს ვაჟას პოზიციას:

„მისი (ვაჟა-ფშაველასი – გ. გ.) პოემები ნამდვილი, დრა-  
მად გადაქცეული ამბებია, მთის მკვიდრთა სულისა და გულის  
დამასურათებელ-დამახასიათებელი, ისეთი ამბებია, რომლის  
მომთხრობელი სრულად არა ჩანს არსად, არც ერთის კალმის  
მოსმაში. ისე ღიღია ამ ნაწერებში ეგრედ-წოდებული ობიექ-  
ტივიზმი მგოსნისა“...

აი, აქ გრ. ყიფშიძე კიდევ უფრო აკონკრეტებს თავის  
აზრს იმის შესახებ, რომ რ. ერისთავს გავლენა არ მოუხდე-  
ნია ვაჟა-ფშაველაზე; გარკვეულწილად ეკამათება „ოპონენტს“  
და „იცავს“ ვაჟა-ფშაველას: „თქვენ მეტყვით, რომ აი სწორედ  
ეს ობიექტივიზმი და მდაბიოთა სულის ვითარების დასურათე-  
ბა, რომლითაც აღსავსეა „სამშობლო ხევსურისა“ და სხვა სა-  
ერო კილოზედ დაწერილი ლექსები რაფიელისა, არის ის სა-

ერთო კილო, რომელიც ამ ორს მწერალს ერთი-ერთმანეთისაგან შეუთვისებიათო; ხოლო რადგან რაფიელმა ცოტათი მაინც ადრე დაიწყო მაგისტანების წერა, ვიდრე ვაჟა-ფშაველამა, მაშ, ცხადია იმას შეუქმნია ეს კილო, ეგ მიმდინარეობა ჩვენს ლიტერატურაში. ეს შენიშვნა მკითხველისა მართალი იქნებოდა მხოლოდ მაშინ, რომ სხვა რამ ნიშნები კიდევ იყოს ამ აზრის სიმართლის დასამტკიცებლად, ან რომ მცირე ხანში შეიძლებოდეს მწერალმა მწერალზედ იმოქმედოს“...

როგორც ჩანს, ეს აზრი იმჟამად საკმაოდ გავრცელებული იყო. მეტიც: რაფიელის როლი და მნიშვნელობა გაზვიადებული ჩანს. ალ. ყაზბეგიც მისი გავლენის სფეროში მოუქცევიათ: „ზოგნი იმასაც ჰფიქრობენ, რომ, არამც თუ ბაჩანა და ვაჟა-ფშაველა, არამედ ალ. ყაზბეგის ბელეტრისტიკაც, აღმოცენებული საერო ნიდაგზედ, დამყარებული მთის მკვიდრთა განცხოვლებულ მხატვრობაზედ, შედეგი იყოს აგრეთვე რაფიელის ლექსების გავლენისა“...

გრ. ყიფშიძისათვის მიუღებელია საუბარი გავლენასა და მიმბაძველობაზე და საინტერესოდ შემოატრიალებს აზრს: „ჩვენის ფიქრით, აქ გავლენა კი არ არის, დრომ მოიტანა და ერთბაშად ერთსა და იმავე დროს იფეთქა რამდენგამე, როგორც ძლიერმა ეროვნულმა გრძნობამ, ისე ერის ჭეშმარიტ წარმომადგენელთა დასურათებისად მიმართულმა ბუნებითვე ნიჭიერ მგოსანთა გრძნობამ და გაჩნდა რაფიელიცა, ალ. ყაზბეგიცა, ბაჩანაცა და ვაჟაც... ერთ-ფერობა აიხსნება ნიჭის ნათესაობით, სულის თვის-ტომობით და არა ზედ-გავლენით, ერთმანეთის მიბაძვით, დამოწაფებით...“

ზემომოყვანილ საუბარში ბევრი რამ არის საყურადღებო:

ჯერ ერთი, როგორც ლირიკოსს ავტორი ბაჩანას მეტად აფასებს, ვიდრე ვაჟა-ფშაველას.

„სამშობლო ხევსურისამ“ შექმნა მთელი სკოლა“... – რა სკოლაზეა საუბარი („ამ სკოლაში პირველი ადგილი უჭირავთ რაზიკაშვილებსო“...) – უთქვამს იონა მეუნარგიას.

რას გულისხმობს გამოთქმა „საერო კილო?“

„პირველი ლექსი რაფიელისა საერო კილოზედ დაწერილი არის „ზამთარი“, უკანასკნელი...“ „საერო კილოზედ“ დაწერილადაა მიჩნეული „სამშობლო ხევსურისა“...

თუ ამ შემთხვევაში ენობრივი მხარე მოიაზრება, კითხვის ნიშნები გამრავლდება...

რატომ უძღვნიან ასე გულწრფელად რ. ერისთავს ლექსებს ბაჩანა და თედო რაზიკაშვილები?... (უფრო მოგვიანებით ვაჟა-ფშაველაც...).

ცხადია, საყურადღებოა, რას ფიქრობს ი. მეუნარგია, გრ. ყიფშიძე, მაგრამ ამ შემთხვევაში არსებითია ვაჟა-ფშაველას აზრი...

რას ნიშნავს „მთის კილო“ და „საერო კილო“ თუ „სათემო კილო“, ამაზე სხვაგან ვისაუბროთ. ახლა ის ვთქვათ, აქვს თუ არა გავლენა რ. ერისთავს რაზიკაშვილებზე...

როგორც ვხედავთ, „პოლემიკა“ ამ თემაზე ი. მეუნარგიას წამოუწყია და გ. ყიფშიძე მას ეკამათება. რა აზრისანები არიან ამ საკითხზე ბაჩანა და თედო რაზიკაშვილები, არ ვიცით. განსაკუთრებული მოკრძალება და პატივისცემა რომ აქვთ მსცოვანი პოეტისადმი, ზემომოყვანილი ლექსებიდანაც ჩანს.

ვაჟა-ფშაველა ამ საკითხს უპასუხოდ არ ტოვებს. 1896 წელს გაზეთ „ივერიაში“ (№ 43, 1896) აქვეყნებს წერილს „PRO DOMO SUA“. ზემოთაც აღვნიშნეთ – ვაჟას მიზანი ავტორის – გრ. ყიფშიძის – მიერ დაშვებული შეცდომის გასწორებაა: „ბ-ნს ყიფშიძეს ზოგი რამ შეცდომა მოჰსვლია და ამ შეცდომის გასწორება ეხლავე საჭიროდ მიმაჩნიაო“ (IX, 179).

რა შეცდომაზეა საუბარი? ვაჟას თქმით, „სადავოდ გახდა აგრეთვე ის გარემოება, ჰქონდა თუ არა გავლენა ჩვენს ძმებზე – რაზიკაშვილებზე რაფიელს“ (იქვე)...

ვთქვით: ი. მეუნარგიას უთქვამს, რაფიელის პოეზიას (განსაკუთრებით ლექსს „სამშობლო ხევსურისა“) გავლენა

ჰქონდა ძმებზე – რაზიკაშვილებზე... გრ. ყოფშიძე არ იზიარებს ამ აზრს...

ვაჟა-ფშაველა თავის წერილში საუბრობს ერთ ძალიან მნიშვნელოვან კანონზომიერებაზე, რომელსაც მან უწოდა „**კანონი თანდათანობისა**“: „ჩვენში ძალიან სათაკილოდ და ვითომ ნიჭის დამამცირებლად მიაჩნიათ მწერალზე სხვისი გავლენა. მე კი ეს წესიერ, საღ, ნორმალურ და აუცილებელ მოვლენად მიცნია იმ კანონის ძალით, რომელსაც ჰქვიან **კანონი თანდათანობისა**“ (IX, 180).

ვაჟა-ფშაველა საინტერესო მაგალითებს მოიყვანს მსოფლიო ლიტერატურიდან, რას ნიშნავს „კანონი თანდათანობისა“... პოეტს ეს მსჯელობა სჭირდება იმისათვის, რომ ახსნას თავისი და თავისი ძმების დამოკიდებულება რაფიელ ერისთავისადმი:

„ჩემზე უნდა მოგახსენოთ, რაც კარგი და ხელოვნური რამ დაწერილა, ზემოქმედება, ძალა ჰქონია, აღტაცებაში მოვუყვანივარ, მომწონებია. რა თქმა უნდა, რაფიელის ლექსებმა, როგორც **საერო კილოთი ნაწერებმა** და ისიც **ჩვენებურ მთის კილოთი** სხვანაირად ააჩქოლა ჩემი გული, სხვანაირად შესძრა იგი“ (იქვე). აქ ყურადღებას მივაქცევთ იმას, რომ ვაჟა საუბრობს **საერო (მთის) კილოთი ნაწერ ლექსებზე**. განაგრძობს: „ამასთანავე ნუ დავივიწყებთ იმასაც, რომ, თუმც მაშინ შეგირდი გახლდით, მაგრამ ხალხური, **ფშაური, ხევსურული** ლექსები ბევრი ვიცოდით; **ეს კილო** მიყვარდა, ჩემს გულში განსაკუთრებული კუთხე ეჭირა; თუმც მაშინაც ლექსებს ვწერდი, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, ვბლაჯნილი, მაგრამ ამ **საერო კილოზე** წერას ვერა ვბედავდი, რადგან მწერლობაში **ლექსების წერის კილოდ** არ იყო მიღებული, არამედ **სხვა კილო** მეფობდა“... (IX, 180).

**შევნიშნავთ:** „საერო კილო“ – ამ მსჯელობიდან ხალხურ მეტყველებას გულისხმობს, მთის (ფშავ-ხევსურეთის)

კილოს; ლექსების წერის კილოდ „სხვა კილო მეფობდა“ – სალიტერატურო ენა იგულისხმება... თუმცა ზოგი რამ აქაც დასაზუსტებელია (ამას ქვემოთ შევეცდებით)...

ახლა ისევ მოვუსმინოთ ვაჟას: „ჯერ დღესაც სჭირს ამ **ფშაურს კილოზე** ნაწერის ლექსების საზოგადოებისაგან ყურის დაგდება და მაშინ ხომ უფრო საძნელო იქნებოდა“...

აქ იმასაც შევნიშნავთ, რომ, როცა დიალექტიზმების შესახებ ვსაუბრობთ ვაჟასთან, როგორც ჩანს, ქრონოლოგიასაც უნდა მივაქციოთ ყურადღება – როდისაა შექმნილი ესა თუ ის ნაწარმოები...

რაფიელ ერისთავმა კი გზა გაგვიხსნაო: „ჩვენმა სახელოვანმა მსცოვანმა მგოსანმა რაკი **სათემო კილო** დაუმკვიდრა ლექსებს და ჟურნალ „ივერიამ“ გზა დაუთმო, მეც გაბედულება მომემატაო“... (იქვე).

მართალია, გრ. ყიფშიძე ეკამათება ი. მეუნარგიას რ. ერისთავისა და რაზიკაშვილთა ურთიერთგავლენის გამო, ამტკიცებს, რომ „ის ხერხი წერისა, რომელიც საერთოა რაფიელისა და ძმათა რაზიკაშვილების ნაწერებში, გაჩნდა თითქმის ერთსა და იმავე დროს“, მაგრამ ვაჟა-ფშაველა ხაზგასმით მიანიშნებს სწორედ გავლენაზე; უფრო სწორად, იმაზე, რომ სწორედ რაფიელის პოეზიამ „გაბედულება შემატა“, საერო კილოზე წერის გაბედულება...

სხვათა შორის, ამ წერილში ვაჟა იმის შესახებაც მიანიშნებს, რომ გავლენა მწერალზე შეიძლება რამდენიმეგვარი იყოს; როცა რ. ერისთავზე საუბრობს, ამ შემთხვევაში „ლექსების წერის კილოზე“ საუბრობს, „საერო კილოზე“, „მთის კილოზე“... ვაჟა შენიშნავს, რომ „გავლენა“ შეიძლება იყოს თემატური და ფორმობრივი. სწორედ ამგვარ გავლენაზე მიანიშნებს: „უნდა გატეხილი მოგახსენოთ, რომ თუმც არავითარი მზგავსება არ არსებობს, და იქნება ვერცა ვის შეენიშნოს, „მოხუცის ნათქვამსა“ და თ. ილია ჭავჭავაძის „დიმიტრი თავ-

დადებულს“ შორის, მაგრამ ამ პოემის წერის დროს „**დიმიტრი თავდადებულს**“ **ჰქონდა ჩემზე გავლენა**, ვიდრე სხვა რომელიმე მშობელ ლიტერატურის ნაწარმოებს, მით უფრო **ფორმას**“ (IX, 181). ამ თვალსაზრისით, „თქვენს უმორჩილეს მონაზე – ვაჟა-ფშაველაზედაც, უნდა მოგახსენოთ, დიდი ზედმოქმედება აქვს ხალხურ თქმულებათა“... (იქვე).

მთავარ სათქმელს რომ დაუბრუნდეთ, რაზიკაშვილებზე რ. ერისთავის გავლენას (უფრო სწორად, მეგზურობას, გზის გახსნას) საერო კილოს (ანუ მთის კილოს, ფშავ-ხევსურულ კილოს) შემოტანაში ადასტურებს ვაჟა-ფშაველა...

ესაა, როგორც ჩანს, საფუძველი იმისა, რომ ბაჩანა და თედო რაზიკაშვილიც დიდი პატივისცემითა და მოკრძალებით არიან განწყობილნი რაფიელ ერისთავის მიმართ...

კითხვები მაინც რჩება: რა არის ის, რაც მთის კილოს სურნელს აძლევს რაფიელის ლექსებს, მით უმეტეს, გ. ყიფშიძის მიერ დასახელებულ ლექსებში – „სამშობლო ხევსურისა“ და „ზამთარი?“...

\* \* \*

გავიხსენოთ, გრიგოლ ყიფშიძის წერილში, რომელშიც საუბარია რაფიელ ერისთავის გავლენის შესახებ ბაჩანასა და ვაჟა-ფშაველას პოეზიაზე, რაფიელ ერისთავის ორი ლექსია დასახელებული „საერო კილოზედ“ დაწერილი – „ზამთარი“ (დაწერილია 1880 წ.) და „სამშობლო ხევსურისა“ (1881 წ.)... როგორც ითქვა, ვაჟა-ფშაველაც წერდა: „რა თქმა უნდა, თ. რაფიელის ლექსებმა, როგორც **საერო კილოთი** ნაწერმა და ისიც **ჩვენებური მთის კილოთი**, სხვანაირად ააჩქროლა ჩემი გული, სხვანაირად შეძრა იგი“ (IX, 180). იმ დროსო, – წერს ვაჟა, – „ამ **საერო კილოზედ** წერას ვერა ვებედავდი, რადგან მწერლობაში **ლექსების წერის კილოდ** არ იყო მიღებული, არამედ **სხვა კილო** მეფობდა. ჯერ დღესაც სჭირს ამ **ფშაურს კილოზე** ნაწერი ლექსების საზოგადოებისაგან ყურის დაგდება; (...)

ჩვენმა მსცოვანმა მგოსანმა რაკი საერო კილო დაუმკვიდრა ლექსებს“... და სხვა (იქვე)...

საინტერესოა, რა **კილოზეა** საუბარი? რას გულისხმობს „საერო კილო“, ანუ „ჩვენებური მთის კილო“, ანუ „ფშაური კილო“ და „სხვა კილო“ – „ლექსების წერის კილო“?

ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით ქვემოთაც ვისაუბრებთ, მაგრამ ამჯერად გვინდა რაფიელის აქ დასახელებულ ორ ლექსს შევეხოთ.

მოდით გავიხსენოთ რ. ერისთავის ეს ლექსები, რომელსაც საერო კილოს ნიმუშად ასახელებს გ. ყიფშიძე.

„ზამთარი“ ცნობილი ლექსია; დიდი ხნის წინათ სასკოლო სახელმძღვანელოშიც კი იყო შეტანილი. ლექსი საკმაოდ ვრცელია; მოვიყვან იმ მონაკვეთს, რომელიც სახელმძღვანელოებში იყო შეტანილი:

„მანსოვს, როცა ბალღი ვიყავ  
მიხაროდა თოვლის მოსვლა,  
თოვლის გუნდის გაკეთება,  
სროლა, თოვლში გორვა, მოსვრა.  
შვილდ-ისარით შაშვსა ვსდევდით,  
ჩიტს ვუდგამდით კაკანათსა,  
ლახტს ვუგებდით ბელურებსა  
ვერ მხედავდნენ მუხანათსა.  
შევებმოდნი მე ციგაში  
და ზედ მეჯდა გოგიელა,  
**გადაბრუნდის** ჩვენი ციგა,  
კოტრიელა, კოტრიელა“...

13 სტროფიან ლექსში მხოლოდ ეს ერთი ფორმა (**გადაბრუნდის**) დიალექტური... სხვა მხრივ ლექსი იმდროინდელი სალიტერატურო ენითაა გამართული, მართალია, II ხოლმეობითის ეს ფორმა (**გადაბრუნდის**) დამახასიათებელი არის მთის დიალექტებისათვის, მაგრამ ასევე ბუნებრივი იყო XIX საუკუნის კახური კილოსათვის (ძველი ქართულის ნორ-

მატული ფორმაა!)... მოგეხსენებათ, რ. ერისთავი კახეთში ცხოვრობდა...

ახლა „სამშობლო ხევსურისა“ გავიხსენოთ. ეს ძალზე პოპულარული ლექსია. ორიოდ სტროფს მოვიყვანოთ:

„სადაც ვმობილვარ, გავზრდილვარ და მისროლია  
ისარი,

სად მამა-პაპა მეგულვის, იმათი კუბოს ფიცარი,  
სადაც სიყრძითვე ვჩვეულვარ – ჩემი სამშობლო ის არი.  
არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა.  
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის  
სამოთხეზედა...“

ლექსი ასევე გრძელდება... თავისებურებანი თავს იჩენს ბოლო სტროფში.

„სამშობლო, დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,  
ორივ ტკბილია, ძმობილო, მირჩვენის ორსავ თვალზედა.  
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა...“

მართალია, ძუძუი ფორმა ფშაურშიც გვაქვს, მაგრამ იგი უცხო არ არის ბარის დიალექტებისათვის; ასევე მთის კილოთა, კერძოდ ფშაური კილოს საკუთრებად ვერ ჩაითვლება გაიცვლების (= გაიცვლება), მეგულვის (= მეგულება) და მირჩვენის (= მირჩენია) ფორმები...

სხვა მხრივ, „სამშობლო ხევსურისა“ იმდროინდელი სალიტერატურო ქართულის სანიძეუმი მაგალითია...

მაშ: რატომ არის ეს ლექსები „საერო კილოთი“, კერძოდ „მთის კილოთი“, კერძოდ „ფშაური კილოთი“ ნაწერი?

რას გულისხმობს ტერმინი „კილო“? არის კი ეს ენობრივი ფაქტის აღნიშვნა?

და საერთოდ, არის თუ არა ეს „საუბრის კილო“, თუ არადა, რა არის?

ეს კითხვები ლოგიკურია... პასუხი?...

ჩვენ ჩვენსას ვცდით...

#### 4. ვაჟა-ფშაველა ქართული ენობრივი სივრცის შესახებ

ერთი მხრივ, ქართველური ენობრივი სივრცის აღწერი-  
სათვის და, მეორე მხრივ, მწერლის ენის საკითხების გარკვე-  
ვისათვის XIX საუკუნეში პრობლემას ქმნის ტერმინოლოგიის  
საკითხი. ტერმინოლოგიის მოუწესრიგებლობა (უფრო  
სწორად: დაუდგენლობა) და ტერმინთა და ცნებათა შესაბამი-  
სობის საკითხი პრობლემაა ვაჟა-ფშაველასთანაც.

**სალიტერატურო ენა** (ლიტერატურული ენა) ეს ტერმი-  
ნი ვაჟასთან ჩვეულებრივი კლასიკური გაგებით იხმარება. „ვინ  
არის ისეთი გაუგებარი, რომ **საერთო, ლიტერატურული ენის**  
**საჭიროება არ ესმოდეს**“ – მიმართავს იგი პ. ძირიანაშვილს.  
„ახლანდელი **ლიტერატურული ენა** ახალია და სიახლის გამო  
ბევრს ფორმებს, ბევრს სიტყვებს მოკლებული არის. ყველა ეს  
ფორმები და სიტყვები ხალხშია დამარხული“ (IX, 62). აქ  
ვაჟა სალიტერატურო ენის თემაზე ლაპარაკობს; ამის შესახებ  
ქვემოთაც ვისაუბრებთ...

**სალიტერატურო ენის** სინონიმად გამოიყენებს ტერმინს  
„დედა-ენა“: „დედა-ენა უნდა გავრცელდეს, განვითარდეს“ (IX,  
298); „თავის **დედა-ენას**, თავიანთ ქვეყანას ძირს უთხრიან“  
(IX, 299); „**დედა-ენა**, მისი სიტყვების აკინძვა, მისი მიმო-  
ხვრა ერთნაირი ამამოძრავებელი ძალაა“ (IX, 287)...

ქართული ენა – სალიტერატურო ენის სინონიმია: „იღვწო-  
ან **ქართული ენის** და მწიგნობრობის ასაყვავებლად“ (IX,  
309); „იმათ **ქართული ენა** მწერლებზედ უკედ არ იციან“ (X,  
123)...

ამავე მნიშვნელობით გვხვდება ტერმინი **სამშობლო ენა**: „არცა აგზავნის სახელმძღვანელო წიგნებს **სამშობლო ენაზე**“ (X, 145).

რაც შეეხება პ. მირიანაშვილის მიერ გამოყენებულ ტერმინს – **საერო ენა** („საერო ენა და სათემო კილო“) – ვაჟას-თვის ეს ტერმინი სხვა დატვირთვისაა:

„ვეფხისტყაოსანზე“ საუბრისას ერთმანეთს უდარებს რუსთველურ ვარიანტს და ხალხურ „ვეფხისტყაოსანს“. რუსთველურს უწოდებს **სალიტერატუროს**, ხალხურს – **საეროს**:

<b>სალიტერატურო</b>	<b>საერო</b>
„ნახეს უცხო მოყმე ვინმე, ჯღა მტირალი წყლისა პირსა“ და სხ.	„ერთი კაცი ზღვისა პირსა ნამტირალი გვანდა გმირსა“ (IX, 118...)

ანუ: **საერო** – ხალხურის ტოლფასია აქ (ოღონდ არა ენის მნიშვნელობით...);

როცა რაფიელ ერისთავის შესახებ საუბრობს, ტერმინს – **საერო** – არაორაზროვნად სალიტერატურო ენის საპირის-პიროდ ხმარობს:

„რა თქმა უნდა, თ. რაფიელის ლექსებმა, როგორც **საერო კილოთი** ნაწერმა“... (IX, 180). „მაგრამ ამ **საერო კილოზე** წერას ვერა ვბედავდი, რადგან მწერლობაში **ლექსების წერის კილოდ** არ იყო მიღებული“ (იქვე); „ჩვენმა მხცოვანმა მგოსანმა **საერო კილო** დაუძკვიდრა ლექსებს და ჟურნალ „ივერიაში“ გზა დაუთმო“ (იქვე)...

ამ კონტექსტებში „**საერო კილო**“ ნიშნავს არალიტერატურულს, ხალხურ სამეტყველო კილოს (ვამბობთ **კილოს**, და არა **ენას**, რადგანაც აქაც იჩენს თავს კითხვის ნიშნები...). ვაჟა გარკვევით წერს – „თ. რაფიელის ლექსებმა, როგორც **საერო კილოთი** ნაწერმა და ისიც ჩვენბური **მთის კილოთი**“ (IX, 180).

**საერო კილო**, ამ შემთხვევაში **მთის კილოს** უდრის... საერო კილო შეიძლება იყოს „**ბარელი ქართული**“ („სუფიქსები **ბარელ ქართულს** არ უყვარს, **ფშავში** კი იხმარება“ (IX, 64).

ანუ: ვაჟას ოპონენტის პ. მირიანაშვილის „დალაგებული“ ენობრივი სივრცე ასე „გადალაგდა“:

„**სათემო კილოები**“ პ. მირიანაშვილისა – „იმერეთის, ქართლის და კახეთის კილოები... მესხური კილო... მესხურ-ქართული, იმერულ-ქართული, მეგრულ-ქართული, ფშაურ-ქართული და სხვა თემების ქართული“ – ვაჟასთან **საერო კილოებია...**

ვაჟა-ფშაველა როცა დიალექტურ ფორმებს მოიხმობს – მოხეურს, ფშაურს – წერს: „ეს ფორმები ხალხურია და სახალხო მწერალს, როცა ხალხს ალაპარაკებს, ეპატიება ამ ფორმების ხმარება“ (IX, 64).

ე. ი. დღევანდელი გაგებით **დიალექტი** (იგივე **კილო**) ამ შემთხვევაში ვაჟასთვის **საერო კილოა...**

დიალექტურ ფორმებს გულისხმობს ვაჟა, როცა საუბრობს „**ფორმებზე**“, „**სიტყვებზე**“. მისი აზრით, ეს სამეცნიერო საკითხია, საეთნოგრაფიო: „მწერალს არ შეუძლიან სავალდებულოდ გაჰხადოს რომელიმე **სიტყვა** ან **ფორმა**, მხოლოდ იმ ნებას კი ვერავინ წაართმევს, რომ მწერლობას მაინც არ გააცნოს, როგორც სამეცნიერო, საეთნოგრაფიო საგანი“ (IX, 64).

რამდენიმე შემთხვევაში ვაჟა გამოიყენებს ტერმინს **ფშაური ენა**: „შოთას ახალი ენა შემოაქვს მწერლობაში და ეს წმინდა ხალხური ენაა. გასაოცარი მსგავსებაა როგორც თვით ენაში, ისე ლექსთწყობაში **ფშაურ ენასთან** და მის კილოსთან“ (IX, 328).

აქ საინტერესოა განმარტება:

„**ფშაური ენა** და **მისი კილო**“

სხვაგან წერს:

„საყურადღებოა იმათი (ფშაველების – გ. გ.) **საუბრის კილო** და **ფორმები**“ (IX, 62).

როგორც ჩანს, ვაჟასთან **კილო** საკმაოდ მრავალმნიშვნელოვანი სიტყვაა...

ფშაური **ენა** – ფშაური **სათემო კილო** – ფშაური **საუბრის კილო**... ვაჟა ასეთ მსჯელობასაც გვთავაზობს: „ფშაველებზე (ფხოველებზე) ნაკლებად ჰქონდათ ზედმოქმედება ოსმალთა, სპარსთა, არაბთა და სხვ. ამიტომ იმათი **სათემო კილო** (თუკი შეიძლება **სათემო კილო** დავარქვათ იმათს **სასაუბრო ენას**) და გრამატიკული ფორმები ხელჩანსაჭიდებია, ღირსსაცოდნელი. ფშაურის საუბრის კილო და გრამატიკული ფორმები, როგორც ნამდვილი ძველი ქართული, სრულიად ჰგვანან ძველის მწერლების ნაწერებისას...“ (IX, 62-63).

**კილო** ამ შემთხვევაში არ გულისხმობს ენობრივ (გრამატიკულ) ფორმებს, რადგან განასხვავებს –

„ფშაური **საუბრის კილო** და **გრამატიკული ფორმები**“... რა არის **ფშაური კილო**?

ვაჟა-ფშაველა განასხვავებს **პოეტურ კილოს** და **სასაუბრო კილოს**.

**ლაპარაკობს ფშაურ პოეტურ კილოზე:**

„ფშაველები პოეტური ხალხია და მათი პოეზია წარმოადგენს უძირო ზღვას, (...) ფშაურ ლექსებს აქვს **მშვენიერი და მაღალი კილო**“ (IX, 19).

„ეს ლექსები ფშავშია გაგონილი და როგორც **კილო** ამტკიცებს, **ფშაურ** ნიადაგზეა აღმოცენებული“ (IX, 366)

„**კილო ხევსურულის ლექსებისა ფშავლისასა** ჰგავს“ (IX, 51).

„საზოგადოდ ფშავლების პოეზიას გავლენა აქვს როგორც **ხევსურულის**, ისე **სხვა მთიელი ქართველების პოეზიაზე**. ამის დამტკიცება ძნელი არ არის: ერთი და იგივე **ლექსი ფშავში** და **სხვაგან** გაგონილი ბევრით **განსხვავდება** გარეგნობით, შინაარსით, სიტყვების მიხვრა-მოხვრით; **ფშავში** ის **ლექ-**

**სი მშვენიერია და სხვაგან კი გაუგებურებელი, მართალს მოკლებული... (IX, 51).**

მეტ სხვაობას ხედავს ვაჟა-ფშაველა ფშაური პოეზიის კილოსა და **ბარულს** შორის: „მე დღეს ის გარემოება მაკვირვებს, რომელსაც ბარის ქართველებსა და ფშაველებს შორის ვხედავ (ესაა ამონარიდი წერილიდან „ძველი და ახალი ფშაველების პოეზია“ – გ. გ.), ბარში შემოქმედებას ერისას, თითქოს მკვდარიყო, თვალები მოუღულია, ხოლო ფშავეში სჩქევს, სდუღს და გადმოდის. ეს გარემოება იმას არ უნდა დაგაბრალოთ, ვითომ ფშაველი სხვაა, ბარელი სხვა. არა. ესენი ორივენი ერთი სისხლი და ხორცი არიან, განუყრელი და განუყოფელი ძმები. მაშ მიზეზი? უსათუოდ ისტორიული ცხოვრება და მისი სხვადასხვანაირი მოწყობილობა“ (IX, 162).

**ფშაური პოეტური კილოს** უპირატესობას სხვა კუთხეთა **პოეტურ კილოსთან** ვაჟა „ახსნასაც“ უძებნის:

„ბარელს ერს – თამამად შეიძლება ამისი თქმა – ვერ გამოუღია ნაყოფი შემოქმედების მხრივ, როგორც ფშაველის გონებას, მის ფანტაზიას. თუ ამ ისტორიულს ცხოვრებას, წარსულს და თუნდ აწმყოს, გავუწვევთ ანგარიშს, ვივარაუდებთ **სულშეხუთული და თავისუფალი კაცის** ყოფა-მდგომარეობას, მაშინ ერთის გაფართოება აპოლონის ტაძარში, ხოლო მეორის გაძევება, აღარ გაგვიკვირდება. სხვაც რომ არა ვსთქვათ რა, გავიხსენოთ ის ფაქტი, რომ ფშაველის ბედი ბატონ-ყმობის უღელს არ გაუხეხია, იმას სხვა ბატონი არცა ჰყოლია, გარდა ღვთისა და ხატისა. მხოლოდ ხატი იყო მისი მბრძანებელი, წელიწადში ერთხელ, ორჯელ მოიკითხავდა თავისთან სამსახურად მკითხავის პირით, ან ერთხელ განმტკიცებულის ჩვეულებით ორიოდ საკლავით“ (IX, 162-163)...

საოცარია ვაჟასეული განმარტება: **პოეტური სულის ამოდრავებას, პოეტური ნაწარმოების შექმნას სულიერი და ფიზიკური თავისუფლება სჭირდება!** რადგან ფშაველს მეტი

ჰქონდა ეს თავისუფლება, მისი პოეტური კილო „მშვენიერი და მაღალი“...

მხოლოდ ხატის სამსახური იყო ფშავლის გონების შემზღუდველი: „მოიშორებდა ამ ხატის ბეგარას და მერე მისი გული და გონება თავისუფალი იყო, ყოველმხრივ ფრთა გაშალა; დრო ჰქონდა დაკვირვებისა, ფიქრისა, ოცნებისა. მარტო ხატის სამსახური აწუხებდა ფშაველსო, ვამბობ, მაგრამ იმასაც ხუმრობას უტეხს და იმის სამსახურიც, ცოტა რა იყოს, ემძიმებაო...“ (IX, 163).

**ფშაური პოეზიის კილო** ამიტომაც „მშვენიერი და მაღალი“... „ბარელი გალიაში იყო შემწყვდეული, იყო მოკლებული იგი თავისუფალს მოქმედებას, საკუთარს აზროვნებას, ფიქრს, პირადი მისი მოქმედება და პირადი მისი აზრი და გრძნობა შეზღუდულ იყო...“ (IX, 163)...

ე. ი. ფშაური **ლექსის კილო** „მშვენიერია და მაღალი“, ამის საფუძველი ისტორიული ცხოვრებაა. ფშაველი ისტორიულად თავისუფალი იყო ფიზიკურად და სულიერად და ამიტომაც მიეცა ფშაური ლექსის კილოს „სიმშვენიერე და სიმაღლე“...

**საუბრის კილო? ფშაური საუბრის კილოც ასევე განსხვავებულია სხვათაგან:**

როდესაც პ. მირიანაშვილმა ვაჟა-ფშაველას უსაყვედურა სალიტერატურო ენაში („საერო ენაში“) დიალექტიდან („სათემო კილოდან“) „დღევანდელს ქართულთან შედარებით უკან ჩამორჩენილი გრამატიკები ფორმები შემოიტანა და ამასთანავე ზოგიერთი მეტ-ზორცი სიტყვებისაცა“, „პროვინციალიზმით გაახორკლიანა“ ენაო, ვაჟა, ცხადია, არ იღებს ამ საყვედურს და ვრცლად განმარტავს **ფშაური სასაუბრო კილოს** რაობის საკითხს:

**„ფშაველებს** ამ შემთხვევაში საპატიო ადგილი ეძლევათ. საყურადღებოა იმათის **საუბრის კილო და ფორმები**, სხვათა შორის იმიტომაც, რომ იმათ უფრო მეტი საშუალება ჰქონიათ **ქართული ენა დაეცვათ წმინდად, შეუბღალავად**: ფშაველებზე

(ფხოველებზე) ნაკლებად ჰქონდათ ზემოქმედება ოსმალთა, სპარსთა, არაბთა და სხვ. ამიტომ იმათი სათემო კილო (თუკი შეიძლება **სათემო კილო** დავარქვათ იმათ **სასაუბრო ენას**) და გრამატიკული ფორმები ხელჩასაჭიდებია, ღირსსაცოდნელი. **ფშაურის საუბრის კილო** და **გრამატიკული ფორმები**, როგორც ნამდვილი ძველი ქართული, სრულიად ჰგვანან ძველის მწერლების ნაწერებისას, რის გამო იმათ „უკან ჩამორჩენა“ არ ეკუთვნებათ“ (IX, 62-63).

ეთნოგრაფიული წერილის „ხევსურები (საზოგადო შენიშვნები)“ ვარიანტში ვკითხულობთ: „თუ ნამდვილი ძველი ქართველი არ არიან ხევსურები, საით შაისწავლეს **ისე წმინდად ქართული ენა**, ასე განცალკევებულად მცხოვრებელმა ხალხმა ქისტების მეზობლობაში, თუკი თან არ მოიყოლეს თავისი საკუთარი შემუშავებული ქართული ენა. რომ **ფშავლები და ხევსურები წმინდად ლაპარაკობენ**, ამის დასამტკიცებლად მოვიყვან სიტყვებს ენის მცოდნის მეფის თეიმურაზისას, რომელიც ამბობს ამათზე „წმინდად და გაურყვნელად სძრავიან ქართულს ენასო“... (IX, 442).

ესეც გავიხსენოთ, როცა ვაჟა „ვეფხისტყაოსანზე“ საუბრობს, ამბობს: „გასაოცარი მსგავსებაა როგორც თვით ენაში, ისე ლექსთწყობაში **ფშაურ ენასთან და მის კილოსთან**“...

ასევე: „ნიჭიერ მწერლებად და ენის მაგალითად ჩვენთვის ორი მწერალი კმარა – შოთა რუსთაველი და დავით გურამიშვილი, გაურყვნელის ენით მოსაუბრედ კიდევ მთიელნი, რომლებთანაც მე მაქვს დამოკიდებულება“ (IX, 187).

ასე რომ, თუ ამ თემაზე საუბრისას მრავალი კითხვის ნიშანი არსებობს, ამის უმთავრესი მიზეზი ისაა, რომ ქართული ენობრივი სივრცე მრავალფეროვანი და რთულია; მეორე მხრივ, პრობლემა არაა ჯეროვნად შესწავლილი და ერთიც – დასაზუსტებელი და გასარკვევია იმდროინდელი ტერმინოლოგიაც...

თუმიცა ფაქტია: ვაჟა-ფშაველა ამ სივრცეში ლაღად გრძნობს თავს, თუმიცა ზოგი რამ ჩვენთვის ამოსახსნელია...

## 5. ზოგადად ტერმინთა და ცნებების ურთიერთმიმართებისათვის

აქ ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ ვაჟა-ფშაველასთან გამოყენებულ ტერმინებზე. ვთქვით, არ იყო ეს მხოლოდ ვაჟას პრობლემა...

როცა ვაჟა-ფშაველას პოეზიაზე ვსაუბრობთ და, საერთოდ, როცა მწერლის ენაა საუბრის თემა, არსებითი მნიშვნელობა აქვს იმ ცნებებში გარკვევას, რაც ამ სფეროს უკავშირდება. არსებითი ისაა, რომ არაა დაზუსტებული და დადგენილი ტერმინოლოგია. დღეს ზოგიერთ ავტორთან ისეთი შემთხვევებიც შეგვხვდება, როცა დღევანდელი ტერმინოლოგიით (ენა, დიალექტი//კილო, კილო-კავი...) მსჯელობენ XIX საუკუნის ავტორთა აზრებზე... ანუ, იმ ავტორთან გამოყენებულ ტერმინებს დღევანდელი მნიშვნელობით განიხილავენ, რაც თავისთავად საფუძველი ხდება მცდარი დასკვნებისა, თუმცა ეს სხვა თემაა... მაგრამ არა, ეს ეხება ვაჟა-ფშაველასაც და მის კრიტიკოსებსაც...

ამიტომაც გვინდა უფრო ზოგადი კუთხით დავინახოთ ეს საკითხი.

\* \* \*

საერთოდ, როგორც ცნობილია, ქართველური ენობრივი სივრცე საკმაოდ რთული და საინტერესოა. ეს სირთულე არის მიზეზი იმისა, რომ სწორი ანალიზი ამ სივრცისა არცთუ იოლია; მითუმეტეს XIX საუკუნეში, როცა ენათმეცნიერული ცოდნა (და საერთოდ ენათმეცნიერება) არაა იმ დონეზე, ასეთი ფაქტიზი საკითხი რომ უმტკივნეულოდ გააანალიზოს.

ამ თვალსაზრისით, ვფიქრობთ, იაკობ გოგებაშვილი იყო ის ავტორი, რომელმაც ფართო ყურადღება მიაქცია ამ თემას და შეძლო სწორი ანალიზი ჩაეტარებინა ქართველური ენობრივი სივრცისა, თუმცა ტერმინოლოგიურმა სირთულეებმა იქაც სერიოზულად იჩინა თავი...

ეს პრობლემა იაკობ გოგებაშვილის არაერთი წერილის საგანი იყო; ამიტომაც მისი შემოქმედება ამ თემაზე საუბრის მეტ შესაძლებლობას იძლევა. იაკობ გოგებაშვილთან ზოგადად ასეთი სურათია: „ქართველურ ენობრივ სივრცეში იაკობი სამი დონის ენობრივ ერთეულებს გამოყოფს:

**ქართული სალიტერატურო ენა,  
სვანური და მეგრულ-ჭანური (ლაზური)**

**ქართული დიალექტები“** (გ. გოგოლაშვილი, ქართული სალიტერატურო ენა (ნარკვევები), 2013, 73).

მაგრამ, როგორც ვთქვით, ტერმინოლოგია საკმაოდ რთული და მრავალფეროვანია.

ქართული სალიტერატურო ენის სინონიმად იაკობი რამდენიმე ტერმინს გამოიყენებს:

**ქართული სალიტერატურო ენა,  
ლიტერატურული დედა-ენა,  
ძირითადი ქართული ენა (დედა-ენა),  
მთავარი ენა,  
მთავარი დედა-ენა,  
საერთო ენა,  
ზოგადი ენა,  
ზოგად-ქართული კულტურული ენა,  
სადმართო ენა.**

მეგრულ-ჭანურისა და სვანურის აღსანიშნავად ასეთ ტერმინებს გამოიყენებს:

**ადგილობრივი კილო,  
ადგილობრივი დიალექტი,**

**ადგილობრივი კილო-კავი.**

**მშობლიური კილო,**

**თემიური კილო-კავი,**

**პროვინციული კილო,**

**პროვინციური კილო-კავი...**

**კილო, კილო-კავი, დიალექტი** ამ შემთხვევისათვის სინონიმებია. ი. გოგებაშვილი ამ ტერმინების სინონიმად **ენასაც** გამოიყენებს; პუბლიცისტურ წერილებში არა, მაგრამ „ბუნების კარში“ მეგრულს, ჭანურსა და სვანურს ენებად მოიხსენიებს. ქართულ ეთნოგრაფიულ კუთხეებზე საუბრისას ამ კუთხეების მეტყველებას ჩვეულებრივ ქართულად მოიხსენიებს (მაგ.: „აჭარლები შინ ოჯახობაში ქართულად ლაპარაკობენო“) ... ასე რომ, კახური, ქართლური, იმერული, ხევსურული, ფშაური და ა. შ. ი. გოგებაშვილისათვის ქართული ენის ნაირსახეობაა, თუმცა მათ კილოდ, კილო-კავად, ენად არ განიხილავს... (ამ საკითხზე ვრცლად იხ.: გ. გოგოლაშვილი, დასახ. ნაშრ. 71-79). მაგრამ მის მიერ გამოყენებული ტერმინები საკმაოდ გავრცელებულია იმდროინდელ პუბლიცისტიკაში, თუმცა ზოგჯერ არც მთლად გასაგებად და ლოგიკურად გამოიყენება...

როცა იმ დროისათვის ისეთ განათლებულ ავტორთან, როგორცაა ი. გოგებაშვილი, ასეთი სიჭრელეა ტერმინოლოგიაში, შეიძლება წარმოვიდგინოთ, რა ვითარება შეიძლება იყოს სხვასთან... ამიტომაც ამა თუ იმ ავტორის მიერ რომელიმე ტერმინის გამოყენება შეიძლება არ გამოდგეს იმის არგუმენტად, რომ ამ ტერმინში იმ აზრს დებს ავტორი, რომელსაც ჩვენ ვხედავთ... დღეს არსებულმა ტერმინოლოგიამ შეიძლება XIX ს-ის ავტორთა ხედვა სხვაგვარად გაგვაგებონოს და შეცდომაში შეგვიყვანოს; იმ ავტორის აზრი არასწორად გაგვააზრებინოს... ამის მაგალითების მოყვანას აქ არ შევუდგებით...

როგორც ჩანს, ამ სფეროში არსებულმა სირთულემ უკარნახა პ. მირიანაშვილს, რომ ემსჯელა, რა არის საერო ენა და რა – სათემო კილო. სათაურადაც ამიტომ გამოიტანა სწორედ ეს („საერო ენა და სათემო კილო“)...

პ. მირიანაშვილი ცდილობს, ენობრივი სივრცის თავისებური სურათი შექმნას, საკმაოდ მარტივი:

ერთი მხრივ, საუბრობს **საერო ენაზე** (იმავე სალიტერატურო ენაზე) და, მეორე მხრივ – **სათემო კილოებზე**.

საინტერესო ისტორიულ ექსკურსს გვთავაზობს პ. მირიანაშვილი:

„ზემო-ქართლიდამ გამოვიდა პოლიტიკა და იმისი ენაც გამთავრდა საქართველოს დანარჩენ თემთათვის... იგი იპყრობდა აგრეთვე მესხებს“... მესხურმა „კილომ მწერლობაში მოქალაქეობა დაისაკუთრა მთლად კლასიკებრ პერიოდის განმავლობაში, ამის მიზეზი იყო ორი გარემოება: განათლება და პოლიტიკებრი ძლიერება“... ამ პერიოდის ქართულს **მესხურ ენად** მოიხსენიებს („მესხეთის ენა“ – ამ ტერმინსაც ხმარობს) – წმინდა ნინოსა და ათცამეტ ასურელ მამას „მშვენიერი ენა, რომლითაც ივინი საქართველოში სახარებას ჰქადაგებდნენ“, შესწავლილი უნდა ჰქონებოდათ ან სირიის ქართველთა მონასტრებში, ან მეზობლად მესხეთში, რაც უფრო საგულისხმოა“...

ე. ი. მისი აზრით, მესხური ენა – იგივე კლასიკური პერიოდის ქართული სალიტერატურო ენაა.

საქართველოს სხვადასხვა თემის სასაუბრო ენას (ანუ დღევანდელი ტერმინით – დიალექტს) სათემო კილოს უწოდებს; შესაბამისად გვაქვს „იმერეთის, ქართლის და კახეთის კილოები“ – „იმერულ-ქართული“, „მესხურ-ქართული“, „მეგრულ-ქართული“, „ფშაურ-ქართული“ და „სხვა თემების ქართული“. ტერმინს **ფშაური** ხმარობს მხოლოდ პოეზიის შესახებ „ფშაური პოეზია“ (ასევე „ქიზიყური პროზა“)...

იგულისხმება: **ფშაური პოეზიის** საფუძველია **ფშაურ-ქართული კილო**.

ცნებების – ენა, კილო – გაგებისა და მასთან დაკავშირებულ ტერმინებთან მიმართებით გაცილებით რთული ვითარებაა ვაჟა-ფშაველას ნაწერებში. ყველას კარგად გვახსოვს აკაკისადმი მიძღვნილი ლექსიდან –

„მე არცერთ **კილოს** არ ვწუნობ,

თუა ქართული გვარისა“.

ამ, ლამის დევიზად ქცეულ სტრიქონებში, **კილო** დღევანდელი დიალექტის (იგივე კილოს) გაგებით ჩანს ნახშიარი. თუმცა ასე ერთმნიშვნელოვანი არ არის ამ ტერმინის გაგება ვაჟას პუბლიცისტურ წერილებში...

## 6. „ჰინ არის ნიჭიერი მწერალი?“

ვთქვით, როცა ვაჟას უთხრეს, „ენას გიწუნებო“, ძალიან განიცადა; დავით კლდიაშვილისათვის უთქვამს, „მე ამ ჩემი ერთ მომწონს თავი, თორემ სხვა რა არის ჩემს ლექსებში და პოემებში“... და ეს ასე რომ იყო, ამის ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლებოდა...

**შენიშნავთ:** ვაჟა ერთგან წერს: „საჭიროდ ვრაცხ ამ თავიდანვე გავაფრთხილო მკითხველი, რადგან სიტყვას „მწერალი“ როცა ვხმარობ, ვგულისხმობ პოეტს, ბელეტრისტს, დრამატურგს“ (IX, 294). მას თავისი თავი, როგორც ჩანს, უპირველესად პოეტად მიანჩნდა; უპირველესად ლექსებით და პოემებით „იწონებს“ თავს...

ვაჟა-ფშაველა სხვა არის ქართულ მწერლობაში; მისი დამოკიდებულება ქართული ენისადმი განსხვავებულია მრავალთაგან... მეტიც – მის მიერ დანახული მწერლისა და ენის ურთიერთდამოკიდებულება განუმეორებელია...

თემა – **ენა და მწერალი**, ან **მწერალი და ენა** – ვაჟასთან უაღრესად საინტერესოა...

\* \* \*

ვაჟა-ფშაველას აზრით, „უსათუოდ **საუკეთესო მგოსანი ენის მცოდნედ უნდა მივიღოთ**. რისთვის? მისთვის, რომ ერი უპირველეს ყოვლისა დედა ენისა, ხოლო საუკეთესო მგოსანი, როგორც თვით ენა, ღვიძლი შვილია მისივე და არავინაც არ არის თავისს მშობელთან ისე დაახლოვებული, როგორც

ის, ვისაც შეუთვისებია მშობლის სისხლი და ხორცი“ (IX, 186) (აქცენტი – საუკეთესო მგოსანი და არა მწერალი... – გ. გ.).

ვაჟა-ფშაველა კითხვებს სვამს:

„ – ვინ არის ნიჭიერი მწერალი?

– ვის დაერქმის ღირსეულად ეს სახელი?

– რა ნიშნები ეტყობა უტყუარ ნიჭს?“ (IX, 294)

პასუხი ერთმნიშვნელოვანია და ნათელი:

„მწერალს, უპირველეს ყოვლის, საკუთარი „ენა“ უნდა ჰქონდეს, ვინაიდან ენა სახეა მწერლისა, მისი ფიზიონომიაა და, უკეთესად რომ ვთქვათ – მწერლის სულია; ენაში იმალება მწერლის ინდივიდუალობა, მისი „მე“. ამიტომ ნიჭიერი მწერლის ნაწარმოები თუ ერთი-ორი რამ წაგიკითხავთ წინად, შემდეგ ხელმოუწერელიც რომ შეგხვდეთ, ადვილად იცნობთ, ვის კალამსაც ეკუთვნის“ (IX, 294)...

აქ ისევ კითხვას სვამს პოეტი: „ამ განსაკუთრებულს დაღს რა ასვამს ნაწარმოებს და რა ჰხდის მას ადვილად საცნობად?“ (იქვე).

**შეგნიშნავთ:** მკითხველისათვის პოეტის აზრი რომ უფრო გასაგები იყოს, მკითხველს რომ არ დარჩეს გაურკვეველი და გაუცნობიერებელი მთავარი სათქმელი, თავის თავს კითხვებს უსვამს (ჩაკითხვის მეთოდით) და თვითონვე უპასუხებს...

მაშ ასე, რა ჰხდის ნაწერს ადვილად საცნობს – „ეს გახლავთ „ენა“, რამიაც უხილავად ჩაქსოვილია მთელი მისი სულიერი სიცოცხლე, ავლადიდება. ფესვები მწერლის ენისა, სტილისა, იქ არის ჩაწმანული. მწერალს უნდა ჰქონდეს საკუთარი ფრაზეოლოგია, საკუთარი წინადადებანი, საკუთარი სურათები, თუნდაც ისინი სხვის სურათებს ჰკავდეს, მაინც და მაინც თავისებურად უნდა იყოს გამოთქმული; მაშასადამე,

ორიგინალობა უნდა ეტყობოდეს, **ბეჭედი თავისებურებისა უნდა ესვას**“ (IX, 294).

**შენიშნავთ:** აქ ალბათ გაგვანსენდება გალაკტიონისეული შეფასება: ვაჟა „ხომ თვითონ მეფე იყო, ჰქონდა თავისი სამეფო და ჰყავდა თავისი ხალხი, **ოქროს სჭრიდა საკუთარი შტამპით**“...

ყოველივე ეს, ანუ რაც ითქვა ენის შესახებ, ვაჟა-ფშაველას აზრით, „გარეგანი ნიშნებია მწერლის ნიჭისა“ (IX, 294); ანუ – **ენა მწერლის ნიჭის გარეგანი გამოხატულებაა...**

შინაგანი ნიჭიერება, ღირსება? – „ხოლო **შინაგანი ღირსება** ისაა, თუ რა მოვლენანი გაუხდია მას თავისი მწერლობის საგნად და რა ღირებულებისაა ეს მოვლენანი, რამდენად დამოკიდებულია ამ მოვლენებზე ბედი და უბედურება, სიკეთე და სიკეთე ადამიანთა სიცოცხლისა, ცხოვრებისა, – და რამდენად ცხოვლად, ნათლად, მკაფიოდ, ძლიერად გვიხატავს ამ მოვლენათ...“ (IX, 294).

ანუ: ღიღოსტატური შერწყმა ამ **შინაგანი და გარეგანი ნიჭიერებისა** ქმნის ლიტერატურულ ქმნილებას.

ამ მსჯელობას მოვუსმინოთ: „სათავე ენისა, ვგონებ, ყველამ კარგად იცის, სად არის ან რა არის... ეს სათავე ენისა გახლავთ ძველ ნიჭიერ მწერალთა ნაწარმოებნი, ის ქართული თემები, სადაც დღევანდლამდე შემონახულა შეუბღალავად, უმწიკვლოდ ქართული ენა. სხვებს რომ თავი დაეანებოთ, ნიჭიერ მწერლებად და ენის მაგალითად ჩვენთვის მხოლოდ ორი მწერალი კმარა – შოთა რუსთაველი და დავით გურამიშვილი“ (IX, 187)...

„ვეფხისტყაოსნის“ სიდიადეს სწორედ ის განსაზღვრავს, რომ იგი **ქართულ** ენაზე დაიწერა:

„როგორ შეიძლებოდა, თქვენვე იფიქრეთ, რუსთაველს მონგოლურად ან არაბულად ეფიქრა, ეგრძნო და ისე დაეწერა „ვეფხისტყაოსანი“! ან დიდი მცოდნეც რომ ყოფილიყო მონგო-

ლურის და არაბულის ენებისა და მათ ენაზე დაეწერა თავისი უკვდავი ნაწარმოები, ის იქნებოდა, რასაც დღეს ვხედავთ? არც მესამედი!“ (IX, 297).

ამ აზრს ვაჟა სხვაგანაც იმეორებს: „რა იქნებოდა, ვსთქვათ, ასე ილია ჭავჭავაძეს, ალექსანდრე ჭავჭავაძეს, გრიგოლ ორბელიანს, ნიკო ბარათაშვილს, აკაკი წერეთელს რუსულ ენაზე ჰქონდეთ დაწერილი თავიანთი თხზულებანი? რა იქნებოდა დიდებულ შოთას „ვეფხისტყაოსანი“ რომ რუსულ ან თათრულ ენაზე დაწერილიყო? ჩვენთვის განა ის მნიშვნელობა ექნებოდა, რაც დღესა აქვს?“ (IX, 300).

**შენიშნავთ:** აქ გაგვახსენდება მუხრან მაჭავარიანის ლექსი:

„ენა რომ არა, ისიც ასეთი,  
როგორც იტყვიან – კალმით ნახატი!  
შენი თვით შოთა, რასაც დაწერდა, –  
ერთი იმასაც ვნახავდი!“...

დიან, ენა და პოეტური მუზა! ეს ერთობა ქმნის უკვდავ შედეგებს – ვაჟა-ფშაველას აზრით:

„დედა-ენა, მისი სიტყვების აკინძვა, მისი მიმოხვრა ერთნაირი ამამოდრავებელი ძალაა, ზეშთაბერვა, პოეტის აღმაფრთოვანებელი მუსიკა, მისთვის ძალღონის მიმცემი თვით წერის დროს, მეორე მუზაა. თუ პირველი („შინაგანი ნიჭი“, „პირველი მუზა“ – გ. გ.) მარცხნივ უდგა და აზრს უკარნახებს, მეორე („დედაენა“, „გარეგანი ნიჭი“ – გ. გ.) მარჯვენას უმშვენებს და ნაწარმოების ფორმას აძლევს“ (IX, 297).

დიდებული მსჯელობაა! სწორუპოვარი აზრი!

ეს – ზოგადი მსჯელობა. კონკრეტულად? ვაჟა-ფშაველას ქართველ მწერალთა ქართული ენის ცოდნის დონე აფიქრებს; თუმცა ამის მიზეზებსაც ეძიებს და დასკვნებსაც აკეთებს. ვაჟას საფიქრალი ესაა: „ამ ბოლო ხანს ჩვენს საზოგადოებაში მასლაათის დროს და გაზეთებშიაც შევხვდებით სა-

მღურავს ქართულის ენის შებღალვისა გამო. თუ საქმეს ჩა-  
ვუკვირდებით, ამ სამღურავს საფუძველს ვუპოვით: ყველა  
ჩვენგანს სწავლა მიუღია უცხო ენის მეოხებით, უცხო ენაზედ  
დაწერილს წიგნებით გვივარჯიშებია ყველას ჩვენი გონება და,  
უეჭველია, ამ გარემობას ის შედეგი მოჰყვებოდა, რასაც ვხე-  
დავთ... ეს არაა საკვირველი, არამედ ისა, ქართულად ვფიქ-  
რობდეთ და ქართულად ვწერდეთ“ (IX, 188).

(როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს წერილი ვაჟა-ფშაველა-  
სი („ენა“) 1901 წელს იწერება. აქ (და სხვაგანაც) აშკარაა  
იაკობ გოგებაშვილის ვრცელი ნაშრომის „ბურჯი ეროვნებისა“  
გავლენა („ბურჯი ეროვნებისა“ გამოქვეყნდა 1900 წელს)...

თუმცა ეს მაინც არ მიაჩნია ვაჟას გამართლებად ქართუ-  
ლი ენის უცოდინარობაში: „მაინც და მაინც როგორც ჰქუხს,  
ისე არა წვიმს. ჩვენი გამოჩენილი და გამოუჩენელი მწერლები  
ერთობლივ უცხო მწერლობით არიან ნაკლებნი, მაგრამ ყველა-  
სათვის ერთნაირად საზარალო არ ყოფილა ეს ამბავი, ზოგი-  
სათვის ძალიან ღრმად დაუსვამს დალი, მეორისთვის ნაკლე-  
ბად... ამიტომ არ შეგვიძლიან ყველა ჩვენს მწერლებს ენის  
უცოდინარობა ვუკიჟინოთ“... (IX, 188).

გავიხსენოთ: ეს წერილი იწერება 1901 წელს; ორიოდე  
წლის წინათ საკმაოდ მკაცრი კრიტიკა გამოაქვეყნა აკაკი წე-  
რეთელმა რაზიკაშვილების ენისა („ბიბლიოგრაფიული შენიშ-  
ვნები“...)... ადრეც ვწერდი, ვგონებ, სწორედ ეს კრიტიკაა სა-  
ფუძველი ვაჟას ამ წერილის დაწერისა (ამის თაობაზე აქაც  
გვექნება საუბარი ცოტა ქვემოთ)... მგონია, სწორედ ამიტომ  
ვაჟას „სამიზნე“ „ნო-იანელები“ არიან: „თუმცა ისეთი მწერ-  
ლებიც გვეპოვება, რომ ორმოცი წელია ჰმოდგაწეობენ, ორმო-  
ცი წელია, რაც სწერენ ქართულად, და დღესაქომამდე ვერ  
მიუგნიათ ქართული ენისთვის“ (IX, 188) (ამ ფაქტს  
ქვემოთაც გავიხსენებთ, როცა აკაკი წერეთლისა და ვაჟა-  
ფშაველას პოლემიკას შევეხებით...).

როცა ამ ბრალდებას დაწერს, იქვე ცდილობს განმარტოს, **მწერლის მიერ ენის ცოდნა რას ნიშნავს**, რას გულისხმობს: „რას ჰქვია ენის ცოდნა. რასაკვირველია, არა კმარა მხოლოდ სიტყვები ვიცოდეთ, უნდა ისიც გვესმოდეს, თუ როგორ შევეუთანხმოთ ეს სიტყვები ერთი მეორეს და წინადადება როგორ ავაშენოთ, ამისთვის **საჭიროა ენის სულისა და გულის შეგნება**; ამ შეგნებისათვის კი საჭიროა ის ღირსება და მადლი, რომ თვით **მწერალს უცემდეს ქართულად გული და მაჯა!**...“ (IX, 186).

თავის უპირველეს ღირსებად ვაჟა იმას მიიჩნევს, რომ ფშაური, ზოგადად კი მთიელთა მეტყველება არის საფუძველი მისი ენისა: სწორედ ძველი მწერლები და „გაურყვნელის ენით მოსაუბრედ კიდევ მთიელნი, რომლებთანაც მე მაქვს დამოკიდებულება, და ამ გაკიცხულს ფორმებსაც იმათგან ვიძენ, ნუ გგონიათ ფორმებს ვთხზავდე, ღმერთმა დამიფაროს!“ (IX, 187).

ენის გამდიდრება ხალხური ფორმებითა და სიტყვებით მწერლის უპირველესი მოვალეობაა: „შემოტანა მრავლის ფორმებისა, თუ კი სადმე მოგვეპოვება, კაი ნიშანი მგონია, ხოლო – ფორმების გატანა და შემცირება – ერის გალახვად, შეურაცხყოფად, დამცირებად მიმაჩნია“ (IX, 187)...

ცამდე მართალია ვაჟა, როცა ოპონენტს გაკვირვებული მიმართავს: „ხმარება იმგვარის სიტყვების, რომელნიც არ იხმარებიან ბარად, ან ლიტერატურაში, და, ვსთქვათ, მოიპოვება ფშავში, ნუთუ „გახორკლიანება“ იქნება ენისა?... რამდენი (...) სიტყვა მოიპოვება ქართული ფშავში, რომ ბარელმა ქართველმა არ იცის“ (IX, 64).

უსამართლო კრიტიკა, ენის უცოდინრობის დაბრალება, მკითხველისა თუ კრიტიკოსისაგან (არა მწერლისაგან) ენის დაწუნება ვაჟა-ფშაველას აღშფოთებასაც კი იწვევს: ... „თუმც ეს უკანასკნელნი მწერალს ენასაც უსწორებენ: მწერალს ეს

სიტყვა უნდა ეხმარა ამ სიტყვის მაგივრად, ეს სიტყვა პოეზიაში სახმარებელი სიტყვა არააო, უდგენენ მოლექსეს საპოეზიო ლექსიკონს და რითმებს. ამას იქით არ გადააბიჯო, თორემ ვაი შენს ტყავსაო. ნუ დაივიწყებთ, რომ იმათ ქართული ენა მწერალზე უკედ არ იცინა“... (X, 123).

თავად ეს თემა, ფშაური სიტყვა-ფორმების შემოტანა-დამკვიდრებისა ქართულ სალიტერატურო ენაში, იყო ერთ-ერთი მთავარი კრიტიკის საგანი ვაჟას სიცოცხლეშიც და შემდეგაც... XX საუკუნეში საუბრობდნენ ვაჟას „ენობრივ ნატურალიზმზე“ და „ენობრივ პარტიკულარიზმზე“ (50-იან წლებში ვაჟა-ფშაველა ლამის აიკრძალა; წერდნენ: „ვაჟას ენობრივი ნატურალიზმი ბოლოსდაბოლოს წარმოადგენდა იმავე დროის ენობრივ პარტიკულარიზმს, ამიტომ, რასაკვირველია მართალი იყო აკაკი, როცა მან ვაჟას ენა დაუწუნა“ (ი. ქავთარაძე)... ამ თემაზე პოლემიკას ქვემოთაც შევეხებით, აქ კი ვაჟას პოზიციას მოვიხმობთ (რასაც, სამწუხაროდ, ხშირად არ ითვალისწინებდნენ...); საკითხი ისევ მწერლის უფლება-მოვალეობას უკავშირდება:

„მწერალს არ შეუძლიან სავალდებულოდ გაჰხადოს რომელიმე სიტყვა ან ფორმა, მხოლოდ იმ ნებას კი ვერავენ წართმევს, რომ მწერლობას მაინც არ გააცნოს როგორც სამეცნიერო, საეთნოგრაფიო საგანი... (...) ეს ფორმები ხალხურია და სახალხო მწერალს, როცა ხალხს ალაპარაკებს, ეპატიება ამ ფორმების ხმარება“ (IX, 64).

ვაჟა-ფშაველა თავის უმნიშვნელოვანეს წერილში „ნიჭიერი მწერალი (არ ახალია – ძველია)“ ცალკე აბზაცად გამოყოფს და საზოგადო შეგონებასავით გვთავაზობს: „დიდად საჭიროა მწერლისათვის პატრიოტიზმი, თავის ენის და ერის სიყვარული“.

სწორედ ეს სიყვარული – ქვეყნისა, ენისა და ერისა – არის ის, რაც მწერალს ჭეშმარიტ ეროვნულ მწერლად აქცევს...

\* \* \*

ყოველივე ეს იმისთვის ითქვა, გავიაზროთ: **ვაჟა-ფშაველა ქართულ მწერლობაში ერთ-ერთი ის მწერალია, რომელსაც აქვს საკუთარი ენობრივი პოზიცია** – ლოგიკური და ღრმა თეორიულ საფუძველზე დამყარებული... ამიტომაც, არ შეიძლებოდა ვაჟას მიმართ ისეთი დამოკიდებულება ამ თვალსაზრისით, როგორც გამოიჩინეს მისი სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე...

რა იყო ეს დამოკიდებულება? ვერ გაუგეს, ვერ შეიცვნიეს ვაჟა-ფშაველა ისეთი, როგორიც იყო? დღეს არის შეცნობილი ბოლომდე? ანდა: არის კი შესაძლებელი?...

ჩვენ ისევ განვაგებთ ამ თემებზე საუბარს!...

## 7. ვაჟა-ფშაველას ენის პრობლემა ლიტერატურულ სამყაროში

### ა) ვითარება 1915 წლამდე

\* \* \*

დიახ, ვაჟა-ფშაველა რომ გამოჩნდა სამწერლო ასპარეზზე, XIX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისი იყო. მწერლობაში მოვიდა დიდი ძალა; შეუმჩნეველი არავის დარჩენია. ვიცით, ილია ჭავჭავაძეს ისიც უთქვამს, „არა, ჩვენ, ძველებმა, ახლა კალამი ძირს დავდვით, გზა ვაჟას დავუთმოთ“ (გიგა ყიფშიძის მოგონებიდან); „რუსთაველის შემდეგ ასეთი პოეტი არ გვყოლიაო“ (ექვთიმე თაყაიშვილის მოგონებიდან)...

თუმცა იმთავითვე „კრიტიკოსებიც“ გამოუჩნდნენ ვაჟას: კრიტიკის თემა ენა იყო ახალგაზრდა პოეტისა მხოლოდ... ეს ფაქტი იმდენად თვალსაჩინო იყო, რომ ვაჟას სიცოცხლეშიც და ვაჟას გარდაცვალების შემდეგაც ეს თემა (ვაჟას ენობრივი სამყარო) აქტიური მსჯელობის საგანი გახდა...

და შემუშავდა აზრი: „ვაჟა-ფშაველა თავის ლექსებსა და პოემებს ფშაურ კილოზე წერდა, ხოლო პროზაულ ნაწარმოებებს ლიტერატურულ ენაზე“ (იხ. შ. ძიძიგური, ლიტერატურულ-ენათმეცნიერული წერილები, 1974, 162); „ფშაური ფორმების უხვად შემოტანა ენაში, უფრო მეტიც, სავსებით ფშაურ კილოზე წერა, თვალში საცემი მოვლენა იყო. ვაჟა-ფშაველა ფშაურ კილოზე წერდა“ (ი. გიგინეიშვილი, „სახალხო განათლება“, № 14, 1951). ან: „ვაჟა-ფშაველა ფშაურ-ხევსურული კილოს ზედმეტი გამოყენებით ხელს კი არ უწყობდა სალიტე-

რატურო ენის დადგენასა და სიწმინდისათვის ბრძოლას, არამედ **ბღალავდა საერთო ეროვნულ სალიტერატურო ენის** განვითარება-განმტკიცების საქმეს“ (მიხეილ ზანდუკელი, ვაჟა-ფშაველა, 1953, 520)...

ეს და მსგავსი თვალსაზრისები (მრავლადაა!) გახდა საფუძველი საკმაოდ მძიმე დასკვნების გასაკეთებლად; შეიძლება ითქვას, „განაჩენის გამოსატანად“ (ამის შესახებ ვრცლად მსჯელობს შოთა ძიძიგური დასახელებულ ნაშრომში)... ფაქტობრივ, ეს განაჩენია:

„ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში შეიძლება გაბატონებულად ჩათვალოს აზრი, რომ ვაჟა-ფშაველას პოეტური მეტყველება დაფუძნებულია დიალექტის მასალაზე, რომ მწერალი არ ემორჩილება სალიტერატურო ენის იმ მაგისტრალურ გზას, რომელიც გაწალდეს ახალი სამწერლო ენის ფუძემდებლებმა – ილია და აკაკიმ. ეს შეხედულება ჩვეულებრივ ასეა ფორმულირებული: ვაჟა-ფშაველა თავის ლექსებსა და პოემებს ფშაურ კილოზე წერდა, ხოლო პროზაულ ნაწარმოებს ლიტერატურულ ენაზე. ამ ფორმულამ თავისი უკიდურესი განვითარება ჰპოვა დებულებაში: **ვაჟა ენობრივი პარტიკულარიზმის ტიპური წარმომადგენელია, ენობრივი ნატურალიზმის დამწერგავია ქართულ ლიტერატურაში**“ (შ. ძიძიგური, 1974, 162). „ვაჟას ენობრივი ნატურალიზმი ბოლოსდაბოლოს წარმოადგენდა იმავე დროის ენობრივ პარტიკულარიზმს, ამიტომ, რასაკვირველია, მართალი იყო აკაკი, როცა მან ვაჟას ენა დაიწუნა“ (ი. ქავთარაძე). როგორც აღნიშნავენ, სწორედ ამგვარ დასკვნებს მოჰყვა უფრო მძიმე შეფასებანი: რომ „ვაჟას ლიტერატურული აზროვნება ვიწროდ შემოფარგლულია. პოეტის ენობრივი პარტიკულარიზმი შინაგან ლოგიკურ კავშირშია მის მსოფლმხედველობრივ პარტიკულარიზმთან; კუთხური ენის დამცველი ვაჟა-ფშაველა ვერ ამაღლდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეებამდის. მწერლის

შემოქმედებითი თემატიკა ვერ გასცილდა საქართველოს მთის პატრიარქალური ყოფისა და ფსიქოლოგიის ვიწრო ფარგლებს“ (შ. ძიძიგური, იქვე).

ავტორი (შ. ძიძიგური) ისე წერს, თითქოს ეს საყოველთაო აზრია და თავად მხოლოდ არსებული აზრის ინფორმირებას ახდენს... ამიტომაც შენიშნავს, „არ არის სწორი იმის აღიარება, თითქოს ვაჟა-ფშაველა თავის ლექსებსა და პოემებს ფშაურ კილოზე წერდა, თითქოს იგი მოითხოვდა სალიტერატურო ენის ნაცვლად დიალექტის გაბატონებას მწერლობაში“ (იქვე, 163)... ამის თაობაზე ქვემოთ ვისაუბრებთ; ახლა კი ის ვთქვათ, ამგვარმა დასკვნებმა (პარტიკულარიზმის თაობაზე) უძძიმესი შედეგები მოიტანა: XX საუკუნის 50-იან წლებში ვაჟა-ფშაველას წინააღმდეგ სერიოზული პოლიტიკური ბრალდებები გაისმა, რასაც თავისი შედეგები მოჰყვა... (ვიტყვით ამაზეც ქვემოთ, თავის ადგილზე...).

\* \* \*

რა ხდება ვაჟა-ფშაველას თავს? – უცნაური რამ: ვაჟა-ფშაველას სიცოცხლეში დაიწყო და მთელი მეოცე საუკუნის განმავლობაში არ განელებულა ინტერესი პოეტის ენის მიმართ. ისევ განმეორდა ბრალდებები; იყო ცდები „გამართლები-სა“ – კი წერდა ფშაურად, მაგრამ კარგი მწერალი იყო; ასე იყო საჭირო... რატომ? რა იყო მიზეზი? რა იყო მიზანი?... ამგვარ კითხვებზე პასუხი თითქმის არ ჩანს...

ჩვენ შევეცდებით დინამიკა ვაჩვენოთ ამ პროცესის – ვინ, როდის და როგორ დაუპირისპირდა თუ „დაიცვა“ ვაჟა-ფშაველა... ზოგი რაიმეს (უკვე ნათქვამის) გამეორებაც მოგვიწევს...

ვაჟას ენის ფენომენის ახსნის მცდელობაც გვექნება...

\* \* \*

ვაჟა-ფშაველა 1879 წლიდან იწყებს პუბლიცისტური წერილების გამოქვეყნებას, 1881 წლიდან – ლექსებისას...

**უკვე 1888 წელს** გაზეთ „ივერიაში“ იბეჭდება პირველი წერილი, რომელშიც საკმაოდ მკაცრადაა გაკრიტიკებული ვაჟა-ფშაველას ენა. წერილის ავტორი არის ახალგაზრდა ლიტერატორი (პუბლიცისტი, პედაგოგი) პეტრე მირიანაშვილი. ამ წერილის თაობაზე ზემოთ ვისაუბრეთ (გვ. 25 და შემდ.); იქ გვჭირდებოდა იმისათვის, გვეჩვენებინა, რა გახდა მიზეზი ვაჟა-ფშაველას მიერ ენის თეორიულ საკითხებზე ასე აქტიური საუბრებისა...

პ. მირიანაშვილის წერილის („საერო ენა და სათემო კილო“, გაზეთი „ივერია“, 1888, №166) მთავარი პათოსი, როგორც ვნახეთ, ასეთი იყო: „არ შეიძლება ერთიანი ქართული სალიტერატურო ენის პრინციპების დარღვევა“; რომ „ბ-მა ვაჟა-ფშაველას ფშაურმა პოეზიამ დღევანდელს ქართულთან შედარებით უკან ჩამორჩენილი გრამატიკები ფორმები შემოიტანა და ამასთანავე ზოგიერთი მეტ-ზორცი სიტყვებიც. ჩვენი მწერლობა მოვალეა, რომ სამწერლო ხელოვნება უმნიშვნელო და მეტ-ზორცის პროვინციალიზმით არ გაახორკლიანოს გასუფთავების მაგიერ“...

**1888 წელს** „ივერიის“ 192-ე ნომერში ვაჟა-ფშაველა პასუხს გასცემს პ. მირიანაშვილს („მცირე შენიშვნა“; ამაზეც ვისაუბრეთ იქვე...)...

და იმავე წლის „ივერიის“ 219-ე ნომერში პ. მირიანაშვილი ისევ განაგრძობს ვაჟა-ფშაველას „დამოძღვრას“... წერილი საკმაოდ უსიამოვნო ტონითაა დაწერილი, „ჩემს წერილებს „საერო ენა და სათემო კილოს“ შესახებ ვაჟა-ფშაველაც გაუცხარებიაო“... „ან ლინგვისტების რომელ დასს ვეკუთვნი, ეს რა ვაჟა-ფშაველას საქმეა?“... ანდა „როცოდ სიტყვების სროლა თუ კაცს ღირსებას შეჰმატებს, გზა მშვიდობისა დაგვილოცნია ბ-ნ ვაჟა-ფშაველასთვის“...

პ. მირიანაშვილი კვლავ იმოდღვრება: „განა მოვალენი ვართ, ვისმართ ყოველი ძველი სიტყვა ან კილო, სადმე მი-

ყრუებულს კუთხეში ჩარჩენილი... დღეს განა ცოდვა არ იქნება, ცოცხალი და წინ წაწეული ფორმები მკვდრებსა და უკან ჩამორჩენილებს ვანაცვლოთ?“ ამ წერილში პ. მირიანაშვილი განიხილავს ვაჟას ლექსს „წადილი“, რომელიც დაიბეჭდა „ივერიის“ 170-ე ნომერში (გავიხსენოთ, პ. მირიანაშვილის პირველი წერილი გამოქვეყნდა „ივერიის“ 166-ე ნომერში!); როგორც ჩანს, „განაწყენდა“ კრიტიკოსი, ისევე ისე წერს ვაჟა-ფშაველას... „წადილი“ საინტერესო ლექსია; I სტროფა მკვეთრად დიალექტური:

„ნეტარ რატუ არ ვიმღერი,  
სტვირთან რა მაქვის საწყრომი,  
რატომ არა ვსწმენდ გულს ჟანგსა,  
არ ვიტყვი, რაც მაქვ სათქომი?!“

სხვა მხრივ ლექსში დიალექტური ფორმები არცაა...

საინტერესოა ერთი ფაქტი: ამ ლექსის ხელნაწერ ვარიანტში I-II სტრიქონები ასე იკითხება:

„ნეტარ რას გავჩუმებულვარ,  
დელასთან რა მაქვს საწყრომი“ (I, 368)

ნაბეჭდში ტექსტს „ასწორებს“ დიალექტური ვარიანტით (თითქოსდა კრიტიკოსის ჯიბრზე...)... ცხადია, პირველი ვარიანტი არ იცის პ. მირიანაშვილმა და პოეტს ედავება ისევე არალიტერატურული ფორმების გამოყენების გამო. უცნაურ დასკვნას აკეთებს კრიტიკოსი: როცა ვაჟა-ფშაველა „ემშშია, მუზის მჭვრეტელი, მაშინ ფშაური თვალსა და ხელს შუა უქრება და კაი ქართულითა წერს, როგორც ჩანს მის პოემების ზოგიერთ ადგილებიდან... ესე იგი, პ. მირიანაშვილის აზრით, ვაჟა როცა „მუზას ჭვრეტს“ – „ემშშია“, მაშინ კარგი ქართულით წერს! როცა „ემშს“ კარგავს, მუზა არ სწყალობს – ფშაურად უქცევსო... ეს პოეზიას ეხებაო, თორემ პროზას „ჩინებული ქართული წერსო“ (მისი ლოგიკით, „მუზას ჭვრეტს“

მაშინ...)... ამ უცნაურ მსჯელობაზე (საერთოდ ამ მეორე წერილზე) ვაჟას არ უპასუხია...

და ამ უსიამოვნო მეორე კრიტიკული წერილის იმ მონაკვეთს, რომელიც ვაჟა-ფშაველას ეხება, პ. მირიანაშვილი ასე ამთავრებს: „**განზრახ ლექსის აჭრელება მახინჯ სათემო კილოთი**, აქაო-და საერო მომაირე ვარო, **ვერაფერი გმირობა** გახლავს, მით უმეტეს, თუ განზრახვას ხანდახან ღალატობს“...

ადვილი წარმოსადგენია, ასეთი „კრიტიკული“ წერილი ვაჟა-ფშაველას რა ხასიათზე დააყენებდა, მაგრამ ვაჟა ამ წერილს აღარ უპასუხებს – არ თვლის ამის ღირსად! (როგორც ჩანს, მიაჩნია, რომ პირველი წერილის პასუხი საკმარისია პ. მირიანაშვილთან საპაექროდ...)... ასე ჩაიარა პირველმა „კრიტიკულ წელმა“... „ფშაურ ენასთან“ დამოკიდებულებაში არაფერი იცვლება ვაჟა-ფშაველას მხრიდან...

\* \* \*

გერონტი ქიქოძე თარიღს არ აზუსტებს, მაგრამ მისი ქვემომოყვანილი მსჯელობა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი ცხოვრების დასაწყისს ეხება:

„ყოველი მისი (ვაჟა-ფშაველას – გ. გ.) ახალი თხზულება ალტაცებას იწვევს ტფილისის გემოგახსნილი და მოწინავე ლიტერატორების წრეში, მაგრამ ამავე დროს გაზეთ „ივერიას“, სადაც მისი ნაწერები იბეჭდება უმთავრესად, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოდან მოდის ერთპიროვნული ან კოლექტიური მუქარის წერილები: **შეწყვიტეთ ვაჟა-ფშაველას ნაწერების ბეჭდვა**, თორემ გაზეთის გამოწერაზე უარს ვიტყვითო“... გ. ქიქოძე ამას „არალოიალურ, მტრულ“ დამოკიდებულებას უწოდებს...

ცხადია, ამის მიზეზი ვაჟა-ფშაველას ენაა...

ეს ფაქტი ვაჟა-ფშაველამ, როგორც ჩანს, იცის; მოგვიანებით სწორედ ამის გამო მიმართავს იმერეთს:

„ერთხანად ჩემო **მძრახაო**,  
ლიხს-იქეთურო დედაო,  
გხედავ რომ **შამრიგებიხარ**,  
მით შენთან სალამს ვბედაო.

**შაერთებულად** შენშია  
ქართლსა და კახეთს ვხედაო...“

ეს ლექსი ვაჟა-ფშაველას ქუთაისში წაუკითხვას სალიტერატურო დილაზე 1913 წლის 20 თებერვალს. შემონახულია ამ ლექსის ავტოგრაფი, რომელიც ძალიან საინტერესო ვარიანტებს გვთავაზობს: I სტრიქონში **მძრახაოს** ნაცვლად იკითხება **მწყევარო** (უფრო მკვეთრია წყენა...)... **ლიხს-იქეთუროს** ნაცვლად – **ლიხს-აქათურო** (ლექსი ქუთაისში იკითხება და სწორედ ეს ვარიანტი ჩანს წაკითხული); და ორიც დიალექტური ვარიანტი, „**შემრიგებიხარ** – ნაცვლად ფორმისა **შამრიგებიხარ** და **შეერთებულად** ნაცვლად ფორმისა **შაერთებულად** (II, 459). ანუ: ხელნაწერში ასეთი ვარიანტია:

„ერთხანად ჩემო **მწყევარო**,  
ლიხს-აქათურო დედაო,  
გხედავ, რომ **შემრიგებიხარ**,  
მით შენთან სალამს ვბედავო

**შეერთებულად** შენშია“ და სხვა...

იმერეთში „იმერული“ ვარიანტი წაიკითხა, დაბეჭდა „ფშაური“ ვარიანტი... ეს ფაქტი თავისთავად საინტერესოა დიალექტურ ფორმებთან ვაჟას დამოკიდებულების თვალსაზრისით... აქ თითქოს გარკვეული მოტივაცია არსებობს ხელნაწერში ლიტერატურული ვარიანტების არსებობისა (როგორც ვთქვით, ლექსი იმერეთში იკითხება), მაგრამ ასეთივე შემთხვევა ზევითაც მოვიყვანეთ (ლექსი „წადილი“); იქ გაჭირდება მოტივაციის გამოძებნა... როგორც ჩანს, ამ თვალსაზრის-

სით ვაჟა-ფშაველას ხელნაწერები და ნაბეჭდი ტექსტი შესადარებელია...

ამგვარად, უნდა ვიფიქროთ, რომ მოგვიანებით დაწერილი ეს ლექსი („იმერეთს“) სწორედ რომ დაგვიანებული პასუხია იმერეთიდან (დასავლეთ საქართველოდან) წამოსულ „ერთპიროვნულ თუ კოლექტიურ მუქარის წერილებზე“... მანამდე?

მანამდე ვაჟა-ფშაველას ენობრივი პოზიცია არაერთგზის გამხდარა კრიტიკის საგანი...

\* \* \*

გ. ქიქოძე დანაწევრებით წერს, რომ **1894 წელს** ამ დამოკიდებულებამ „თავი იჩინა თვით „ივერიის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელის – **მეველის (დავით მიქელაძის – გ. გ.) – ყოვლად უდიერ გალაშქრებაში ვაჟას წინააღმდეგ**“... სამწუხაროდ, ეს მასალა ჩვენთვის უცნობია; არც ვაჟა გამოხმაურებია მას, როგორც ჩანს...

\* \* \*

**1895 წელს** ჟურნალ „მოამბეში“ (№ 10) იბეჭდება გრიგოლ ყიფშიძის წერილი რაფიელ ერისთავის საიუბილეო საღამოს შესახებ. ამ წერილში საუბარია იმის თაობაზეც, რომ გამოითქვა აზრი (იონა მეუნარგიაძე), რაზიკაშვილები რაფიელ ერისთავის გავლენას განიცდიანო. გ. ყიფშიძე არ იზიარებს ამ აზრს და უპირისპირდება ი. მეუნარგიაძეს... როგორც ჩანს, ეს აზრი იმჟამად საკმაოდ გავრცელებული იყო... ვაჟა-ფშაველა საჭიროდ თვლის, საგანგებო წერილით გამოეხმაუროს გ. ყიფშიძეს („Pro domo sua“). ამ პოლემიკის თაობაზე ზემოთ ვრცლად ვისაუბრეთ („რაფიელ ერისთავი და რაზიკაშვილები“ (გვ. 38 და შემდ.)... აქ ვიტყვით მხოლოდ, რომ ვაჟა-ფშაველა ამ შემთხვევაშიც არ ტოვებს უპასუხოდ მის მი-

მართ გამოთქმულ, მისი აზრით, არასწორ თვალსაზრისს... **ერთი მთავარი საკითხი ამ შემთხვევაშიც „მთის კილო“ იყო...**

ეს თემა ცოცხალია და აქტიური...

\* \* \*

**1896 წელს** გაზეთი „კვალი“ ბეჭდავს ილია ნაკაშიძის საკმაოდ ვრცელ ნაშრომს „ვაჟა-ფშაველას პოეზია“. როგორც მოსალოდნელი იყო, ავტორმა გვერდი ვერ აუარა ვაჟას ენის პრობლემას. უფრო სწორად, ილია ნაკაშიძე ამ წერილში გვევლინება ვაჟა-ფშაველას პოეზიის მეზობლედ, ცდილობს ვა-ვრცელებული აზრის საპირისპიროდ ამტკიცოს, რომ **ვაჟა-ფშაველას პოეზიის სიდიადე მის ენაშია**, უფრო ზუსტად **ფშაური კილოს გამოყენება არის საფუძველი ამ სიდიადისა!** – „აი ფშაველას და ფშაველთა ენა, სტილი რკინისა, პირდაპირ ხალხის გულიდან ამოდებული, როგორც კლდის ღრმა ნაპრა-ლიდან უტეხი მადანი... ენა დინჯი, ენა მძლავრი, ენა მხატ-ვრული... ფშაური სიტყვა დინჯი და ახოვანია, სიტყვა კლდე-ბის გულზე გამოჩეკილი და აღზრდილი, ვით მთის ამაყი და თავმომწონე არწივი“.

მსჯელობა ამგვარი სახისაა – ზოგადი, საზოგადო, საქე-ბარ-სადიდებელი... მტკიცება იმისა, რომ **ფშაური კილოს სხვა კილოებთან შედარებით უპირატესობა აქვს** „თქმის ხატოვანე-ბითა და სიწმინდით“ და ა. შ. კონკრეტულ ენობრივ ფაქტებსა და მოვლენებზე არ მსჯელობს, განსხვავებით სხვა კრიტიკო-სებისაგან...

ამ თემას არტურ ლაისტმაც არ აუარა გვერდი: „**მთელი თავისი სისადავით ვაჟა-ფშაველას ენა იყო მეფური და ზარა-დიანი**, რომელიც გაგონებიდანვე გიტაცებდა, ორიოდ სტრი-ქონის უძალ, უკვე სხვა ფანტასტიკურ სამყაროში გადადი-ხარ“ (ა. ლაისტი, საქართველოს გული, 1983, 75).

\* \* \*

და აი, 1899 წელი – აკაკი წერეთლის კრიტიკული კომენტარი რაზიკაშვილების ენის თაობაზე.

„აკაკის კრებულში“ (1899 წ. თებერვალი, №2) იბეჭდება აკაკის (ხელმოწერა ასეა) წერილი „ბიბლიოგრაფიული შენიშვნები“ (იხ. აკაკი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად; ტ. XIII, 1961, გვ. 432-442).

ამ წერილის შესახებ ცოტა ვრცლად მოგვიწევს მსჯელობა, რადგანაც ვთვლით, რომ ვაჟა-ფშაველას ენის პრობლემებზე საუბრისას აკაკი წერეთლის ეს წერილი გარკვეულწილად განმსაზღვრელი იყო; მოგვიანებით გამოქვეყნებული ლექსიც „ვაჟა-ფშაველას“ (1913 წ.) სწორედ აქ გამოთქმული კრიტიკის პოეტური გახმოვანება ჩანს.

აკაკი წერეთლის „ბიბლიოგრაფიული შენიშვნები“ რამდენიმე მონაკვეთისაგან შედგება (წერილში 6 სხვადასხვა გამოცემა არის განხილული). წერილის პირველ მონაკვეთში საუბარია ფრანგი პოეტის **ბერანჟეს** ლექსების ქართულ თარგმანებზე. აკაკი ზოგადად მსჯელობს პოეტური თარგმანის პრობლემებზე და კონკრეტულად სწორედ ბერანჟეს ლექსების თარგმანებზე... რეცენზენტი დადებითად აფასებს „ახალგაზრდა პოეტის, **გვაზავას** ცდას“ ბერანჟეს ლექსების ქართულად გადმოღების გამო და საქებარი სიტყვების შემდგომ დაასკვნის: „ისე კი ეტყობა ბ. გვაზავს, რომ ნიჭი არ აკლია, მაგრამ როგორც სჩანს, იმასაც თანვე სდევს **თანამედროვე ქართული დაუდევრობა და ზარმაცობა: დედა ენის ცოდნაში კოჭლობს და ეს სირცხვილია ნიჭიერ ქართველისათვის!**...“

ამით მთავრდება პირველი მონაკვეთი. არცერთი მაგალითი სანიშნოდ... ამით აკაკიმ თითქოსდა გარკვეულწილად შეგვაშადა მეორე მონაკვეთისათვის...

მეორე მონაკვეთი აკაკი წერეთლის წერილისა წარმოადგენს რეცენზიას არქიმანდრიტ **კირიონისა და გრიგოლ ყიფში-**

მის მიერ შედგენილ სახელმძღვანელოზე: „სიტყვიერების თეორია და ქრესტომათია“ (თბილისი, 1898 წ. სხვათაშორის ეს ქრესტომათია თითქმის უცვლელად გამოიცა 1908 წელს). აკაკის ათვეკრდიან წერილში მეოთხედი სწორედ ამ სახელმძღვანელოს ეხება. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ეს რეცენზია რაზიკაშვილების ენის კრიტიკისათვის დაიწერა. თავად განსაჯეთ: „სიტყვიერების თეორია“ მოცულობით 700 გვერდზე მეტია. ძალიან მრავალფეროვანია მისი ქრესტომათიული ნაწილი. აქ იბეჭდება როგორც ძველი მწერლების, ისე XIX საუკუნის მოღვაწეთა ნაწარმოებები (ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილის და სხვათა. ასევე: რაფიელ ერისთავის, შიო არაგვისპირელის, ეკატერინე გაბაშვილის, ცახელის, ალექსანდრე ყაზბეგის, ეგნატე ნინოშვილისა...).

რეცენზენტი რამდენიმე წინადადებიანი ქების შემდგომ (ეს სახელმძღვანელო წიგნი, ამ დაკნინებისა და დაცარვის დროს, ჩვენში შესანიშნავი მოვლინებაა და ქართულ ოჯახებში აუცილებელ განმად შესატანი“...) პირდაპირ განაცხადებს ამ რეცენზიის დაწერის მიზანს: „დიდი შეცდომაა გაურჩევლად რაზიკაშვილების ნაწერების სანიმუშოდ შემოტანა სახელმძღვანელოში“... აკაკი წერეთელი გულწრფელად წერს: „ამით მე ის კი არ მინდა ვსთქვა, რომ რაზიკაშვილებს ნიჭი აკლდეთ!... პირ აქედ, უხვად არიან მაღლით მომადლებული. ამ კრებულში რომ დაბეჭდილია ვაჟა-ფშაველას პოემა „გოგოთურ და აფშინა“, ერთი უკეთესთაგანია მთლად ჩვენს მწერლობაში. წვრილმანი ლექსები, როგორც საკუთრად ვაჟასი, ისე მისი ძმის ბაჩანასი და თედოსი საზოგადოთ სამარგალიტო შაირები არიან!... პროზა ხომ კიდევ უკეთესი“ (სხვათაშორის ამ ქრესტომათიაშია აგრეთვე დაბეჭდილი ვაჟას „მთის წყარო“, „ფესვები“, „ქუჩი“; ბაჩანას – „მუხა“, „ვინა სთქვა“ და სხვ.– გ. გ.).

აი, ამის შემდეგ იწყება ის „მთავარი სათქმელი“, რისთვისაც, ჩვენი აზრით, ეს რეცენზია არის დაწერილი:

„მაგრამ საწყენი ის არის, რომ განგებ **ამახინჯებენ** თვითვე (რაზიკაშვილები – გ. გ.) მათ ნაწარმოებს **ქართულის გადაჯორჯვ-გადმოჯორჯვით** და შიგა და შიგ ისეთ რამეებს **ახორცმეტებენ**, რომ **მშვენიერებას საუწმინდუროდ ჰღალვენ**“... – ძალიან მკაცრი შეფასებაა!...

აკაკი ამის შემდგომ ჯერ ზოგად განმარტებას იძლევა, ქართულის ცოდნა-არცოდნის თაობაზე: „ვინ არ იცის, რომ **ქართული ენის სიმდიდრეს უმეტესად შეადგენენ ზმნები**, მათი უღვლილება და მიმოხვრა... **ვინც ზმნებს ჯეროვნად ვერ ხმარობს**, ის უეჭველად **ქართული ენის უმეცარია!**... და ზმნებს საზოგადოდ, **რაზიკაშვილებიც ვერა, ანუ უფრო მართალი იქნება ვთქვათ, განზრახ არა ხმარობენ სისწორით, ამახინჯებენ** და ეს **უკუღმართობა** სიტყვიერების გარეგანი სხივცისკროვნება ჰგონიათ!...“

**ქართული ენის სიმდიდრის უგულბეღყოფა; ქართული ენის უმეცრება; განზრახ დამახინჯება** – უმძიმესი ბრალდებებია...

თუ აკაკიმ წინა მონაკვეთში (გვაზავას თარგმანის განხილვისას) არ ჩათვალა საჭიროდ მაგალითების მოყვანა, ამ რეცენზიაში ბაჩანასა და თედო რაზიკაშვილის ლექსებიდან მოჰყავს მაგალითები:

**ბაჩანას** ლექსიდან „**ფშაველი ქალის ტირილი**“;

„ვაჰმე, იღუპვის ქვეყანა

ფშავლები ჩაუხოცავის, (ე. ი. დაუხოცავთ)

წასულა სისხლის ღვარიო, –

ლეკეთში გაურეკავის, (ე. ი. გაურეკიათ)

ანუ ეს:

იქით გავეხედნებ მთებია (ე. ი. გავიხედავ – მთებია)

მალლა ავეხედნებ – ცა არის (ე. ი. ავიხედავ – ცა არის)

და ანუ **თედოსი**

მინდორო, მინდვრის ღელაო!  
ნიკორა შეიბრალოდეთ!  
რომ მოკვდეს, თქვენსა კალთაში  
მიიღეთ, მიიბაროდეთ,  
ნუ გახდით საყვავ-ყორნელა  
შვილურად შეინახოდეთ!...“ და სხვანი.

**შენიშნავთ:** ხაზგასმა და ფრჩხილებში ჩასმული განმარტებები აკაკისეულია.

მსჯელობა გრძელდება: „ეს ზმნები: ჩაუხოცავის, გაურეკავის, გავხედნებ, ავხედნებ, შეიბრალოდეთ, მიიბაროდეთ და სხვა ამგვარნი, **ნეტავი რა ფრაზებია და ღრამატიკულს რომელ კანონთაგანს ეთანხმება?**... არ გაგონებთ ეს რუსის მიჩოროთვილ ქართულს, როდესაც ის „წადის“ მაგიერად „წაუდის“ ამბობს და „გავაკეთებს“ ნაცვლად „გაუკეთინ მე-ს“?

მივაქციოთ ყურადღება: ქრესტომათიაში ათიოდე ლექსია დაბეჭდილი ბაჩანასი და თედოსი; მხოლოდ ეს ექვსი ფორმაა გამორჩეული... იმასაც მივაპყროთ თვალი, რომ აკაკი ამ რეცენზიაში აქებს ვაჟას პოემას „გოგოთურ და აფშინას“ („ერთი უკეთესთაგანია მთელ ჩვენს მწერლობაში“) და არას ამბობს ამ პოემის ენობრივ მხარეზე: არადა, ეს ერთ-ერთი იმ პოემათაგანია ვაჟასი, რომელიც გამოირჩევა დიალექტიზმების სიუხვით; მხოლოდ რამდენიმე მაგალითს მოვიყვან, ამ პოემაზე საგანგებოდ ქვემოთ, პოემების ანალიზის დროს ვისაუბრებ:

„ჯანით ვერ წაედრებაო...

რამდენჯერ მარტომ შაბერტყვის...

ჩამაუჯდება კერასა...

აჰა, დაჰკვლიე, უტირნავ...

ახლად ყოოდენ იანი...

აფშინას ხურჯინშიითა...

ცხვრის თავები ჰყრავ ყორელა“... და სხვა...

და მაინც, აკაკი საუბრობს „რაზიკაშვილებზე“...

ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ აკაკის სურს ისაუბროს სამწერლობო ენაში დიალექტიზმების გამოყენების შესახებ ზოგადად და ეს რამდენიმე მაგალითი ამისთვის სჭირდება; აკაკის მსჯელობა მკვეთრი და მოურიდებელია:

„გვეტყვიან: „მათ მხარეში, მთებში ხალხი სწორედ მაგრე ხმარობს მაგ სიტყვებს და ეს პროვინციალიზმიაო!“ ჩვენ საზოგადოდ პროვინციალიზმის წინააღმდეგი არა ვართ. სხვადა-სხვა მხარეებში ბევრი მისთანა სიტყვებია დარჩენილი, განსაკუთრებით მთა-ადგილებში, რომ მათი გამოძებნა და მითი ჩვენი დღეს დაკნინებული ენის შევსება საჭიროა; აგრეთვე ახალი რამ სიტყვის ხმარება, თუ კი სადმე პროვინციაში გასპეტაკებულია და დედა-ენის კანონის თანახმად აღმოცენებულა, მისაბაძია საყოველთაოდ... ამ გვარ კანონიერ რამეებით რომ შევავსოთ და გავასუქოთ ქართული ენა, საჭიროც არის“...

ეს მსჯელობა, ცხადია, გასაგებია და მისაღები. ყურადღების გამახვილებაც ამ ფაქტზე საჭიროა იმიტომაც, რომ შემდგომში, არაერთ შემთხვევაში, როცა აკაკისა და ვაჟას პოლემიკას შეეხებიან, უსაყვედურებენ აკაკის, ვაჟას აკრიტიკებდა ფშავ-ხევსურულიდან დიალექტური ლექსიკის მწერლობაში შემოტანის გამო... ეს უსამართლო ბრალდებაა: აკაკი წერეთლისათვის მიუღებელია დიალექტური ფორმების შემოტანისა და დამკვიდრების მცდელობა და არა დიალექტური ლექსიკური ერთეულებისა...

აკაკი წერეთელი ეწინააღმდეგება (ეს რბილადაა ნათქვამი – ებრძვის...) დიალექტური ფორმების შემოტანას სალიტერატურო ენაში: „მაგრამ ის, რაც დედა ენის წინააღმდეგ სხვადა-სხვა მხარეებში პროვინციებში, გადაუმახინჯებით და გაუფუჭებიათ, ხელმოსაკიდები კი არა, პირიქით, გასადევნია!... მაგალითად, გურიაში ამბობენ“... და ამის შემდეგ აკაკი წერე-

თელი მაგალითებს მოიყვანს გურული, იმერული, რაჭული და ქართლური ცოცხალი მეტყველებიდან (სალიტერატურო განმარტებითურთ) და დაასკვნის: „ამ გვარი რამ ყოველ კუთხეშია – **ესენი ყველა პროვინციალიზმია**; მაგრამ ქართულ ენაში ამგვარი რამეების შემოტანა, აქო და ჩვენ კუთხეში ასე ხმა-რობენო, **ნუ თუ ენის გარყვნა არ არის?** სხვებმაც რომ რაზი-კაშვილებივით ზმნები ამახინჯონ და სწერონ „ჯილარიან, გაშპა, ქვექნიან, მოაბოტებს“ და სხვანი – **ბაბილონის გოდოლის დაქცევის შედეგი იქნება**“...

ისეთი შთაბეჭდილება რჩება, „ბიბლიოგრაფიული შენიშვნები“ აკაკი წერეთელმა იმისათვის დაწერა, რომ თავისი მკვეთრი პოზიცია გამოეთქვა სალიტერატურო ენაში დიალექტიზმების შემოტანის გამო. კითხვა უცილობლად ჩნდება: რატომ რაზიკაშვილები?... ხომ არ არის ამ კითხვაზე პასუხი ის, რაც კარგა მოგვიანებით კონსტანტინე გამსახურდიამ დაწერა: „ვაჟას წინ რომ არ დახვედროდა დიდი შოთა, დავით გურამიშვილი, გრიგოლ ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და სხვები, მაშინ ვაჟა ფშავ-ხევსურულ დიალექტს მოახვევდა თავზე საქართველოს და მოხდებოდა ისეთი ამბავი, როგორც დანტემ ჩაიდინა იტალიური ენის მიმართ (კ. გამსახურდია, ტ. VII, 1963, 532). ანდა ტიცინ ტაბიძემ რომ თქვა: „აკაკი წერეთელი, ყოველთვის განებივრებული ხალხის სიყვარულით და სახელით, ახლა უკვე გრძნობს ამ დევის სუნთქვას და ვაჟა-ფშაველასადმი მიძღვნილ ცნობილ ლექსში **ცდილობს გააზაროს ვაჟას დაგვიანებული დიდება**“ (ტ. ტაბიძე, ტ. II, 1866, 32).

რატომ არ აფიქრებს (ან აშინებს) აკაკი წერეთელს ამავე ქრესტომათიაში დაბეჭდილი სხვა მწერალთა ნაწერებში თავჩენილი დიალექტიზმები? მერეც ვნახავთ, ფაქტია, რომ „ფშავ-ხევსურულ დიალექტზე წერა“ ამკარად გაზვიადებულია...

ვაჟა-ფშაველა აკაკი წერეთლის ამ კრიტიკას არ გამო-  
ხშიანებია... გვანსოვს, პ. მირიანაშვილის პირველ კრიტიკულ  
წერილს საკმაოდ საინტერესო და არგუმენტირებული პასუხი  
გასცა... ამავე ავტორის II წერილი პასუხის ღირსადაც არ  
ცნო... საინტერესო წერილით გამოეხმაურა გრ. ყიფშიძეს; რო-  
გორც ჩანს, ი. ნაკაშიძესაც...

აკაკი წერეთლის „ბიბლიოგრაფიული შენიშვნებისათვის“  
არ უპასუხია... თუ?...

**1901 წელს** ვაჟა-ფშაველა გაზეთ „ივერიაში“ (№46) აქ-  
ვეყნებს წერილს „ენა (მცირე შენიშვნა)“. ამ წერილში გამო-  
თქმული აზრები ენის შესახებ ვაჟა-ფშაველას შეხედულებაზე  
საუბრისას მოვიყვანეთ ზემოთ (გვ. 32 და შემდ.). ძირითადი  
საკითხები, რაზეც ვაჟა ამ წერილში საუბრობს, ეს გახლავთ:  
რა არის ენა; სად არის სათავე ენისა; რას ნიშნავს ენის  
ცოდნა; რა ფასი აქვს დიალექტურ მეტყველებას და ა. შ. ...

წერილი ასე იწყება: „**ამ ბოლო ხანს** ჩვენს საზოგადოე-  
ბაში (...) **შეხვდებით სამდურავს ქართულის ენის შებღალვის**  
**გამო**“... და იქვე: „არ შეგვიძლიან ყველა ჩვენს მწერალს ენის  
უცოდინარობა ვუკიჟინოთ. თუმცა ისეთი მწერლებიც გვეპოვე-  
ბა, რომ **ორმოცი წელია ჰმოდგაწეობენ, ორმოცი წელია, რაც**  
**სწერენ ქართულად**, და დღესაქომამდე ვერ მიუგნიათ ქართუ-  
ლის ენისათვის“ (IX, 186)...

ხომ არ არის ეს წერილი („ენა“) პასუხი აკაკი წერეთ-  
ლის საკმაოდ მძიმე კრიტიკის გამო? გვანსოვს ალბათ, რო-  
გორ მთავრდება ვაჟას ეს წერილი: „ნიჭიერ მწერლებად და  
ენის მაგალითად ჩვენთვის მხოლოდ ორი მწერალი კმარა –  
შოთა რუსთაველი და დავით გურამიშვილი, **გაურყვნელის**  
**ენით მოსაუბრეთ** კიდევ **მთიელნი**, რომლებთანაც მე მაქვს და-  
მოკიდებულება, და ამ **გაკიცხულს ფორმებსაც** იმათგან ვი-  
ძენ“... (IX, 187)...

აკაკი წერეთლის „ბიბლიოგრაფიული შენიშვნები“ 1899 წელს გამოქვეყნდა; ვაჟა-ფშაველას „ენა“ – 1901 წელს... უდიდესი მოკრძალება და პატივისცემა აკაკისადმი, როგორც ჩანს, არ აძლევს ნებას, პირდაპირ უპასუხოს; ადრესატი დაასახელოს... (შეფარვით აკაკი ხომ არ იგულისხმება: „ორმოცი წელია, რაც სწერენ ქართულად?“... 1901 წელია...)

ასეა ვითომ?

\* \* \*

მაგრამ მოდით, აქ ერთი ლექსიც გავიხსენოთ ვაჟასი: უტყვით, 1899 წელს გამოქვეყნებულ „ბიბლიოგრაფიულ შენიშვნებზე“ ვაჟას წერილით არ უპასუხია („ენა“ პასუხად ჩვენ მივიჩნით...); 1901 წლის 23 დეკემბერს „ივერიაში“ (№279), ვაჟა ბეჭდავს აკაკი წერეთლისადმი მიძღვნილ ლექსს „ლილინი (ვუძღვნი აკაკის)“. ლექსი არაა ვრცელი:

„გაკაჟდი გული,

**გაფხავდი, ენავ!**

ვერას დამაკლებ, შავ დღეთა დენავ!

სანამ მაქვს სმენა

და პირში ქშენა,

ვერას დამაკლებს **ძაღლების ღრენა!**

სანამ მაქვს ჯანი

და ფეხზედ ჯლანი,

მუშაობს მკლავი და ტანზე თავი, –

მოკეთის ბაზმა

და **მტრისთვის ავი**

**ვარ და ვიქნები.**

მკვდარს რაღა მეზღვის?

ან რაღა მეთქმის?

ცოცხალს კი ესა გულს გამეთესა:

ყელსა მჭრის დანით

მოძმეთა კვნესა!

**მიტომ არ ვიშლი,**

**ენასა ვლესავ**

**და მგლოვიარეს ქართულსა ვთესავ“.**

რას ნიშნავს „ვუძღვნი აკაკის“? ვაჟა-ფშაველას რამდენიმე ლექსი აქვს, რომელშიც სათაურს ქვევით ფრჩხილებში მიანიშნებს, თუ ვის ეძღვნება ლექსი თუ პოემა („ვუძღვნი ილია ჭავჭავაძეს“, „ვუძღვნი ძმა-მეგობარს“, „ვუძღვნი შიო მღვიმელს“, „ვუძღვნი თედო რაზიკაშვილს“, „ვუძღვნი განდევგილს“, „ვუძღვნი ახალგაზრდა მგოსნებს“ და სხვ.). ასეთი ლექსი ყველა შემთხვევაში მიმართვას პოეტისა ლექსის ადრესატისადმი:

„რა გითხრა, ბიჭო, ისეთი,

არ გავაჯავრო მსმენელი“...

(თ. რაზიკაშვილისადმი)

„მცირე რამ შემონაწირი

მიიღე თავის ძმისგანა“...

(შ. მღვიმელისადმი) და სხვა.

ასე რომ, ზემომოყვანილი „ლილინი“ მიმართვას აკაკისადმი ვაჟას მიერ საკუთარი ენობრივი პოზიციის დასაცავად („გაკაკუდი გულო, გაფრინდი ენა!“... „ენასასა ვლესავ და მგლოვიარეს ქართულსა ვთესავ“)... შეიძლება ცოტა უცნაურად მოგვეჩვენოს ასეთი ტონი („ვერას დამაკლებს ძაღლების ღრენა!“), მაგრამ გავიხსენოთ „ბიბლიოგრაფიული შენიშვნები“...

ყურადღება უნდა მივაქციოთ ლექსის სათაურსაც – „ლილინი“. ვაჟას ხუთ ლექსს აქვს სათაურად „სიმღერა“, მრავალს – ქვესათაურად; ლილინი – აქვს ორადღორს: ერთი ზემომოყვანილი ლექსია, აკაკისადმი მიძღვნილი, მეორე „ლილინი“ მიძღვნის გარეშეა:

„იმ დღეს ჩიოდა „პეტრუზა“:

„ბევრი მეწვება ნისია“

ვაჭრობის წესი ეგ არის,  
ნუ გასჯავრდები, ბიძია!“...

პოეტური განწყობა „სიმღერებისა“ და „ლიღინებისა“ განსხვავებული ჩანს; „ლიღინში“ ირონია გამოკრთის... ყოველ შემთხვევაში ეს საკითხი შესწავლას მოითხოვს... ფაქტია, აკაკისადმი მიძღვნილ ლექსს რომ „ლიღინი“ ჰქვია, არ ჩანს შემთხვევითი ამჟამად (თუმცა ცოტა მოულოდნელია და გაუგებარი „ვერას დამაკლებს ძაღლების ღრენა!“)...

ცოტა უფრო აღრინდელი ამბავიც უნდა გავიხსენოთ. ვაჟა-ფშაველას პირადი წერილი შემორჩა ჟურნალ „კვალის“ რედაქტორ-გამომცემლის **ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლისადმი**. ვაჟა წერს:

„ქალბატონო ანასტასია!

14 მარტს მოწერილი თქვენი ბარათი დღეს, ორ აპრილს მივიღე და პასუხსაც ეხლავე გწერთ. სამღურავსა მითვლით, არ ვიცი, რად და რისთვის? „სხვას კაი მასალას აძლევთ და ჩვენ კი უხეიროსო. ახლად დაბრუნებულმა რედაქციის წევრმა **აკაკიმ დაიწუნა თქვენი მასალაო**“ და სხვ. და სხვ.

მე თვითონ დიდად პატივისა ვსცემ აკაკის ნიჭს და მოღვაწეობას, მაგრამ ისე კი არა, არც აკაკის და არც სხვას, რომ საკუთარის თავის პატივისცემაზე ხელი ავიღო, ან საკუთარს მსჯელობაზე, საკუთარს შეხედულებაზე ამა თუ იმ საგანზე. თქვენ კი ნურას უკაცრავად, ბატონო ჩემო, ამ სიმართლის თქმისათვის, სულ სხვაგვარად მოგსვლიათ საქმე. რაც მე მასალა წარმოგიდგინეთ, თქვენ ხომ მიიღეთ ის მასალა და კიდევაც უნდა დაბეჭდოთ, თუ საკუთარს თავს და საკუთარს აზრს რაიმე ფასსა სდებთ. ერთიც ვნახოთ, ხვალვე აკაკიმ ამ „რედაქციის წევრობას“ თავი დაანებოს, მერე მე და თქვენ რაღა გვეშველება? ხომ უნდა ვირბინოთ კარი-კარ და სხვა დამფასებლები ვეძებოთ ამ ლიტერატურული მასალისა. მაშ რედაქტორობა რადღა გაუჩენია ღმერთსა? (...) ნუთუ იმდენი

აღარაფერი გამიკეთებია ქართულს მწერლობაში, რომ მსაჯულად ჩემის ნაწერებისა და მოპასუხედ მკითხველის წინაშე მე თვითონ ვიყო?“...

წერილი **1894 წლის 2** აპრილსაა დაწერილი. აკაკი წერეთელს ვაჟა-ფშაველას შესახებ საჯაროდ ჯერ აზრი არ გამოუთქვამს... „ბიბლიოგრაფიული შენიშვნები“ 5-ოდე წლის შემდეგ იბეჭდება... არადა „**დაწუნების**“ თემა უკვე ოფიციალურად არსებობს...

როგორც ითქვა, ეს 1894 წელია... ახლა უფრო აღრინდელი ამბავიც გავიხსენოთ: **1887 წლის** ოქტომბერში იონა მეუნარგიასადმი მიწერილ წერილში აკაკი წერეთელი წერდა: „ისეთ რამეს მეკითხები, რომ პასუხის მოცემა ძნელია. „ენის მხრით რომელი უფრო მოგწონს შენი ლექსიო“, – მეკითხები, და მე დღემდე ბევრი მომწონდა, მაგრამ დღეს კი „ივერიაძე“ ისე ამირია, რომ აღარც ვიცი, როგორ გავარჩიო... მე მგონია, რომ აღარც ერთი აღარ ვარგა, რადგანაც **ჩემი ენა თურმე მოიმიერლებს და არა მოიხვესურ-მოიბაჩანავებს**“... არაორაზროვნად აკაკის რაზიკაშვილების ენა აქვს მხედველობაში – „მოიხვესურ-მოიბაჩანავებსო“...

ასე რომ, თემა „აკაკი და ვაჟა“ ხანგრძლივი ისტორიის თემაა: არაოფიციალურად 80-იან წლებში იღებს სათავეს, ფაქტობრივად, ვაჟა-ფშაველას სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლისთანავე, ოფიციალურად კი – 1899 წელს „ფორმდება“ და გრძელდება 1913 წლამდე... თუმცა აქ არ მთავრდება: როგორც ვნახავთ, ეს თემა მთელ მეოცე საუკუნესაც გასდევს...

\* \* \*

1909 წელს ჟურნალ „ფასკუნჯში“ (№6-10) იბეჭდება კიტა აბაშიძის კრიტიკული ეტიუდი „ვაჟა-ფშაველა“; შემდგომ ეს ეტიუდი შევიდა კრიტიკოსის წიგნში („ეტიუდები მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ“, II, 1912). კიტა აბაშიძე ობიექტურად და მაღალპროფესიონალურად განიხი-

ლავს ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას... მწერლის ენის შესახებ მხოლოდ ზოგად შენიშვნას აკეთებს: „ერთად ერთი შენიშვნა, რომელიც ითქმის ვაჟას პოეზიის, უფრო კი მისი პოემების შესახებ, ეს ის არის, რომ **ტექნიკური მხარე სტილისა** ვერ არის იმ სიმღლემდის მიყვანილი, ვერ არის ისე უნაკლო, როგორც მის პროზაში... ერთი შენიშვნა კიდევ: **ვაჟას პროვინციალიზმები**“...

სულ ეს არის...

\* \* \*

**1913-1914 წლებში** ჟურნალ „განთიადში“ (1913 წ. №10; 1914 წ. №1-4) იბეჭდება იპოლიტე ვართაგავას ვრცელი ნაშრომი „სიმღერა მთის შვილის – ვაჟა-ფშაველასი“.

ამ წერილის საპასუხოდ ვაჟა-ფშაველა გაზეთ „სახალხო ფურცელში“ (1914 წ., №21-23) აქვეყნებს საკმაოდ ვრცელ წერილს „კრიტიკა ბ. ივ. ვართაგავასი“. ვაჟა-ფშაველა ამ წერილში არ საუბრობს ენობრივ საკითხებზე; იგი პასუხს გასცემს ი. ვართაგავას რამდენიმე კითხვას: „რა კითხვებია ეს კითხვები? – წერს ვაჟა-ფშაველა, – ბ. ვართაგავას ძალიან გულისხმობს უნდა გაიგოს ამ პოემებში რა ეკუთვნის ხალხს და რა მე...“ (IX, 361)... წერილი უაღრესად საინტერესოა, თუმცა ვაჟა ჩვენთვის საინტერესო პრობლემას გვერდს უვლის... არადა ი. ვართაგავა აგრძელებს ვაჟას ენობრივი პოზიციის „კრიტიკის ტრადიციას“.

კრიტიკოსი არაორაზროვნად წერს: ვაჟას ნაწარმოებები „**უმთავრეს ნაწილში პროვინციალურ-ფშაურია**... ვაჟა როგორც განათლებული მგოსანი **ცდებოდა იმაში**, რომ თავის პირად განცდას და მსოფლმხედველობას, თავისს საეროვნო და საკაცობრიო ფიქრსა და გრძნობას **ფშაურს სამოსელში ახვევდა, პროვინციალურის კილოკავით გამოსთქვამდა**“. ი. ვართაგავამ „იცის“ და ვაჟას „ასწავლის“, რომ „საზოგადო ეროვნულ

ლიტერატურულ ენაზე“ უნდა წეროს... და რომ „პროვინციალური კილოთი“ წერა მაშინ შეიძლება, როდესაც „პროვინციალური ცხოვრება აღიწერება ან ადგილობრივი გმირები ხასიათდება“... ი. ვართაგავა იმ დასკვნასაც აკეთებს, რომ ამგვარ პროვინციალურ კილოზე წერა უპირველესად **საზიანოა თავად ავტორისთვის**, რადგან მკითხველს ნაკლებად აინტერესებს ასეთი ნაწერები, „ნაკლებად იცნობს ფართო ქართველი საზოგადოება“... **ვაჟა-ფშაველას კრიტიკოსი** იმასაც „**უწინასწარმეტყველებს**“, რომ იგი „**მომავალშიც კლასიკური მწერალი არ გახდება**“(!)... **არადა, 1914 წელია!**

ი. ვართაგავას წერილზე (ამ მონაკვეთში, ენობრივ საკითხებზე მსჯელობისას) **აშკარად იგრძნობა აკაკი წერეთლის გავლენა**; განსაკუთრებით იმ ნაწილში, სხვა კილოთა მაგალითებზე როცა საუბრობს: „რა იქნებოდა, გ. ჭალადიდელს ეწერა მეგრულის კილოთი, ეგ. ნინოშვილს – გურულის, აკაკის – იმერულის, ალ. ყაზბეგს – მოხვეურის, ირ. ევლოშვილს – ქიზიყურის და სხვა? შეუწყობდა თუ არა ეს ხელს ქართული ენის და ლიტერატურის გაზრდა-განვითარებას? და თუ იტყვიან, არ შეუწყობდა ხელსაო, მაშ სხვა რა მოსაზრებით ამტკიცებენ ისინი წინააღმდეგს, როდესაც ფშავეურს კილოს ასეთს მნიშვნელობას აძლევენ?“

მიუხედავად იმისა, რომ ასეთი კრიტიკულია ი. მეუნარგიას პოზიცია, კონკრეტული მაგალითები მაინც არაა მოხმობილი, რა არ მოსწონს მას...

და, როგორც ვთქვით, ამ საკითხს საპასუხო წერილში გვერდს უვლის ვაჟა-ფშაველაც; მაგრამ ფაქტია ისიც, რომ კრიტიკოსის მიმართ არცთუ მაღლიერი დამოკიდებულება აქვს: „ისეთ კითხვებს გვიყენებს, – წერს ვაჟა ი. მეუნარგიაზე, – რაზედაც ჩემ მიერ პასუხის გაუცემლობა ყოვლად შეუძლებელია... ამ სურვილს კრიტიკოსისას მე დავაკმაყოფილებ, თუმცა ეს მეტ შრომად მიმაჩნია და თანაც მწყინს. ბ. ვართაგავამ, თუ

მას კარგი კრიტიკული ალლო აქვს, უნდა ჩემ დაუხმარებლად გაიგოს, რაა ამ ნაწარმოებებში ხალხური და რა ინდივიდუალური“ (IX, 361)...

ასეა თუ ისე, ი. ვართავავა კიდევ ერთი კრიტიკოსია ვაჟას ენისა...

**და კულმინაცია: 1913 წელი.** გაზეთ „თემში“ (№111, 18 თებერვალი) იბეჭდება აკაკი წერეთლის ლექსი „ვაჟა-ფშაველას“. ეს საყოველთაოდ ცნობილი ლექსია:

**„ენას გიწუნებ, ფშაველო,**

მგოსანო მაღალ მთისაო,

**თუმც კი გვითესავ მარგალიტს!...“** და სხვა...

ფაქტობრივ, ვაჟა-ფშაველას სიცოცხლეში ამ ლექსით შეჯამდა პოეტის ენის მიმართ გამოთქმული კრიტიკული აზრი აკაკი წერეთლისა. უფრო სწორად, შეიძლება ითქვას, **ესაა „პოეტური რეზიუმე“** 14 წლის წინათ აკაკის მიერ ვაჟას ენის მიმართ გამოთქმული მკაცრი კრიტიკისა და უფრო ადრე „გადაკვრით“ თუ „კულუარულად“ თქმული კრიტიკისა...

არაფერი იცვლება – აკაკი წერეთელი ისევ იმ პრინციპზეა: მისი აზრით, ვაჟა-ფშაველას, **თუმც კი** თესავს მარგალიტებს, მაგრამ **ენა დასაწუნი აქვს...**

20-25 წლის მანძილზე ვაჟა-ფშაველა ცდილობს განმარტოს თავისი ენობრივი პოზიცია (გავიხსენოთ: „მცირე შენიშვნა“ – 1888 წ., „Pro domo sua“ – 1895 წ.; „ენა“ – 1901 წ.; „ნიჭიერი მწერალი“ – 1910 წ.; „მცირე შენიშვნა“ – 1910 წ. ...); ლოგიკურად და არგუმენტირებულად ჩამოაყალიბოს თავისი აზრი ზოგადად დედაენის და კერძოდ ქართული ენის შესახებ... მაგრამ აკაკი წერეთელმა საბოლოო „განაჩენი“ გამოუტანა – „ენას გიწუნებ, ფშაველო“...

აკაკის ლექსი გამოქვეყნდა 18 თებერვალს. ამ დროს ვაჟა ქუთაისშია. 19-21 თებერვალს მონაწილეობს ილიას საღა-

მოზე (აქ კითხულობს ზემოხსენებულ ლექსს „იმერეთს“). 21 თებერვალს გამოემგზავრა ქუთაისიდან. **დავით კლდიაშვილი** იკონებს: ვაჟა-ფშაველა „სალამოს მივაცილეთ სადგურამდი და გავისტუმრეთ თბილისში; სადგურისკენ მიმავალმა სხვათაშორის მითხრა:

– ახირებული ადამიანია ეს ჩვენი აკაკი! დამიწერა „ენას გიწუნებ, ფშაველო“. კაცო, მე ამ ჩემი ენით მომწონს ჩემი თავი, თორემ სხვა რა არის ჩემს ლექსებში და პოემებში! თუ ენაც დასაწუნია, მაშ არაფერი ყოფილა და ბარემც ასე თქვი პირდაპირ და ის იქნება! უცნაური კბენა იცის ხოლმე! – **ამას საოცარი გულისტიკვილით ამბობდა დიდებული ვაჟა!**“... (მივაქციოთ ყურადღება გამოთქმას – „იცის ხოლმე“...).

იმასაც მივაქციოთ ყურადღება: აკაკის ლექსის მომდევნო სტროფები ქება-დიდებაა ვაჟასი და ფშავისა –

„ჯერ არ ვყოფილვარ ფშავეთში,  
მაგრამ კი ვიცნობ ცნობითა;  
შენ დამიხატე ის მხარე  
ფშაურის ჭკუა გრძნობითა.  
და რაც არ გადმოგიცია  
მის შვენებაზე ენითა,  
მე თვითონ მივხვდი ყოლიფერს,  
შენთანვე აღმაფრენითა.  
ვიცი, რომ ფშავის სოფელი  
წმინდაა მაღალ მთისაო,  
ენა-მეტყველი სიმართლის  
გულ-მკერდი ფოლადისაო.  
წინეთ რომ ხმალი უჭრიდათ,  
სადღეისოდ სჭრის კალამი...  
გადაეც ბარის მგოსნისგან  
მთიულებს ძმური სალამი“

აკაკი წერეთელი აზრს არ იცვლის: **აქებს, აღიდებს ვა-  
ჟა-ფშაველას, მის მშობლიურ კუთხეს, მაგრამ უწუნებს ენას...**

არც ვაჟა-ფშაველა იცვლის აზრს – პატივს სცემს აკაკი წერეთელს, მაგრამ იცავს თავის ენობრივ პოზიციას...

თუ აკაკის ლექსი შეიძლება მივიჩნიოთ „პოეტურ და-  
სკვნად“ აკაკის პოზიციისა ვაჟას ენის მიმართ, ვაჟას საპასუ-  
ხო ლექსი ასევე შეიძლება მივიჩნიოთ „პოეტურ დასკვნად“  
ვაჟასეული ენობრივი პოზიციისა...

აკაკის ლექსი დაიბეჭდა 1913 წლის თებერვალში; სამი-  
ოდე თვის შემდეგ „სახალხო გაზეთში“ (2 ივნისი, №909)  
გამოქვეყნდა ვაჟას ლექსი „დაგვიანებული პასუხი აკაკის“.

რამდენიმე საგულისხმო მომენტზე გავამახვილებთ ყურა-  
დლებას:

რატომ ჰქვია ლექსს „დაგვიანებული პასუხი“, როცა  
სულ რაღაც სამიოდე თვის შემდეგ გამოქვეყნდა? ვფიქრობთ,  
რომ **ეს არ არის პასუხი მხოლოდ ამ ლექსისა...** როგორც  
ჩანს, ვაჟა-ფშაველას აკაკის მიერ აღრე არაერთგზის გამო-  
თქმული კრიტიკული აზრი აფიქრებდა... თუმცა ვერ შეჰბედა  
„მხცოვან პოეტს“... ამ ლექსში სწორედ ის საკითხებია და-  
სმული, რასაც უკრიტიკებენ ვაჟას და რაზეც თავის წერი-  
ლებში ამახვილებდა ყურადღებას ვაჟა-ფშაველა:

„რადა? რა ღმერთი გამიწყრა  
მარგალიტების მთესველსა  
რომ თავის უშნო ენითა  
ველარ ვაგონებ მშობელსა?“

„იქნებ მე, ჩემმა ენამა  
სამშობლო დავაღონეთა?“

„უვარგისობის მიზეზი  
ფშაველობა არის სწორედა...“

„რატომ არ ჰგუობს, არ ვიცი,  
ამ ჰანგს ბუნება ბარისა?“

„და ენა მთისა სიმტკიცით  
მსგავსია კლდისა სალისა...“

„გულს მისვენია ხატადა  
ენა მთისა და ბარისა...“

„მე არც ერთ კილოს არ ვწუნობ,  
თუა ქართულის გვარისა...“

„ნუ შეგაშინებთ, არ გავნებსთ  
მთიდან ყვირილი ხარისა...“

თუ ვაჟას ზემოგანხილულ პუბლიცისტურ წერილებს გავიხსენებთ, მგოსნის შეხედულებებს ენის, დიალექტის, მწერლის როლის შესახებ ენის განვითარებაში, იოლად დავძებნით ამ პოეტური ფორმულების შესაბამის აზრებს...

ასე რომ, ვაჟა-ფშაველას ეს ლექსიც არის, შეიძლება ასე ითქვას, „პოეტური რეზიუმე“ მისი ენობრივი პოზიციისა...

\* \* \*

1899 წელს გამოქვეყნებულ „ბიბლიოგრაფიულ შენიშვნებს“ – მის მკაცრ და მოურიდებელ კრიტიკას საზოგადოების მკვეთრი რეაქცია არ მოჰყოლია... ვაჟაც (ჩვენი აზრით) ორიოდე წლის შემდეგ გამოეხმაურა წერილით „ენა“, თუმცა ისე, რომ არც აკაკი წერეთელი უხსენებია და არც „ბიბლიოგრაფიული შენიშვნები“...

1913 წლის თებერვალში დაბეჭდილ ლექსს „ვაჟა-ფშაველას“ წარმოუდგენელი გამონხმაურება მოჰყვა. ამის მიზეზი რამდენიმე ჩანს: ავტორი – აკაკი წერეთელი, ადრესატი – ვაჟა-ფშაველა და პოეტური სიტყვის ძალმოსილება...

ვაჟას სიცოცხლეშივე ეს პოეტური პოლემიკა დიდად პოპულარული გახდა და ზოგჯერ უცნაური მითქმა-მოთქმის საბაბიც. ვაჟას თანამედროვეთა რამდენიმე მოგონებას გავიხსენებთ:

ზემთ დავით კლდიაშვილის მოგონება მოვიყვანეთ: „მე ამ ჩემი ენით მომწონს თავიო“, რომ უთქვამს ვაჟას „საოცარი გულისტკივილით“...

საერთოდ ამ ამბავმა (პაექრობამ) მოგონებათა ტყუილ-მართალსაც მისცა გასაქანი... ცხადია, დავით კლდიაშვილის ნათქვამში ეჭვის შეტანა უხერხულია, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში ფაქტები დასაზუსტებელია.

სიკო ფაშალიშვილი იგონებს, რომ ვაჟამ ქუთაისიდან გორში გამოიარაო; ლევანი (ვაჟას შვილი) სწავლობდა გორის გიმნაზიაში... გაზეთი „თემი“ „ვაჟას შვილმა ლევანმა კიოსკიდან იმ დღით გამოიტანა... მოგონების ავტორი ამტკიცებს, რომ ვაჟამ აკაკის ლექსი პირველად გორში ნახა, პირველად აქ წაიკითხაო... არადა, 22 თებერვალია (ლექსი 18 თებერვალს დაიბეჭდა) და დ. კლდიაშვილიც საუბრობს ამ ლექსზე... თუძცა ეს არაა არსებითი, მე მგონი... ს. ფაშალიშვილი განაგრძობს:

„ვაჟა „თემის“ წაკითხვის შემდეგ ერთგვარად გაწბილებული დარჩა, პასუხიც დააპირა, მაგრამ „სახალხო“ მესვეურების რჩევამ შეაჩერა – „ამ საკითხზე კამათის აღძვრა აკაკისთვის საწყენი არ გამოვიდესო“, დაშოშმინეს ვაჟა და ჩარგალს წავიდაო“...

**იოსებ იმედაშვილი მოიგონებს** აკაკისთან საუბარს: „ერთხელ ვკითხე:

– ბატონო აკაკი, მაპატიეთ, მაგრამ მინდა შეგეკითხოთ: ვაჟა ასე რად გაანადგურეთ.

– ვაჟა გაანადგურე?

– დიახ,

– რით, როდის?  
– ენა რომ დაუწუნეთ.  
– დასაწუნია და იმიტომაც დაუწუნე... სხვებს როგორც შევკადრებ განადგურებას?

– ხალხმა კი ასე გაიგო: რაკი აკაკიმ ვაჟას ენა დაუწუნა – განადგურაო; მოგეხსენებათ, საქართველოში არავისი სიტყვა ისე არ სჯერათ, როგორც თქვენი...

– ძლიერ შეცდება, თუ ვინმე მომაწერს, ვითომც ვაჟას განადგურება მენებოს... პირიქით, როგორც მოღვაწე – მწერალსა და ნამდვილ ქართველს, ძნელად თუ ვინმეს პატივს ვცემდე, როგორც ვაჟას... ეგ ისეთ გმირად ჩამებეჭდა გულში, რომლის მსგავსს სხვას ვერ ვხედავ, რადგან მაგას სიტყვა და საქმე ერთი აქვს!... ენის დამახინჯება კი არავის უნდა ეპატიოს, – **ენა უნდა იყოს ერთი, ნამდვილი ქართული, ხალასი, წმინდა წყარო...** მაგან კი ფშავ-ხევსურების კილოკავები შემოიტანა, რომელიც არავის ესმის... ეს კუთხური გამოთქმანი არ გამოგვადგება...

– ამ მხრივ სხვებიც რომ სცოდავენ... – მიუუგე და კრძალვით შევხედე.

– სხვებიც, სამწუხაროდ... საკუთრივ მეც ქე მაქვს აქაიქ იმერული, მაგრამ იშვიათად, როცა ამას ტიპიურობა მოითხოვს. ეგ მამაცხონებული კი წრეს გადასცდა: ქართული გააფშავ-ხევსურა...

შეკამათება ვერ შევკადრე“...

მოგონებებში ზოგჯერ ისეთი ფრაზაც გაკრთება, ძნელი დასაჯერებელია ამგვარ ფრაზათა რეალურობა. ეთერ თათარაიძემ **გულქან რაზიკაშვილზე** წიგნი დაწერა. აკაკისა და ვაჟას პაექრობის შესახებაც ჩაეკითხა. გულქანმა თქვაო: „წაიკითხა მამამ, არ ვიცი, ლექსი არ მახსონ, გაზეთში იყო, აკაკიმ რო დაუწუნა. ენას მიწუნებს აკაკუნაიო, – ისა თქვა. არ იყო ხასიათზედ, არა.

დიდხანს ვიფიქრე მაგაზე, თუ რა პასუხი გამეცაო.

მე რატომ არ ვკჭუნობ მაგათ ენასაო, რაეხსა სჩხაპნიანო – ისა თქვა“... გულქანს აზრი ახსოვს ფაქტისა; ცხადია, სიტყვიერი გამოხატვა მისია (გულქანისა)... არა მგონია, ვაჟას თუნდაც შინაურობაში ეთქვა ასე აკაკის შესახებ...

ესეც საინტერესოა: **ნიკო კურდღელაშვილის** (ნარკანის) მოგონებიდან:

ემსჯელობდითო: – „რუსთაველიდან დაწყებული დღემდე ქართულმა ენამ მრავალი დევნა და ცვლილება განიცადა, მაგრამ სალიტერატურო ენა მაინც ჩამოყალიბდა; ჩვენი ენის ღირსება ის არის, რომ სასაუბრო და სამწერლო ენა ერთმანეთისაგან არ არის დაშორებული, როგორც ზოგიერთ სხვა ენაში. რუსეთში სალიტერატურო შემოქმედი პუშკინი იყო. ჩვენცა გვყავს სალიტერატურო ენის შემოქმედნი: ილია, აკაკი...“

– პეპლების პოეტებისა არა მჭამს რა, – კვლავ ჩაურთო... ვაჟამ.

– საქმე პეპელა კი არ არის, არამედ ის, რომ მგონის ნაწერი ხალხის გულს ჩასწვდეს, ჩვენი გულის ყველა კუთხისთვის გასაგები იყოს, – ესაა სალიტერატურო ენის ღირსება...

– რუსთაველის ენა მთაშია შემონახული, ფშავ-ხევსურეთში, რაჭაში, ხევში, ალბათ სვანეთშიც. ამ ენას უნდა ვუფროთხილდებოდეთ თვალის ჩინივით! – არ ისვენებს ვაჟა“...

ისევ იმ პოლემიკის გამოძახილი, ისევ „მინაგანი ოპონირება“ აკაკისთან და მოულოდნელი ფრაზებიც („პეპლების პოეტები“)...

ეს დამოკიდებულება ორი გენიოსი პოეტისა საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესის საგანია. სანდრო შანშიაშვილი იგონებს: „მანსოვს ვუმართავდით იუბილეს. მთელი საქართველო ფეხზე დადგა აკაკის პატივსაცემად. **მე და რამდენიმეს**

გვეგონა, რომ ვაჟა ამ იუბილეზე არ ჩამოვიდოდა, რადგან აკაკიმ ვაჟას რამდენჯერმე აწყენინა. მაგრამ, უცბად, მოლოცვების დროს, სცენაზე გადმოვინთო ვაჟა და საზეიმო ხმით დაჭეჭა.

შეიძრა მთელი დარბაზი. წამოვიდა იარუსებიდან ზღვა ყვავილები. მეგონა, თითქოს დარბაზი ინგრეოდა. ხოლო როდესაც გაისმა:

„ნეტავი ბევრი გაზარდოს  
შენისთანები ღელამა“,

ანდა

„სამშობლოს სამსახურისთვის  
ჩანგი გიკურთხოს ზენამა“.

მთელი დარბაზი ფეხზე ადგა. აკაკი ვაჟასკენ წამოვიდა, ვაჟა — მისკენ და ერთმანეთი გადაკოცნეს, მე ასე შევატყვე რომ ორივეს თვალთაგან სიხარულის ცრემლი სდიოდა“

ესეც უნდა ითქვას: ეს ლექსი ასე იწყება:

„თუნდ არ მოგწონდეს, იქნება,  
ჩემი ფანდურის ჩხაკუნი,  
მიიღე, სარეკელასი  
როგორც წისქვილში რაკუნი“... —

ქუთაისში ჩასვლა, უდიდესი პატივისცემა, უდიდესი სიყვარულის გამოხატვა და მაინც — თავშეკავებული საყვედური, ვაჟას აზრით, უსამართლო კრიტიკის გამო...

სხვათაშორის XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე მოღვაწეთა საკმაოდ მდიდარი მემუარული ლიტერატურა გვაქვს. უმეტესობა მოვალედ თვლის, აკაკისა და ვაჟას ურთიერთდამოკიდებულებასაც შეეხოს. აქ, რა თქმა უნდა, უპირველესი, „რაზიკაშვილების ენა“... დავით ფაღავა აკაკი წერეთელთან შეხვედრას იხსენებს: „აკაკიმ იმ საღამოს განსაკუთრებული აღფრთოვანებით წაგვიკითხა ავთანდილის ანდერძი. ბევრი ილაპარაკა შოთაზე, „ვეფხისტყაოსანზე“, მის გმირებზე, შემდეგ

აილო ჟურნალ „მოამბის“ ახალი ნომერი, რომელშიც მოთავსებული იყო ვაჟა-ფშაველას ერთ-ერთი „სიმღერა“ და ცახელიის რომელიღაც ლექსი: „აი, მაგალითად, **ვაჟა მეტად ნიჭიერი მწერალია. იგი შეუდარებელი ენით წერს პროზად, ლექსის ენა კი მიუღებელიაო**“... გვთხოვა მიგვეცა ვაჟას პროზად დაწერილი ნაწარმოები. ჩვენ მაშინვე მივუტანეთ ვაჟას „ფესვები“. აკაკიმ დაიწყო კითხვა. ყველანი სმენად გადავიქექით. ეს ნაწარმოები აკაკის წაკითხვის შემდეგ უფრო ლამაზად მოგვეჩვენა“... (ქრონოლოგიისათვის: „ფესვები“ 1893 წელს გამოქვეყნდა „ჯეჯვილიში“; 1899 წელს გადაიბეჭდა „ქრესტომათიაში“...)...

ცხადია, აკაკისათვის ვაჟას ენობრივი პოზიციაა არსებითი; აქ შეიძლება ის გავიხსენოთ, აკაკიმ იაკობ გოგებაშვილს ენა რომ დაუწუნა; ეს ცნობილი პოლემიკაა... აკაკიმ განმარტა, „პირველად სიმონისძეს (ე. ი. იაკობ გოგებაშვილს – გ. გ.) მიტომ გამოვეთამაშეთ, რომ ის სხვებზე უფრო შესამჩნევია: ის ზრდის და ისა წვერთნის ქართველ ახალგაზრდობას, **ენასაც ყველა მისგან სწავლობს** და, მამასადაძე, იმის მცირე შეცდომასაც უფრო მეტი ვნების მოტანა შეუძლია, ვიდრე სხვისას. ეს ჩემი უმანკო აზრი და კეთილი განზრახვა იყო“... ალბათ ამასვე იტყოდა ვაჟა-ფშაველაზეც – „ეს ჩემი უმანკო აზრი და კეთილი განზრახვა იყო“...

თავისთავად, ვაჟასთვისაც აკაკის აზრი იყო საინტერესო, თორემ, ვთქვით, ზოგი კრიტიკული წერილი პასუხის ღირსადაც არა სცნო.

შიო მღვიმელი იგონებს: „ერთხელ სუფრაზე შანშიამ-ვილმა ვაჟას მოაგონა ის ამბავი, როცა მწერალმა მელიტონ გობეჩიამ „სახალხო ფურცელში“ დასაბეჭდად მიტანილი ლექსი დაუწუნა და არ დაუბეჭდა – „რითმები არ გივარგაო“; ვაჟას ამ ამბის განხსენება სიცილადაც არ ეყო“.

ბევრი რამის გახსენება შეიძლება; მრავალი თანამედროვის მოგონების მოხმობა... თუნდაც: დარია ახვლედიანს უკითხავს აკაკისათვის: „ბატონო აკაკი, თქვენს შემდეგ ვინ მიგაჩნიათ პოეტად ჩვენში“ და აკაკის ვაჟა-ფშაველა დაუსახელებია!...

და ამ ლამაზი ამბით შევაჯამებთ ამ მონაკვეთს: **თედო სახოკია** იგონებს: „ნაკადულის“ რედაქციაში აკაკი სტუმრობდაო; „ლაპარაკის დროს შემოვიდა ვაჟა.

– ჰაა, ჩვენ მთის არწივს გაუმარჯოს! – შესძახა მხიარულად აკაკიმ.

– მთის არწივიც შენ ბრძანდები და ბარის ბულბულიც! – უთხრა ვაჟამ ღიმილით და ხელი ჩამოართვა!“...

ეს ასე იყო აკაკისა და ვაჟას სიცოცხლეში...

ეს თემა ცოცხალია აკაკისა და ვაჟას გარდაცვალების შემდეგაც...

აი, ამ საკითხზე გვინდა გავაგრძელოთ მსჯელობა...

## ბ) ვითარება 1915 წლის შემდგომ

\* \* \*

როგორც ვნახეთ, ამ პრობლემამ – ვაჟა-ფშაველა და ქართული სალიტერატურო ენა – თავი იჩინა ვაჟას სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის პირველივე წლებში. არაერთი იმდროინდელი მოღვაწე შეეხო ამ თემას, მაგრამ ამ პრობლემის ხსენებისას აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას პაექრობაზე იწყებენ საუბარს. **გასაგებია:** ყველაზე მკვეთრი და მოურიდებელი აკაკი წერეთლის კრიტიკა იყო; ყველაზე მეტად ვაჟა-ფშაველამ აკაკის კრიტიკა განიცადა... არაა ძნელი გასააზრებელი:

„აკაკი პატარა საქართველოა!...“

„აკაკი განხორციელებული მამულიშვილობაა!...“

„აკაკი ქართული პოეზიის ფუნდამენტული იალბუზია!“

(ი. გოგებაშვილი)

და

„ვაჟა-ფშაველაც პატარა საქართველოა“ (ი. გოგებაშვილი);

„ვაჟა-ფშაველა შუმი გენიოსი იყო“ (კ. გამსახურდია);

„ვაჟა – თვითონ მეფე იყო, ოქროს ჭრიდა საკუთარი შტამპით“ (გალაკტიონი).

აი, ამ ორი გენიოსის თვალსაზრისები დაუპირისპირდა ერთმანეთს...

და ეს თემა შემორჩა ჩვენს სალიტერატურო სამყაროს აკაკისა და ვაჟას პაექრობად – „ენას გიწუნებ ფშაველო“, – ერთი მხრით და „მე არცერთ კილოს არ ვწუნობო“, მეორე მხრით...

1915 წელს განშორდნენ ამ წუთისოფელს აკაკი და ვაჟა...

თემა – აკაკი და ვაჟა – მეტი აქტიურობით აგრძელებდა სიცოცხლეს მთელი XX საუკუნის მანძილზე...

ღიან, ამ საკითხებზე განვაგრძობთ საუბარს...

ამ თემას თითქმის გვერდს ვერავინ უვლის. ცხადია, ყველა თვალსაზრისს, ყველა შეფასებას შეუძლებელია შევხებით. ჩვენ ზოგადი სურათის დახატვას შევეცდებით. უპირველესად, XX საუკუნის კლასიკოსების აზრს გავიხსენებთ. არაა ეს აზრი ერთგვაროვანი.

\* \* \*

**მიხეილ ჯავახიშვილის** მიერ ამ თემაზე ყურადღების გამახვილება შემთხვევითი არ არის; უფრო სწორად, ის გვერდს ვერ აუვლიდა ამ ფაქტს, რადგან მიაჩნდა, რომ „ენა მწერლის ბალავარია, მისი უმთავრესი იარაღია. ენის უცოდინარი მწერალი სამეფა ცხენსა ჰგავს, გენიოსიც რომ იყოს, ვერც გაიქცევა და ვერც დაიძვრება“ (მ. ჯავახიშვილი, ექვსტომეული, ტ. VI, გვ. 391). სხვაგან: „სალიტერატურო გამარჯვებისა-

თვის კარგი ქართულია საჭირო, მერე კარგი ქართული და ბოლოს ისევ კარგი ქართული“ და მიხეილ ჯავახიშვილი აღიარებს, რომ „ქართული ენის მასწავლებლად ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და ვაჟა-ფშაველა მყავდაო“. სხვაგან წერს: „ნუ თუ შეიძლება მოკვდეს ენა შოთასი, ილიასი, აკაკისა და ვაჟასი“ (იქვე, გვ. 286). თითქოსდა უცნაურია: აქ ვაჟას შოთას, ილიასა და აკაკის გვერდით აყენებს. მაგრამ სხვაგან წერს: „გავიხსენოთ თუნდაც სამი მწერალი – **ვაჟა-ფშაველა, ე. ნინოშვილი და დ. კლდიაშვილი. პირველი ფშაურ კილოზე წერდა** (თუმცა მისი პროზა დღესაც სანიმუშოდ ჩაითვლება), **მეორე გურულზე**, მესამე **ქვემო იმერულზე**. სამივე დიდი მწერალია, მაგრამ **დაჩნია რომელიმე მათგანის კუთხურმა კილომ შესამჩნევი კვალი** სალიტერატურო ქართულს?... არც ერთი ოდნავ მაინც გამოჩენილი ლიტერატორი აღარ სწერს ამ კილოთი. რა არის ამის მიზეზი?“ (VI, 332).

ეს თემა ძალიან მნიშვნელოვანი და არსებითია მიხეილ ჯავახიშვილისათვის. სალიტერატურო ენისა და კილოების ურთიერთობის პრობლემა არაა მარტივად გადასაწყვეტი. მ. ჯავახიშვილი განმარტავს: „ჩვენ წინააღმდეგნი არა ვართ ამა თუ იმ პროვინციიდან მოტანილ სიტყვებისა, პირიქით, ბევრი კარგი რამ მოიძებნება ჩვენს განაპირა ადგილებში, მაგრამ ეს შენაკადები უნდა ჰხვდებოდეს მთავარი მდინარესთან, რომელსაც სამწერლო ენა ჰქვია“... აი, აქ დასჭირდა მიხეილ ჯავახიშვილს ვაჟა-ფშაველას გახსენება და ერთგვარად „გამართლება“ მისი პოზიციისა:

„იქნებ ვინმემ თავი იმართლოს ვაჟა-ფშაველას და ყაზბეგის მაგალითებით? – ეს თავის მართლება არ გამოადგებათ, რადგან ვაჟაც და ყაზბეგიც მთის ენით ლაპარაკობდნენ, მთას ალაპარაკებენ და მთის გარეშეც არსად მიდიან. მათიას, ელგუჯას და გოგოლაურს რომ ლიტერატურული ენით ელაპარაკათ, ეს დაუშვებელი იქნებოდა და სიყალბეც, ისეთივე, რო-

გორც ნაძალადევი იქნებოდა დ. კლდიაშვილის გმირების სა-  
ლიტერატურო ენა“ (VI, 331). „პროვინციული კილოს ზმარე-  
ბა თემის საკითხია, და თუ ეს უკანასკნელი საერთო არის,  
ენაც ასეთი უნდა ჰქონდეს“ (იქვე).

მ. ჯავახიშვილი გვერდს ვერ უვლის, თუმცა მკვეთრად  
უარყოფითი აზრის გამოთქმას ვერ ბედავს ვაჟას ენის მიმართ:

„კუთხურით წერა მეტად სახიფათო ხერხია, ერთი თუ  
გამიარჯვებს, ათი დამარცხდება, რადგან სტილიზაცია უურ-  
თულესი და უძნელესი ფანდია. დიდი ხელოვანის ვაჟა-ფშავე-  
ლას ფანდი: „ჩაფიქრებულა მინდია, ყალივან აჩრავ პირშია“ –  
საუკუნეებს გაუძლებს, მაგრამ სალიტერატურო ენაში ვერ  
შემოვა“... (VI, 336).

ცხადია, ეს გარკვეულწილად გამოძახილია ვაჟა-ფშავე-  
ლასთან დაკავშირებული ტრადიციული პოლემიკისა...

\* \* \*

ვაჟა-ფშაველას ენობრივი პოზიცია და ის პრობლემები,  
რომლებიც ამ პოზიციამ შექმნა ქართულ ლიტერატურულ  
სივრცეში, ვფიქრობთ, XX საუკუნეში ყველაზე მკვეთრად და  
არაორაზროვნად კონსტანტინე გამსახურდიას პუბლიცისტიკა-  
ში აისახა.

ფაქტია: ვაჟა-ფშაველას კონსტანტინე გამსახურდია აი-  
დეალებს: „ვაჟა შუმი გენიოსი იყო იყო და, როგორც ცნობი-  
ლია, გენიოსისათვის კანონი არ დაწერილა“ (კ. გამსახურდია,  
რვატომეული, ტ. VI, 665). ის ფაქტი, რომ ვაჟას ენობრივმა  
სამყარომ ასეთი ყურადღება მიიპყრო, ბუნებრივია; მწერლის  
აზრით, „პოეტის შეფასებაში ჩემთვის ერთი უმთავრესთაგანია  
ენობრივი პოზიცია ავტორისა, რადგან ენა იგივეა მწერლისა-  
თვის, რაც კომპოზიტორისათვის სამუსიკო ინსტრუმენტი“  
(VI, 664)... მისი აზრით, „არ არის დასამალავი, რომ ვაჟა-  
ფშაველა უბრალო მწერალი რომ ყოფილიყო, ის უთუოდ ეთ-  
ნოგრაფიულ ჭაობში ჩაიფლობოდა, მაგრამ გენიოსები გამონაკ-

ლისს წარმოადგენენ. რაც იუპიტერს მიეჭევა, ის ხარს არ ეპატიება.

**ვაჟას წინ რომ არ დახვედროდა დიდი შოთა, დავით გურამიშვილი, გრიგოლ ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და სხვები, მაშინ ვაჟა ფშავერ-ხევსურულ დიალექტებს მოახვევდა თავზე საქართველოს და მოხდებოდა ისეთი ამბავი, როგორიც დანტემ ჩაიდინა იტალიური ენის მიმართ“** (VII, 532).

კ. გამსახურდია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იმ პოლემიკებს, რომლებიც XIX საუკუნეში გაიმართა ჩვენს კლასიკოსებს შორის: „მრავალი თაობისათვის საგულისხმოდ დარჩება შერკინება ჩვენი დიდი პოეტებისა: ერთი მხრივ, გრიგოლ ორბელიანსა და ილია ჭავჭავაძეს შორის, ხოლო მეორე მხრივ – ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელს შორის.

**ბოლოს ჩვენი ქართული პოეზიის ტკბილხმოვანი ორფეოსი წაეკიდა ჩვენს დიდ ვაჟას და ასეთი რამ აკადრა: „ენას გიწუნებ ფშაველო“** (VII, 249).

ამკარაა აკაკისა და ვაჟას დაპირისპირებაში კ. გამსახურდია ვაჟას თანაუგძნობს – (ასეთი რამ აკადრაო...); ანდა: „აქ ბევრი ჰქონდათ სადავო აკაკი წერეთელსა და სილოვან ხუნდაძეს. მე სიყრმიდანვე ვაჟას მომხრე ვიყავი და გიმნაზიის უკანასკნელ კლასებში მერხიდან ვუწევდი ოპოზიციას ჩემს მასწავლებელს, სილოვან ხუნდაძეს“; თუმცა ასე მარტივად ვერ გადავწყვეტთ ამას. კ. გამსახურდია ცდილობს ახსნას, გამართლება მოუძებნოს ვაჟას მიერ დიალექტიზმების გამოყენებას. საგანგებოდ შენიშნავს, რომ ენისადმი დამოკიდებულებით ვაჟა უკვლავ კლასიკოსთა გვერდით დგას: „ენა რუსთაველის, გურამიშვილის, საბა ორბელიანის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას მიერაა შექმნილი, ენა XIX საუკუნის ქართული მწერლობისა“ (VII, 492). ამით იმის თქმა სურს მწერალს, რომ ვაჟა-ფშაველას არაფერი ემლება,

ვაჟასთან შემთხვევით არაფერი ხდება: „**ვაჟა განზრახ გაემიჯნა ტრივიალურ პროვინციალიზმში გადაჭრილ მწერლების ენას**“ (VI, 665).

კ. გამსახურდია თითქოსდა მიიჩნევს, რომ ვაჟას მიმართ კრიტიკა არაობიექტურია, გამონაკლისს უშვებენ, დიალექტიზმების გამო რომ აკრიტიკებენ:

„ჩვენ ვიქნებით უსამართლო განმსჯელები, თუ დიალექტიზმების ცოდვებს მოვხსნით ჩვენს კლასიკოსებს, ილიას და აკაკის, მით უმეტეს დავით კლდიაშვილს, ე. ნინოშვილს, სოფრომ მგალობლიშვილს, გიორგი წერეთელს, რომელნიც არ იყვნენ უცოდველნი ამ საქმეში“ (VI, 665).

კრიტიკოსს არ ასახელებს, თუმცა „ამხელს“ ვაჟას მიმართ გამოჩენილ „უსამართლობაში“: „უცნაური იყო ზოგ-ზოგი კრიტიკოსის მიერ იმისი მტკიცება, თითქოს ვაჟა **ველური, გაურანდავი ტალანტი** ყოფილიყოს. საკმარისია, გადაათვალიეროთ მისი კრიტიკული წერილები, რათა დარწმუნდეთ, რომ **ვაჟა დიდად განათლებული ადამიანი იყო**“ (VI, 665)... ანდა: „ილია ვაჟას გამოსვლის ხანებში უფრო დაბრძენებული და მომზადებული იყო, ვიდრე ზოგიერთი თანამედროვე კრიტიკოსი, მაგრამ არასოდეს უკადრებია: ვაჟა პრიმიტივი იყო“ (VI, 547). და ეს სჭირდება იმისათვის, რომ ამტკიცოს, დიალექტიზმებისადმი ვაჟას დამოკიდებულება სრულიად გამიზნული, შეგნებული იყო.

„**მეტყველების გენიოსური სისადავით** იგი ხალხურ მეტყველებას მიეახლა და ამიტომაც ძნელად გასარჩევია, თუ სად იწყება ვაჟას პიროვნული ოსტატობა და სად თავდება ხალხური პოეზიის შედეგების ანკარა წყარო“ (VI, 321). სწორედ რომ დიდოსტატური შეფასებაა... ესაა მთავარი: „**მოვიდა ვაჟა და თან მოიტანა ახალი ძლიერი ტალღა ხალხური მეტყველებისა**“ (VI, 319). კ. გამსახურდიას სჯერა, რომ „ქართულ მწერლობაში სასწორის მეორე მხარეს რუსთაველი,

გურამიშვილი, ქართული ხალხური პოეზია რომ არ ყოფილიყო, შესაძლო იყო ფშავ-ხევსურული დიალექტი მოეხვია ქართული ლიტერატურისათვის ვაჟას“ (VI, 319). ამას სხვადასხვა ვარიაციით რამდენჯერმე იმეორებს კ. გამსახურდია; ერთი ვარიანტი შემოთაც მოვიყვანეთ.

ესეც მოვისმინოთ: „ვაჟა-ფშაველას ორი ქართული დიალექტის: ხევსურულისა და ფშაურის მემკვიდრეობა წილად ერგო იმთავითვე და ჩვენც გაგვხადა ამ მემკვიდრეობის თანაზიარი.

სავსებით იშვიათი შემთხვევაა მსოფლიო ლიტერატურაში, როცა ორი ტომის მიერ მრავალი საუკუნის მანძილზე დაგროვილი მარაგით მოსულიყოს პოეტი და ისე გაემარჯვოს, როგორც ვაჟამ გაიმარჯვა... ჯერ არცერთი დიალექტის მესიტყვეს არ გაუმარჯვნია ისე დასავლეთის არცერთ ლიტერატურაში“ (VI, 319). ვაჟა – „დიალექტის მესიტყვე“ – მხოლოდ და მხოლოდ დადებითი მნიშვნელობის შემცველი ეპითეტია!... რადგან კ. გამსახურდია ასე თვლის: „ვაჟას კუთხური – ფშავ-ხევსურული დიალექტი რომ ვერ მოეშველიებია, ასეთ სიმადლეზე ვერ ასწევდა თავის პოემებსა და ლექსებს“ (VI, 669). რატომ? – „ხალხური მეტყველება განლავთ ის ელექსირი, რომელიც სიტფოსა და სიმტკიცეს შეჰმატებს ხოლმე ენას“ (VIII, 215). იმასაც მივაპყროთ ყურადღება – დიალექტური მეტყველება პოეზიასთანაა კავშირში... დიდებულ პროზაში რომ „ფშავ-ხევსურული დიალექტი არ მოუშველებია“ ვაჟას, ეს ხომ მის პროზას არაფერს აკლებს... – პროზას აკლია ვითომ ის ელექსირი? ყოველ შემთხვევაში, კ. გამსახურდია ამის თაობაზე არას ამბობს...

კონკრეტულ ენობრივ ფაქტებზე (დიალექტიზმებზე) არას ამბობს კ. გამსახურდია, განაზავს მხოლოდ იმას, რომ ვაჟას დიდი დამსახურება ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკის გამდიდრებაა: „ვაჟამ მრავალი სიტყვა შემოიტანა ფშავ-ხევ-

სურთა დილექტებიდან და თამამად შემოუშვა დედა-ქართულში“ (VIII, 210). „ვაჟა-ფშაველა ლამის იყო არ ჩაჰქოლეს იმის გამო, რომ მან თამამად შემოუშვა დედა-ქართულში ფშავ-ხევსურული მითოლოგიიდან და ხალხური პოეზიიდან ნასესხები სიტყვები.

ცხადია, ვაჟას გმირთა მეტყველებაში ეს პარტიკულარიზმი დიანაც დიდად სასარგებლოა ქართული ენის გამდიდრების საქმისთვის“ (VII, 255).

**შენიშნავთ:** კ. გამსახურდიამ ტერმინი „პარტიკულარიზმი“ ამ კონტექსტში დადებით მოვლენად მიიჩნია, თუმცა ეს ტერმინი შემდგომში ვაჟა-ფშაველასადმი მთავარ ბრალდებად იქცა...

აქ ერთ ფაქტზე გვინდა გავამახვილოთ ყურადღება – მწერლის როლი ლექსიკის გამდიდრებაში: „ქართული ენის მეურნეობაში მე მუდამ ვხედავდი მისი **გასოფლურების** საშიშროებას, ამიტომ თამამად შემოვუშვი თანადროულ ქართულში ბერძნულ-ლათინური ძირ-სიტყვები“ (VIII, 215). ტერმინი „გასოფლურება“ ცოტა გაუგებარია: ვაჟას მიერ ფშავ-ხევსურული ლექსიკის შემოტანა დადებითი მოვლენაა; ესეც „გასოფლურების“ საწინააღმდეგო ქმედებაა? რაღაა ეს „გასოფლურება“? ალბათ **უფრო ღრმადაა შესასწავლი კ. გამსახურდიას ენობრივი შეხედულებანი** და ვაჟას ენის მიმართ მისი დამოკიდებულებაც ამ კონტექსტში უნდა დავინახოთ...

კ. გამსახურდია ამკარად ეთანხმება ვაჟა-ფშაველას იმ მსჯელობას, როცა ვაჟა ფშაურ დიალექტს ძველქართულთან ყველაზე ახლო მდგომ დიალექტად მიიჩნევს: „ვაჟას ჰქონდა კუთხური, ფშაური კილო, მაგრამ **საერთო ფონი** მისი მეტყველებისა **იყო ძველი ქართული**“ (VIII, 214); ანდა: „ვაჟა-ფშაველას მარტო ხევსურულ-ფშაური დიალექტიზმი როდი ახა-

სიათებს, მის ლექსებში საკმაოდ საგრძნობია **ძველი ქართული ტონი და ინტონაცია**“ (VII, 447).

როგორც ვხედავთ, კ. გამსახურდია ზოგადი თვალსაზრისით იცავს ვაჟას ენობრივ პოზიციას; ცხადია, გრძნობს იმასაც, რომ ჭეშმარიტების მარცვალი იმათ მსჯელობაშიც იყო, ვინც ვაჟას დიალექტური ფორმების შემოტანას საყვედურობდა და ამიტომაც წერს ერთგან: „უეჭველია, **ვაჟას პოეზია უთუოდ მოიგებდა, რომ კუთხური კილოს დომინანტა შეერბილებინა ოდნავ**“ (VIII, 214)...

ეს შეფასება თითქოსდა ეწინააღმდეგება ზემო გამოთქმულ მის თვალსაზრისს ვაჟას ენის თაობაზე...

საბოლოოდ კი, კ. გამსახურდიას დასკვნა ეს არის: „ასეთი დიდი სტიქიონი იყო ვაჟა, როგორც ენობრივი მოვლენა. **ვაჟა, როგორც ენობრივი მოვლენა, ჯერაც შეუსწავლელია...**“ (VI, 319).

მ. ჯავახიშვილსა და კ. გამსახურდიაზე იმიტომ შევჩერდით ასე ვრცლად, რომ ვთვლით: XX საუკუნეში მწერლის ენის საკითხებში (და საერთოდ, ქართული ენის „მეურნეობაში“) ყველაზე ღრმად ჩახედული და ავტორიტეტული განმსჯელი ეს ორი კლასიკოსია... ცხადია, ანგარიშგასაწევი და საინტერესოა სხვათა აზრიც... მით უმეტეს, ვაჟა-ფშაველას ენის პრობლემას, აკაკისა და ვაჟას პოლემიკას პირდაპირ თუ ირიბად, დამაჯერებლად თუ ზერელედ მრავალი შეხებია... ყველა მათგანს ასე ღრმად ვერ მიმოვიხილათ, თუმცა ზოგადი სურათის შექმნას მაინც შევეცდებით...

\* \* \*

სანამ სხვათა აზრებს გავეცნობით, **გალაკტიონ ტაბიძეს** მოვუსმინოთ: „აკაკის არაფერი არ სწამდა ვაჟა-ფშაველასი და გაკვირვებას ეძლეოდა, როდესაც ხედავდა ვაჟა-ფშაველას ტრიუმფს. სამაგიეროდ ვაჟა მუხლს იყრიდა აკაკის წინ და სრულიად არ აწუხებდა მას აკაკის შეხედულება. ასეთია დიდ-

ბუნოვან ხალხთა ცხოვრება“... ცხადია. ვაჟა-ფშაველას თემაზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლიდით გალაკტიონს, თუმცა ამ აზრის კომენტირება არ შეგვიძლია... ისევე როგორც არაერთი გალაკტიონისეული აზრისა... მაგალითად, მას დავით კლდიაშვილის შესახებ ჩაუწერია: „დ. კლდიაშვილი სრულებით პოპულარული პოეტი არ არის. ერთერთმა მასზე მხოლოდ ის თქვა: – თავადიშვილი იყო, ყმები ჰყავდაო“(?!)... მაგრამ სხვაგან გაუკეთებია დიდებული ჩანაწერი დავით კლდიაშვილზე, გალაკტიონს რომ ეკადრება და თვითონ დავით კლდიაშვილს რომ შეეფერება: „როდესაც ხელთ ვიღებ დავით კლდიაშვილის წიგნს, არ შეიძლება არ გავიფიქრო: (არ დაგავიწყდეთ, პირველი სახალხო მწერალი)... რომ დ. კლდიაშვილი არაა, დაუხატველი დარჩებოდა მსოფლიო ლიტერატურაში“... და ასე შემდეგ... ჰქონდა გალაკტიონს ასეთი აზრები, „კომენტარები“ რომ გაჭირდებოდა ზოგჯერ...

**გრიგოლ რობაქიძე** აკაკისადმი მისი საოცარი დამოკიდებულების გამო თითქოს ენობრივ ნიადაგზე დაპირისპირებას ერთგვარად გვერდს უვლის, თუმცა მთლიანად ვაჟას ტყვეობაშია: „ცეცხლოვანი ნაშიერი გილგამეშისა და ილიადასი, ვაჟა-ფშაველა, **სწერდა ფშავ-ხევსურულ კილოზე, ეს კილო არ არის პროვინციალიზმი, იგი უფრო არქაიზმია.** ლაკონური გამოთქმა აქ უკიდურესობამდეა დაყვანილი... შაირებში ეს უფრო ცხადდება, რადგან მათი შინაგანი აგებულება ელიპსია. სიტყვები აქ ყოფნის ფესვებია თვითონ, მათ ჯერ კიდევ არ დაუკარგავთ სურნელება პირველქმნილისა“... პავლე ინგოროყვა მოჰყავს თანამოაზრედ გ. რობაქიძეს: „1917 წელს პავლე ინგოროყვამ თქვა ერთხელ ჩემთან გასაუბრებისას: ფშავ-ხევსურული არქაული ქართულია და არა პროვინციალიზმი. მე დავაზუსტებდი: ერთი ძველთაძველი გენი ქართულისა მთებში შერჩენილა და დღემდე ცოცხალი, პროვინციალურ სიცილს თუ არა, ჩაცინვას იწვევს. იწვევს ამას ფშავ-ხევსურული? კი-

თხვაც კი შერაცხება იქნებოდა“... ამკარაა ვაჟა-ფშაველას „ვა-  
კლენა“... სჯერა მისი გრიგოლ რობაქიძეს...

ზემოთ ვთქვით, კ. გამსახურდია აკაკის მიერ ვაჟასადმი გაპაექრების საფუძვლად თითქოს ვაჟას სიდიდეს მიიჩნევს: ვა-  
ჟამ ქართული სალიტერატურო ენის მაგისტრალური ხაზი  
ლამის ფშაურ კილოს დააფუძნაო...

დაახლოებით ამგვარივე აზრს ხედავს ამ პაექრობის სა-  
ფუძვლად **ტიციან ტაბიძე**: „აკაკი წერეთელი, ყოველთვის  
განებივრებული ხალხის სიყვარულით და სახელით, ახლა უკ-  
ვე **გრძნობს ამ დევის სუნთქვას** და ვაჟა-ფშაველასადმი მი-  
ძღვნილ ცნობილ ლექსში **ცდილობს გაბზაროს ვაჟას დაგვიან-  
ებული დიდება**“ (ტ. ტაბიძე, ტ. II, 1866, 32) და განაგრ-  
ძობს: „ვაჟა-ფშაველა თავის პასუხში მოითხოვს: „ჭორების  
მოშორებას“, თანაც გაკვირვებული კითხულობს: „რატომ არ  
ჰგუობს, არ ვიცი, მთის ჰანგს ბუნება ბარისა“...

ტ. ტაბიძის აზრით, „ლიტერატურული მტრები სიცო-  
ცხლეშივე ბრალს სდებდნენ ვაჟა ფშაველას, აუბრალოებდნენ  
მის ლიტერატურულ ღირსებებს“... ტ. ტაბიძე ყოველგვარი  
ორაზროვნების გარეშე ემიჯნება აკაკი წერეთელს: „**უსაფუძ-  
ვლო ბრალდება ვაჟას ფშაველას ენის შესახებ გაიმეორა აგ-  
რეთვე აკაკი წერეთელმა**:

ენას გიწუნებ, ფშაველო...

ვაჟა-ფშაველა დაგვიანებით ლექსად უპასუხებს აკაკის...  
აქ ვაჟა იძლევა **პოეტურ აღსარებას**: **დღე და ღამე არ სძინე-  
ბია**, უნდოდა გაეგო, რად უწუნებდნენ მას ენას და ხვდება,  
**რომ უვარგისობის მიზეზი „ფშავლობა არის სწორეთა“... (...)**

ტ. ტაბიძეს აქვს ორიგინალური ახსნა ვაჟას ენის (და  
არა მხოლოდ ენის...) თავისებურებისა: „როგორც ინგლისში  
არსებობს „ტბის სკოლის“ პოეტები, ისე საქართველოშიაც  
არის ეგრეთ წოდებული „**მთის სკოლა**“, რომლის ღირსეულ

მეთაურად ვაჟა ფშაველა ითვლება... რ. ერისთავის „სამშობლო ხევისურისა“ გამოდგებოდა ამ სკოლის ბაირაღად... ის მივიდა ხალხთან უშუალოდ, ისწავლა მისი ენა, რომელიც საიდუმლო შიფრი იყო მანამდე, და ამღერდა ქართულ მწერლობაში უჩვეულო სიმღერით... მისი სიმღერის კილოც სხვა არის, თემაცა და სტილიც“ (იქვე, გვ. 29).

ესაა დიდი პოეტის მიერ დანახული ვაჟას პოეტური სამყარო...

\* \* \*

XX ს-ის 50-იან წლებში მოხდა ის, რამაც ვაჟა-ფშაველა „გამოარჩია“ სხვა ქართველ მწერალთაგან: საბჭოთა კავშირის უმაღლესი პარტიული ხელისუფალი ინტერესდება ვაჟა-ფშაველას თემით და კეთდება ისეთი დასკვნა, რაც ფაქტობრივ განაჩენის ტოლფასი იყო. საქართველოს რესპუბლიკის იმჟამინდელი პარტიული ხელმძღვანელი, ცკ-ის პირველი მდივანი კანდიდ ჩარკვიანი საუკუნის ბოლოს მოიგოებს:

„1950 წლის ოქტომბერში სტალინთან, ცივ წყაროზე, ლაპარაკი ჩამოვარდა ქართული ლიტერატურის შესახებ. შევეხეთ ვაჟა-ფშაველასაც, რომლის პოეზიას მე ძალიან მაღალი შეფასება მივეცი. სტალინს თავისი აზრი ვაჟაზე მაშინ არ გამოუთქვამს. მან მხოლოდ ის მთხოვა, რომ მისთვის ვაჟა-ფშაველას თხზულებები გამომეგზავნა. სამი დღის შემდეგ ვაჟას ოთხ თუ ხუთტომიანი გამოცემა სტალინის მაგიდაზე იდო. გავიდა თითქმის თვენახევარი და 1950 წლის 30 ნოემბერს, გვიან ღამით ი. სტალინმა გაგრიდან ღამირეკა. შედგა საკმაოდ გრძელი საუბარი ვაჟას პოეზიისა და მსოფლმხედველობის შესახებ. დილით ეს საუბარი ჩავიწერე მთელი შესაძლებელი სიზუსტით. აუტენტურობისათვის მომყავს მისი ტექსტი ორიგინალის ენაზე.“

Товарищ Сталин: Я получил книги Важа-Пшавела, прочитал и на днях пришлю вам обратно. Должен вас разочаровать. Вы говорили, что Важа-Пшавела – гений. Он действительно большой талант, но мировоззрение его очень отсталое. Ни одной большой проблемы он не ставит. Замкнулся в отсталых районах Пшави и Хевсуретии и ничего, кроме междоусобных войн и мелких стычек хевсурами, пшавами и кистинами не видит и не описывает. Ни экономического, ни культурного развития Грузии он не замечает. Эти вопросы не пользуются его вниманием.

Язык у Важа-Пшавела провинциальный, старый, непонятный. Характерно, что каждый том его сочинений снабжен толстым словарем. Иначе читатель не поймет его произведений. Акакий Церетели был прав, упрекая его в отсталости языка:

„ენას გიწუნებ, ფშაველო,  
მგოსანო მაღალ მთისაო,  
თუმც კი გვითესავ მარგალიტს,  
მკითხველიც იმას მკისაო!“

Акакий Церетели и Илья Чавчавадзе единый литературный язык, а Важа-Пшавела признает за каждым провинциальным наречием право литературного языка. Для него все равно на каком языке пишутся поэтические произведения. В этом – безнадежная отсталость Важа-Пшавела.

Меня удивляет вступительная статья Геронтия Кикодзе. Марксист он или не марксист? Он не дает правильной оценки идеологии.

*(კ. ჩარკვიანი, განცდილი და ნაზრევი,  
თბ., 1994, 511)*

ეს თავის მართლებასაც ჰგავს: მე კი ვაფასებდი ვაჟა-ფშაველას, მაგრამ სტალინმა თქვა ასე და მე რა მექნაო... და ამ საუბრის გაგრძელება იყო ის, რომ კ. ჩარკვიანმა უმაღლეს პარტიულ შეკრებაზე „დაამუშავა“ ვაჟა-ფშაველა... ამის შემდგომ ჩნდება ტერმინი „ენობრივი პარტიკულარიზმი“, „კუთხური კარჩაკეტილობის“ მქადაგებელი და ა. შ. „განაჩენი გამოტანილია“, „დანაშაული მხილებულია“... ვაჟას წინააღმდეგ აკაკი წერეთელი გამოიყენეს... და ფაქტობრივ აიკრძალა ვაჟა-ფშაველა...

საბედნიეროდ, ის რეჟიმი მალე დასრულდა და 60-იანი წლებიდან ვაჟა-ფშაველა კვლავაც ვაჟა-ფშაველაა...

\* \* \*

კი, „გადარჩა“ ვაჟა-ფშაველა, მაგრამ აკაკის კრიტიკას ვერ ივიწყებენ... ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ აკაკი წერეთლის კონკრეტულ კრიტიკას უპირისპირებენ ზოგად მსჯელობას და ზოგჯერ ჩვეულებრივ მოკვდავთათვის არცთუ გასაგებ „არგუმენტებს“... თუნდაც ასეთი: „ზოგიერთი რამ შეიძლება გრამატიკულად უმართებულო იყოს, მაგრამ ვაჟას ამაყნი და მტკიცე ადამიანები ასეთი ენით უნდა ლაპარაკობდნენ“ (აკაკი პაპავა)... ანდა „ვაჟა – გმირობისა და ვაჟაკობის განუმეორებელ ჰიმნს მღეროდა. ეს ჰიმნი მტკიცე ნაჭელობისა უნდა ყოფილიყო და ეს მხოლოდ ისეთი მასალით იქნებოდა მიღწეული, რომელიც „სიმტკიცით მსგავსია კლდისა სალისა“. მთის მიერ მოძღვნილი ვაჟას ჰანგი „ქარს ჩამოჰქონდა“. ამ ქარს თავისი რიტმი ჰქონდა. ვაჟამ ეს რიტმული მომენტი მთის ენაში დაინახა და შეგნებულად არჩია გადმოეცა იგი ამ „დაწუნებული ენით“, თუნდაც ზოგისთვის გაუგებრად“ (გრიგოლ აბაშიძე)... ისევ „დაწუნებული ენა“ და გამართლებული ვაჟას პოზიცია... თუმცა ისევ ზოგადად და ზოგჯერ გამოცანის მსგავსად...

სხვა, ისევ მკვეთრი პოზიცია ვაჟას სასარგებლოდ: „უნდა ითქვას, რომ ეს საყვედური („ენას გიწუნებ, ფშაველო“) საკსებით სამართლიანი არ არის. მართალია, ვაჟა-ფშაველას პოემების ზოგიერთი გამოთქმების გასაგებად საშუალო მკითხველს ლექსიკონის დახმარება სჭირდება, მაგრამ ენა, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „სიმტკიცით მსგავსია კლდისა სალისა“ და მრავალი მის მიერ ხმარებული იშვიათი ძველებური ან პროვინციაში დარჩენილი სიტყვა ქართული ლიტერატურის სალაროში შევა სამუდამოდ“ (გერონტი ქიქოძე). ხშირ შემთხვევაში ამ პოლემიკაზე მსჯელობა მეტ კითხვის ნიშანს აჩენს, ვიდრე ნათელს ჰყენს პრობლემას: „შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ ორ დიდ პოეტს სალიტერატურო ენის თაობაზე კი არ ჰქონდათ დავა, არამედ სალიტერატურო პოზიციის გამო“ (თამაზ ჭილაძე). ანდა: „აკაკი ფშაურ კილოს კი არ იწუნებდა (როგორც ვაჟას ეგონა), არამედ არ მოსწონდა „ხარის ყვირილი“, მთიდან იქნებოდა ეს თუ ბარიდან, სულ ერთია; არ მოსწონდა ამ ცნების ფსიქოლოგიური მნიშვნელობა, მეთოდი პოეტისა – ლეთიური ძალისხმევით აღძრული ლტოლვა – კაცისა და ბუნების ერთარსებად ქცევისა და სრულებითაც მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო პოეტისაგან, რომელმაც „გარემოების საყვირი“ უწოდა თავს“ (თამაზ ჭილაძე)...

ისევ უფრო მეტი კითხვის ნიშანი...

ისევ ამ თემაზე და ისევ ზოტბა ვაჟასი, მაგრამ ზოგადი... კონკრეტული პასუხი არსებით კითხვაზე (რაც პოლემიკას უკავშირდება) მაინც არ ჩანს:

„ვაჟამ შექმნა თავისი პოეტური ენა, რომელიც ლექსიკონთა და ინტონაციით გამოირჩეოდა. ამ ენის არაგვისებურ ლაღდინებაში პოეტის „უზარმაზარი სიტყვები“ თავისუფლად გრძნობენ თავს და განუმეორებელ მომზიბვლელობას ასხივებენ“ (თამაზ ჭილაძე)...

ვაჟა-ფშაველასა და ფშაური კილოს ურთიერთმიმართების თაობაზე გამოიკვეთა ორი პოზიცია: **ფშაურმა დიალექტმა შესძინა ვაჟას პოეზიას სიღიადე** და, მეორე, **ვაჟას ნიჭის სიღიადე ამამდლა ფშაური კილო...**

პირველი: „ამ ბოლო დროს ძალზედ, ენერგიულად განაზავენ **ფშაური დიალექტის დიდ პოეტურ ღირებულებას**. ამგვარი მსჯელობის მიხედვით, ვაჟას მხატვრული სამყაროს **პოეტური ბრწყინვალეების სათავე** ბოლოს და ბოლოს **ფშაურ დიალექტში ძევს**, ანუ მოცემულ შემთხვევაში ფშაური ლექსიკითაა ფონდირებული ვაჟას პოეტური უკვდავება!“ – **გრიგოლ კიკნაძე...**

სხვაგან: „ვაჟა-ფშაველას მხატვრულად უძლიერესი პოემები „ეთნოსისა“ და „დიალექტიზმების“ ბეჭდით არიან დაბეჭდილნი და სწორედ, ამიტომ ასხივებენ განუმეორებელ პოეტურ ძალმოსილებას“ – ისევ **გრიგოლ კიკნაძე...**

**გრიგოლ აბაშიძე** საპირისპირო თვალსაზრისს გამოთქვამს: დიალექტი კი არ განსაზღვრავს პოეტის თხზულებათა სიღიადეს, არამედ **ვაჟას ნიჭის სიღიადე სძენს ელვარებას დიალექტს...**

ეს თვალსაზრისი უფრო მკვეთრად გამოთქვა და განავრცო **რევაზ ჯაფარიძემ**: „**ვაჟა-ფშაველას** დიდმა პოეტურმა გენიამ **ფშაურ კილოს განსაკუთრებული ადგილი მოუპოვა** ქართულ ლიტერატურაში. ამასთანავე ძნელია უარყოთ მოსაზრება, რომ უკეთუ მათ (სხვა დიალექტებს – გ. გ.) ვაჟასავით თანამიმდევარი და დიდი პოეტური ნიჭით დაჯილდოებული გამომხატველები ეყოლებოდათ, მშობლიურ ლიტერატურაში მსგავსი ადგილების მოპოვება შეეძლო სხვა, ვთქვათ, თუშურ, მოხეურ, გურულ, იმერულ, კახურ, მეგრულ, სვანურ, აჭარულ და სხვა კილოებსაც“... (თუ რამდენად შეესაბამება რეალობას ეს აზრი, ამის პასუხის გაცემას ამ ნარკვევის ბოლო პარაგრაფში შევეცდებით...)...

ორიგინალურია **სიმონ ჩიქოვანის** პოზიცია ვაჟა-ფშაველას ენის მიმართ: „სამწერლო ენა მისთვის ორგანულია და უფრო მისი პოეზიის მხატვრული თვისებაა, დიდი ემოციური ზეგავლენისათვის მომარჯვებული პოეტური თარაზოა. მეცნიერულ დასაბუთებას ვაჟას პოეტური ენა სრულიად არ საჭიროებდა, რადგან ასეთი ენა უფრო მისი პოეტიკის თვისებაა და მხატვრული აუცილებლობით არის განპირობებული“... და ამ საინტერესო აზრს თითქოსდა აკონკრეტებს **ს. ჩიქოვანი**: „ვაჟას სამწერლო მეტყველებას შემოჰყვა **ხალხური, კეთილშობილური ხორკლი**“... ან: „თითოეული წინადადება **ხორკლიანია** და თვითოეული სიტყვა ისე ხორციანია, თითქოს მათი ხელში ალება შეიძლება“...

**ხორკლიანი ენა, ხორკლიანი სიტყვა** – ეს დადებითი ეპითეტია: **კეთილშობილური ხორკლი!**

**ხორკლიანი** ენის შესახებ საუბრობს გრიგოლ კიკნაძეც, თუმცა ის, როგორც მეცნიერი, ამ აზრის დასაბუთებასაც ცდილობს: „ვაჟა-ფშაველას ხელოვნების **ვაჟაკურ თვისებათა** ფონზე ჩანს მისი **პოეტური ენის ერთი ნიშანი**, რომელსაც პირობითად შეიძლება „**ხორკლიანობა**“ ვუწოდოთ.

ე. ი. მკვლევრის აზრით, **ხორკლიანობა არის ვაჟას პოეტური ენის ნიშანი (ვაჟაკურ თვისებათა ფონზე)!...** და განაგრძობს განმარტებას: „ვაჟას პოეზიის ენა სრულიად არ არის რაფინირებული. ის **დაუხვეწავი პოეტური ენის** შთაბეჭდილებას ახდენდა და ახდენს, ამიტომ ერთ დროს **ზოგიერთი კრიტიკოსი ამას არაესთეტიკურ მოვლენად მიიჩნევდა** და ვაჟას **ნაკლად თვლიდა...** გავიდა ხანი და, რაც **ზოგიერთის** ესთეტიკურ გრძნობას ბლალავდა, ახლა ვაჟას პოეზიის თავისებურებად და ძლიერებად ჩაითვალა. ვაჟას ამგვარი გამოთქმები მისი უშუალოდ გამოვლენად იქნა მიჩნეული, უშუალოდისა, რომელიც დიდი ნიჭის და ხელოვნების პირველი ნიშანია“ (**გრიგოლ კიკნაძე**)...

„**ხორკლიანი ენა**“...

„არარაფინირებული“...

„დაუხვეწავი პოეტური ენა“...

„ველური, გაურანდავი ტალანტი“...

და ყოველივე ეს – არაა ნაკლი... დადებითი მახასიათებლებია ვაჟას ენისა...

\* \* \*

მაინც დარჩა გვერდიგვერდ ეს ორი აზრი: დიალექტური სიტყვა-ფორმების შემოტანით „ფშავ-ხევსურული კილოდან ვაჟა-ფშაველამ ამ მხრივ დიდი სამსახური გაუწია ქართულ ენას, მიუხედავად იმისა, რომ აკაკი წერეთელი „ენას უწუნებდა“ მას, – კონსტანტინე გამსახურდია...

თუმცა – „აკაკი წერეთელი მოწყალე თვალთ ვერ შეხედავდა თუნდა მცირეოდენ გადახვევას გენერალური ხაზიდან, ვერ მოითმენდა ე. წ. ენობრივ პარტიკულარიზმს“ – რევაზ ჯაფარიძე...

\* \* \*

როგორც ჩანს, ამ პოლემიკის ერთმნიშვნელოვანი შეფასება ვერ მოხერხდა (და ვერც მოხერხდება, ალბათ...)... არადა, ერთი მხრივ, აკაკი წერეთლის, მეორე მხრივ – ვაჟა ფშაველასა და, მესამე მხრივ, ქართული ენის მნიშვნელობა ქართული ლიტერატურისა და სალიტერატურო ენის ისტორიისათვის თითქოსდა „ავალდებულებს“ ამ თემასთან დაკავშირებით საკუთარი აზრის გამოთქმას „დიდსა“ თუ „პატარას“...

ერთი კონკრეტული ფაქტიც: 1980 წელს ჟურნალმა „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“ საფიზნო მოაწყო თემაზე: „ვაჟას პოეტური ქვეყნის მოსახილველად“. პრაქტიკოს პედაგოგებს კითხვა დაუსვეს: „როგორ აცნობიერებინებთ მოწაფეებს ვაჟა-ფშაველას ენობრივ პოზიციას?“ ზოგადად არსებული არცთუ ნათელი პოზიცია პედაგოგთა პასუხშიაც აისახა (პედაგოგთა გვარებს ამ შემთხვევაში, ვფიქრობთ,

მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს ჩვენთვის). რამდენიმე ტიპურ პასუხს მოვიყვანთ:

„მოწაფეებს ვუხსნი, რომ იმ სტრიქონმა („ენას გიწუნებ ფშაველო“...) დაბადა ახალი საოცრება ვაჟას ლირიკისა „და-გვიანებული პასუხი აკაკის“ – ესაა ერთერთი პასუხი სულ...

**ანდა:** „აკაკიმ არასწორად შეაფასა ვაჟას ენობრივი პო-ზიცია, რადგან ქართული კრიტიკა ჯერ კიდევ არ იდგა სათანადო სიმაღლეზე, რაც განაპირობებდა ვაჟას ენობრივ თავისებურებათა არასწორ აღქმას“...

**ანდა:** „ბავშვებს ვუხსნი, რომ საფუძველი ვაჟას ასეთივე პოზიციისა არის მგზნებარე პატრიოტიზმი, უსაზღვრო სიყვარული ყოველივე ქართულისა“...

**ანდა:** „ვაჟას თანამედროვე კრიტიკოსები და თვითონ აკაკი წერეთელიც კი, ჩემი აზრით, ცდებოდნენ, როცა ვაჟას ჩვეულებრივი საზომით უდგებოდნენ და გენიოსისათვის გამო-ნაკლისს არ უშვებდნენ“...

**ანდა:** „აკაკის კრიტიკა რომ ვაჟას დასამცირებლად კი არ არის მიმართული, არამედ სალიტერატურო ქართულის გა-სამტკიცებლად და გასავრცელებლად, ამას ბავშვები იმთავითვე გრძნობდნენ“...

ცხადია, ეს „პასუხები“ არის **პასუხებისათვის...** თუმცა პედაგოგები რომ „დაბნეულები“ არიან და ლოგიკა იკარგება მათ პასუხებში, ეს არაა მთლად მათი ბრალი; ეს თემა, რო-გორც ვნახეთ, არ აძლევს პედაგოგებს ნათელი მსჯელობის შესაძლებლობას...

და ალბათ ასეც გაგრძელდება კარგა ხანს...

რატომ? – მოდით, **თამაზ ჩხენკელს** მოვუხმინოთ:

– „ყველას გვახსოვს სკოლის მერხიდან ვაჟას ლექსი „არწივი“:

ვაჰ, დედას თქვენსას ყოვებო,

ცუდ ღროს ჩაგიგდავთ ხელადა,

თორღ ვნახავდი თქვენს ბუმბულს  
გაშლილს, გაფანტულს ველადა.

რატომ „ყოველ“ და არა „ყვაველ“, რატომ „ჩაგიგ-  
ღავთ“ და არა „ჩაგიგღივართ“, რატომ „თორღ“ და არა „თო-  
რემ“?...

კითხვები ლოგიკურია, მაგრამ პასუხების გაცემას „არ  
ექვემდებარება“...

ღიახ, ჩვენი რწმენით, სანამ ეს კითხვები უპასუხოდ  
რჩება, მასწავლებლებსაც „ეპატიებათ“ ასეთი პასუხები...

ისევ თამაზ ჩხენკელის მიერ დასმული „უპასუხო“ კი-  
თხვები: – „რისთვის დასჭირდა ვაჟას თავისი პოემების წერი-  
სას ასე ღრმად შეჭრილიყო დიალექტურ შრეებში!

– რისთვის დასჭირდა დიალექტური მიმონხრებისა და  
ნიუანსების წინა პლანზე წამოწევა?

– რისთვის დასჭირდა უამრავი სიტყვისა და გამოთქმის შე-  
მოტანა, რომელსაც მანამდე არ იცნობდა ქართული პოეზია?“...

კითხვები სხვაც შეიძლებოდა დასმულიყო... არსებობს  
ვითომ შესაძლებლობა ამ კითხვებზე პასუხის გაცემისა?...

სწორედ ამგვარ საკითხებზე ფიქრმა მიიყვანა **თამაზ  
ჩხენკელი** ასეთ დასკვნამდე: **„ვაჟას შემოქმედება ჯერ არ არის  
საკადრისად შესწავლილი და შეფასებული... ვაჟა მომავლის  
პოეტი!“**...

უფრო ადრე კონსტანტინე გამსახურდიამ თქვა, თუმცა  
ესეც სადღეისო აზრია: **„ვაჟა, როგორც ენობრივი მოვლენა,  
დღესაც შეუსწავლელია“**...

– თუ რამეს შემატებს ამ სფეროს, ჩვენ გავავარძელებთ  
საუბარს ვაჟას ენობრივ სამყაროზე...

## 8. შენიშვნები დიალექტიზმების თაობაზე ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში

ელემენტარული ჭეშმარიტებაა: როცა დიალექტიზმების თაობაზე ვსაუბრობთ კლასიკოსი მწერლის შემოქმედებაში, რამდენიმე მომენტს უნდა მივაპყროთ ყურადღება, უნდა გავუწვიოთ ანგარიში:

უპირველესად უნდა გავიაზროთ, როგორია იმდროინდელი სალიტერატურო ენა, მისი ნორმატული ვითარება. ენობრივი ანალიზის დროს არ უნდა მოხდეს შეფასება შემფასებლის თანამედროვე სალიტერატურო ენის ვითარების მიხედვით. მაგალითად, XIX საუკუნის ლიტერატურული ნაშრომის ენობრივი ანალიზი დღევანდელი სალიტერატურო ენის პოზიციებიდან... ეს თითქოს საყოველთაო ჭეშმარიტებაა და არც უნდა იყოს საჭირო ამაზე ყურადღების გამახვილება, მაგრამ, სამწუხაროდ, არაერთი შემთხვევაა ამისი ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში... კონკრეტული მაგალითების დასახელებაც შეიძლება; ვთქვათ: **ჰ-/ს-** პრეფიქსთა ფუნქციების „დალაგება“ და, შესაბამისად მათი ხმარების „წესების“ დადგენა XX საუკუნეში ხდება (ზოგჯერ ეს „დადგენა“ გამოგონება უფროა...)... არის შემთხვევები, როცა XIX საუკუნის მწერალთა შემოქმედების ანალიზის დროს ამ წესების მიხედვით მსჯელობენ... მაგალითების დასახელება ამჯერად არა ღირს...

დიალექტიზმებზე საუბრისას ანგარიში უნდა გაეწიოს იმას, რა არის თავად მწერლისათვის ნორმა და რა სასაუბრო მეტყველების ფაქტი. მაგალითად, ილია ჭავჭავაძისთვის ნორმა **-დამ** დაბოლოება (ცხოვრებიდამ), აკაკისათვის – ყოლიფერი...

(ყველაფერი), იამა (ეამა)... ცხადია, ამ ფაქტების დიალექტიზმებად შეფასება მწერლის ენის ანალიზისას არ შეიძლება...

XIX ს-ში, როცა ქართული სალიტერატურო ენის ნორმები არ იყო დადგენილი, ფორმათა დიდი სიჭრელეა... ცალკეულ შემთხვევებში სერიოზული პრობლემები ჩნდება XX საუკუნეშიც; მიუხედავად იმისა, რომ სალიტერატურო ენის ნორმები დადგენილია... შემოქმედი „მწერლის ენობრივი თავისუფლების“ ფარგლებში ზოგჯერ „შეგნებულად არ ემორჩილება“ ნორმებს... ამგვარ მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ისევ **ჰ-/ს-** პრეფიქსთა გამოყენება მ. ჯავახიშვილისა თუ კ. გამსახურდიას შემოქმედებაში (და სხვასთანაც...)... ამგვარ შემთხვევებსაც არ მივიჩნევთ „ნორმის დარღვევის“ თუ დიალექტურ ფორმათა გამოყენების მაგალითებად...

არის შემთხვევები, როცა მწერალი პარალელურ ფორმათა შორის სხვაობას უყურებს არა როგორც „სწორ“ და „არასწორ“ (ან: ლიტერატურულ და დიალექტურ) ფორმათა დაპირისპირებას, არამედ როგორც თანაბარღირებულ ვარიანტებს, სტილისტურად განსხვავებულს (მაგ.: დავით კლდიაშვილთან **გენაცვალე / დაგენაცვლე**, ვაჟასთან – **ძვლები / ძვალები...**)... ცხადია, ასეთ შემთხვევათა განხილვაც დიალექტიზმებად მწერლის ენის ანალიზისას არ იქნება გამართლებული...

ამიტომ, როცა კონკრეტულ მწერალზე ვსაუბრობთ, სწორედ ეს უნდა გაირკვეს; გაირჩეს, **რა მიაჩნია მწერალს დიალექტიზმად** და რა ფუნქციით გამოიყენებს მას. ამ თვალთახედვით შევეცდებით დავინახოთ ვაჟა-ფშაველას შემოქმედება...

### ა) ზოგადი საკითხები

ამ პოზიციიდან შევეცდებით ერთგვარი დაკვირვების შედეგები წარმოვადგინოთ ვაჟა-ფშაველას ენის შესახებ. ჩვენს ნარკვევს არა აქვს პრეტენზია სისრულისა, უდავო ჭეშმარიტებისა, მაგრამ, ვფიქრობთ, გარკვეულ წარმოდგენას შეგვიქ-

მნის ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში დიალექტიზმების გამოყენების თაობაზე.

სანამ უშუალოდ შევეხებით თემას, რამდენიმე შენიშვნას გავაკეთებთ ვაჟას ენის თაობაზე ზოგადად (ზემოწარმოდგენილი მსჯელობის საფუძველზე); ეს, ცხადია, ეხება პროზასაც, პოეზიასაც, დრამატურგიასაც და პუბლიცისტიკასაც.

\* \* \*

**ვაჟას ნაწერებში არის ფორმები, რომლებიც დღეს აღიქმება არალიტერატურულად** (დიალექტურად, სასაუბრო მეტყველების ფაქტად), თუმცა **ვაჟა-ფშაველასათვის** და, საერთოდ, იმდროინდელი ქართულისათვის, **არ იყო ასე.**

მაგალითად: **ვა > ო** პროცესი  $S_3$  პირის ფორმებში: მიართო, წაესო:

„ქალმა სალამი მიართო“...

„ფერსა და უმარილს ისომს“...

„პირს სინანული წაესო“... და მისთანანი. მსგავსი ფორმები მრავლად გვხვდება XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის მწერლობაში. გავიხსენოთ ილია ჭავჭავაძის პროზა („გამოართო მღვდელს მატრიკული მოწმობა“)... თუმცა ეს არაა ერთადერთი ვარიანტი ამ ტიპის ფორმათათვის — არაიშვიათად **ვა** ვარიანტიც იხმარება (გამოართვა...). ფაქტია **ვა/ო** პარალელური ვარიანტია ვაჟასთვის ამ ტიპის ზმნებში და შერჩევა სუბიექტურია (ზოგჯერ ალბათ სტილისტიკისა თუ პოეტიკის თვალსაზრისით) თუმცა უპირატესობა **ო**-ს მხარესაა...

ასევე შეიძლება ითქვას  $S_3$  პირის მრავლობითი რიცხვის **-ენ/-ნენ** დაბოლოებაზეც; ვაჟა-ფშაველასთან ჩვეულებრივ **-ენ** დაბოლოება გვხვდება:

„აღელვდენ ქისტის შვილები“...

„ამას იძახდენ ქისტები“...

„ამ ხმასვე იმეორებდენ“...

წყვეტილში უმეტეს შემთხვევაში ეს ვარიანტი გამოიყენება, თუმცა არაა იშვიათი **ნენ** ვარიანტიც:

„მოვიდნენ, კოშკები დაჩნდა“...

„დადგნენ, სულ დადგნენ მზის სხივნი“...

„შამოეფინნენ მთაზედა“...

საერთოდ ფშაურისათვის **-ენ** ვარიანტია „ნორმა“; **ნენ** შეიძლება წიგნის ენის გავლენა იყოს... არ გამოვრიცხავთ სარელაქციო ჩარევასაც...

მართალია, ამ ვარიანტთა გაჩენის საფუძველი დიალექტურია, მაგრამ ვაჟას ენაში, ისევე როგორც იმ ეპოქის მწერლობაში, ამას ვერ განვიხილავთ გამიზნულად გამოყენებულ დიალექტიზმად – მწერალი პარალელურად არსებულ ვარიანტთაგან ახდენს სუბიექტურად შერჩევას კონკრეტული შემთხვევისათვის...

აწმყოს S<sub>3</sub> პირის მრავლობითის ფორმებში **-ავ** ელემენტი გვხვდება როგორც რედუცირებული (ძვ. ვარიანტი), ისე არარედუცირებული ფორმით:

„ჩემს სტუმარსა **ჰკვლენ**, ეტყობა“...

„მაგრამ ვერ **ჰბედვენ**“...

„**დაპლოცვენ** დედის ძუძუსა“... და, მეორე მხრივ –

„იქნება **ჰკლავენ** ჯოყოლას“...

„ჩემს ოჯახს როგორ **ქელავენ**“...

ვაჟასათვის ეს ფორმებიც დასაშვებ პარალელურ ვარიანტებად განიხილება და არჩევანს კონკრეტული ენობრივი სიტუაცია განაპირობებს; რედუცირებული ვარიანტი ძირითადად პოეზიისთვისაა დამახასიათებელი...

რედუცირებულ და არარედუცირებულ ფუძეთა მონაცვლეობა ჩვეულებრივი მოვლენაა ვაჟასთან სხვა შემთხვევაშიც (ძვლები/ძვალეები: „**ძვლები** არ გამთბარა“... / „გმირთ ოფლის მღვრელი **ძვალეები**“... გენაცვლები / გენაცვალეები; „გენაცვლოს პაპა“... / „გენაცვალოს დედა“...). ცხადია, ამასაც არ განვიხი-

ლავთ დიალექტურ და ლიტერატურულ ფაქტთა მიზანმიმართულ მონაცვლეობად...

პოეზიაში უწყვეტლის ფორმებში ამ ტიპის ვარიანტთა მონაცვლეობაც დასაშვებია ვაჟასთვის: „პრის**ხავედეს** ჩვენი ბატონი“... და „ჭყარ**ვიდეს** უფლის ვალთაო“...

პარალელურ ვარიანტთაგან აღსანიშნავია აგრეთვე: **რომ** / **რო**:

- „**რომ** გაწყდენ ქვეყნის წევნაში“...
- „**რომ** მით მოვიკლა უინია“...
- „რაც **რომ** შამემთხვა ერთხელა“... და, მეორე მხრივ –
- „**რო** გნახე, გავიხარეო“...
- „**რო** სულ კერაჩი ვიჯდია“...
- „შენ **რო** სხვა მაჰკლა“...

**სულ** / **სუ**:

- „**სულ** ანგელოზის ფერია“...
- „**სუ** დაძრა ჩრდილი, გორ-გური“...
- „**სუ** წარა-მარა დადისა“...

ვფიქრობთ, დიალექტიზმებად არ უნდა ჩაითვალოს ისეთი ფორმობრივი ვარიანტები თანდებულებისა, როგორცაა **ზედ** და **ზე**:

- „**ხმალზედ** მიჭირავს თვალთა“...
- „მზემ აიწია **ცაზედა**“...
- შენზედ** ალალი არისო“... და, მეორე მხრივ, –
- „**შემოდგომაზე** მოვიდა“...
- „**წელზე** ორპირის ხმალითა“...
- „**ულვაშზე** ხელი გადისვა“...

ასევე დიალექტიზმად არ უნდა მივიჩნიოთ **დამ** თანდებულები:

- „**სოფლიდამ** სოფელს გასძახეს“...
- „**მთიდამ** ამცნებენ სოფლებსა“...

„**ციდამ** ჩამოწვა ღრუბელი“... ვაჟასთან ეს ერთადერთი ძირითადი ფორმაა ამ თანდებულისა (როგორც ი. ჭავჭავაძესთან)... ერთი საინტერესო ფაქტი: „სტუმარ-მასპინძლის“ ხელნაწერში „ცხვირიდან“ ნაბეჭდში შეცვლილი აქვს ფორმით „ცხვირიდამ“...

-**ავ/-ამ** თემისნიშნისა ზმნათა I თურმეობითის პარალელურ ფორმათაგან **ავ/ამ** – **ია** დაბოლოებიან ვარიანტებს არ განვიხილავთ დიალექტურად: ეს ფაქტია იმ დროიდან მოყოლებული:

„მთებს **ჩაუცვიათ** შავები...“

ტყისთვისაც ძაბა **ჩაუცვამთ**...“

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში საინტერესოა **-ჰ** და **-ს** ზმნური პრეფიქსების ხმარების საკითხი, თუმცა ვერც ამას დაუკავშირებთ დიალექტიზმებს. ვაჟას შემოქმედებაში ფაქტობრივ არ გვხვდება ამ პრეფიქსთა ისეთი დიალექტური ვარიანტები, როგორცაა **-ზ**, **-შ**, **-ხ**... არის რამდენიმე შემთხვევა დრამატულ ნაწარმოებებში, კერძოდ „სცენებში“ (VII): „**რა ღნახე**“... „**დახკარით, დახკარით** ღურღურათა“... „**ცელეღ და ვლესათ**“... „**ქვას ღგევხარ**“... ესაა სცენები „ხევსურთა ცხოვრებიდან“... სხვა შემთხვევაში ვერ დავადასტურებთ... საერთოდ ამ პრეფიქსთა მიმართ ვაჟას თავისი დამოკიდებულება აქვს. გაზეთ „კვალის“ რედაქციას წერილობით მიმართავს: „ამასთან გთხოვთ უმორჩილესად, ბგერა „ჰ“ დაიცავით ჩემს ნაწერებში ისე, როგორც მე ვხმარობ“ (X, 194). რა თქმა უნდა, ძალიან საინტერესოა და მნიშვნელოვანი ვაჟა-ფშაველას ნაწერებში **ჰ-/ს-** პრეფიქსთა ფუნქციური დატვირთვა; ამ მხრივ სხვაობას ვერა ვხედავთ პროზაულ და პოეტურ ტექსტებში. სხვათაშორის, ეს პრობლემა იმდროინდელი (და უფრო გვიანდელი) სამწერლობო ენისათვის ფაქტია, იმ დროისათვის არ არსებობს ნორმები ამის თაობაზე. XIX საუკუნის 80-იან წლებში გაზეთ „ივერიაში“ საგანგებო შეკრებაც კი დაანონსდა ამ საკითხის

მოსაგვარებლად... ანგარიშგასაწევია ისიც, რომ ვაჟა-ფშაველას ათლომეულის შენიშვნებში არაერთი შემთხვევაა დადასტურებული, როცა ამ პრეფიქსთა გამოყენებაში სხვაობაა ავტოგრაფებსა და ნაბეჭდ ტექსტებში. დამოკიდებულება არაერთგვაროვანია: ზოგჯერ ავტოგრაფში პრეფიქსია, ნაბეჭდში – არა და პირიქით; სწორება ავტორისეული ჩანს... ამ შემთხვევისათვის ჩვენ მხოლოდ ფაქტზე მივანიშნებთ და ვიტყვით, რომ დიალექტიზმების განხილვისას ამ ფაქტს ყურადღებას არ მივაქცევთ... – მაინც შევნიშნავთ:

როგორც ჩანს, ვაჟა-ფშაველას აქვს „თავისი წესები“ ამ პრეფიქსთა გამოყენებისა, თუმცა ეს წესები შესაცნობია... გასარკვევია, რამდენად შეესაბამება ვაჟასეული „წესები“ ფშაური „დიალექტის წესებს“... როგორც შევნიშნეთ, ფონეტიკურ ვარიანტთა სიმრავლე გვაქვს დიალექტში (ჰ, ს, შ, ზ, ხ და მათი იოტიზირებული ვარიანტები); მასალობრივად ვაჟასთან მხოლოდ ჰ- და ს- დასტურდება (ესენი მიაჩნია ვაჟას ამ პრეფიქსთა სწორ, ძირითად ვარიანტად), თუმცა მათ შორის ფუნქციური სხვაობა, ერთი შეხედვით, არა ჩანს; საინტერესოა ისიც, რომ ბაჩანას პოეზიაში (ბოლო რედაქციებში) მხოლოდ ჰ- პრეფიქსი გამოიყენება (ს-ს ნაცვლადაც!): ჰ-თქვა, ჰ-თხოვა, მი-ჰ-ცა (პირველ ნაბეჭდებში ს არის: ს-თქვა, ს-თხოვა, მი-ს-ცა...)... ვაჟა-ფშაველასთან ამ პრეფიქსთა გამოყენების წესები, ცხადია, არ ემთხვევა ლინგვისტთა მიერ დადგენილ მართლწერის წესებს... თემა ღრმა კვლევას საჭიროებს (ძვ. ქართული, საშ. ქართული, ახალი ქართული, დიალექტები...). მით უმეტეს, როგორც ითქვა, ამ პრეფიქსთა სიმრავლით ფშაური დიალექტი გამორჩეულია.

ვიმეორებთ: ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში აღნიშნულ ენობრივ ფაქტებს იმდროინდელი სამწერლობო ქართულის (კერძოდ ვაჟა-ფშაველას ქართულის) თვალსაზრისით არ განვიხილავთ დიალექტიზმებად...

\* \* \*

როცა ვსაუბრობთ დიალექტიზმებზე ვაჟა-ფშაველასთან (ე. ი. **რაც უნდა ჩაითვალოს დიალექტიზმად მწერლის ენაზე საუბრისას**), უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას მივაქცევთ **შე- და მო-** ზმნისწინთა ა ზმოვნიან ვარიანტებს: **შა-**, **მა-**.

**შა-** და **მა-** ვარიანტები ზმნისწინთა დამახასიათებელია როგორც ხევსურული, ისე ფშაური დიალექტებისათვის. მართალია, დიალექტოლოგები მიანიშნებენ, რომ სიხშირული თვალსაზრისით ჭარბობს მისი გამოყენება ხევსურულ დიალექტში (პირიქითა ხევსურულში მხოლოდ ა ზმოვნიანი ვარიანტები გამოიყენებაო), მაგრამ ჩვეულებრივ დამახასიათებელია ფშაურისათვისაც და ამიტომაც მსგავს შემთხვევებს შეიძლება ვუწოდოთ ფშავ-ხევსურული დიალექტიზმები.

საინტერესოა ისიც, რომ, როგორც ამბობენ, დიალექტური ელფერის მისანიჭებლად ფრაზისათვის ვაჟა-ფშაველასთან ყველაზე ხშირად სწორედ ზმნისწინთა **შა-** და **მა-** ვარიანტები გამოიყენება როგორც პროზაში, ისე პოეზიაში:

**შამოხსნა, შაიწყალოს, შარცხვა, შამოსაკრავი, შაებრალეა, შახვეული** და უამრავი სხვა...

**მაიხსენოს, მამცეს, მამაგონდა, მამეშველე, მამირჩება, ჩემთავმამკვდარო** და მრავალი სხვა...

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს **შა-** ვარიანტი შე-ზმნისწინისა ე ზმოვნის წინა პოზიციაში. პროზაში იგი ვაჟასთვის თანაბრად დასაშვებია როგორც პერსონაჟთან, ისე ავტორისეულ რემარკებში:

**შაებრალეა, შაეხვეწა, შაექცნენ, შაემთხვა, შაეძლო, შაეშინდება, შაეწება...**

საყურადღებოა ის, რომ ავტორისეულ მეტყველებაში **შა-** ვარიანტი გვხვდება ჩვეულებრივ ე ზმოვნის წინა პოზიციაში (**შა-ე...**).

ეს არ არის ერთადერთი ვარიანტი: პარალელურად შე-  
ვარიანტიც გამოიყენება: **შეეშინდა, შეეძლო, შეექცა, შეეგნო,  
შეეკითხა** და მისთანანი...

მაგალითები მრავლადაა:

**შა-** ვარიანტი ცხადია, დიალექტურია, თუმცა რჩება  
შთაბეჭდილება, რომ ვაჟასთვის **შაე** შემთხვევა კარგავს დია-  
ლექტურობის გაგებას. როგორც ითქვა, იგი გვხვდება პროზა-  
ში, ავტორისეულ მეტყველებაში, რომელიც ფაქტობრივ და-  
ცლილია დიალექტური ფორმებისაგან და გამართული სალი-  
ტერატურო ენით იწერება; ასევე **შაე-** ვარიანტიანი ფორმები  
**დასტურდება პუბლიცისტურ წერილებშიც.** მოვიყვანოთ მაგალი-  
თებს რამდენიმე წერილიდან:

„ფიქრები „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ“ (ორი წერილი):

„არ **შაეძლოთ** სრულიად დაჰმონებიყვნენ“...

„მხოლოდ შოთას **შაეძლო** ეთქვა“...

„ასე პოეტურად ვინც გინდა ვისმე **შაეძლო** ეთქვა“...

„ჩვენს მკვლევრებს **შაეძლოთ**“...

„ხევსურები თურმე **შაეხვეწნენ**“...

„ორი ერის **შაერთება**“...

„უნდა ეს ბრმა მიმბაძველობა **შაელახა** და რომ **შაელა-  
ხა**“...

„ნუთუ ყველა ამაზე **შაეძლო** ხელის აღება“...

„კრიტიკა ბ. ივ. ვართაგავასი“ –

„სინამდვილეს არ ეთანხმებოდეს, არ **შაეფერებოდეს**“...

„ამ ჟამად **შაერთდენ**“...

თუმცა იქვე არის – „რაც **შეეხება** იმას“...

**ამ წერილში** სულ სამი შემთხვევაა **შეე** კომბინაციისა,  
ორში ზმნისწინისეული ე ხმოვანი ა-დ არის შეცვლილი... (შა-  
ეფერება, შა-ერთდენ), ხოლო ერთი უცვლელადაა (შეეხება);  
50-ზე მეტ შემთხვევაში **შეე** ზმნისწინი უცვლელადაა წარმო-  
დგენილი (გვაქვს თითქმის ყველა ვარიანტი კომბინაციის **შე-**

ზმნისწინის მომდევნოდ (ა, ი, უ ხმოვნები და სხვადასხვა თანხმოვანი)...

მოკლედ, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ვაჟასთვის **შეე-** და **შაე-** ვარიანტები თანაბრად დასაშვებია... სხვა შემთხვევაში **შა** ვარიანტის გამოყენება დიალექტურ ფორმათა გამოყენების კონტექსტში ჯდება...

საინტერესო სურათს გვიჩვენებს აკადემიურ გამოცემაში (ვაჟა-ფშაველა, ათტომეული, 1964 წ.) შენიშვნებისა და ვარიანტების გაცნობა:

არის შემთხვევები, როცა ხელნაწერში არის **შე-** ვარიანტი, ხოლო ნაბეჭდში **შა-** ვარიანტი და პირიქით (ეს ეხება მხატვრულ ნაწერებსაც და პუბლიცისტიკასაც).; მაგალითად –

<b>ნაბეჭდი</b>	<b>ხელნაწერი</b>
შაეძლო	შეეძლო
შამსმეველი	შემსმეველი
შეედრება	შაედრება
შემინახავს	შამინახავს
შეგრჩებოდა	შაგრჩებოდა
შეგედრება	შაგედრება
შევატყობინე	შავატყობინე...

ერთგან გამომცემელი საგანგებოდ შენიშნავს: „**შაე**პყრო. ჯერ დაუწერია „**შეე**პყრო“, შემდეგ პირველი „ე“ გადაუკეთებია „ა“-დ (IX, 479); – ეს პუბლიცისტურ წერილშია („ფიქრები ვეფხისტყაოსნის შესახებ“)...

ამ ტიპის ფონეტიკური ვარიანტების შემთხვევაში არ არის გამორიცხული რედაქტორ-გამომცემელთა ჩარევაც; „სწორი“ (**შე-**) ვარიანტი შეიძლება სწორედ მათი „დამსახურება“ იყოს; არაა გამორიცხული, მექანიკურად სწორი ვარიანტი სტამბაშიც გაჩენილიყო; დავით კლდიაშვილის შემოქმედებაზე როცა ვფიქრობდით, ასეთი შემთხვევა არაერთი იყო (დე-

ვილუპე – დავილუპე...)... ანუ კორექტურის დონეზე დაშვებული შეცდომაც არ გამოირიცხება. მით უმეტეს, ვაჟა-ფშაველა თავის ნაწერებში გაპარულ კორექტურულ შეცდომებზე დანა-ნებით საუბრობს: „ჯეჯილის“ რედაქციას სწერდა: „ერთსა გთხოვთ, კორექტურას გაუფრთხილდით. უკანასკნელს „ჯეჯილის“ ნომერში ხუთი თუ ექვსი შეცდომაა კორექტურული“ (X, 194). სხვაგან წერს: „რამდენჯერმე დავაპირე აღმენიშნა ჩემს ნაწერებში შეპარული კორექტურული შეცდომანი და ფე-ხი უკან დავდგი; ჯერ ერთი იმ მოსაზრების გამო, რომ მე-ტისმეტი ბევრი შეცდომაა... და მეორე, იმედი მქონდა და მაქვს ახალი გამოცემისა“ (IX, 387)...

ეს თემა, ვაჟას ნაწერებში რედაქციის თანამშრომელთა ჩარევა და კორექტირება, რომ მნიშვნელოვანი თემაა მწერლისათვის, ამის თაობაზე ასეთ მოგონებას გვთავაზობს ნიკო კურდღელაშვილი: „ივერიის“ რედაქციაში ხალხმრავლობაა. რედაქციის თანამშრომელი შიო დავითაშვილი ხელნაწერებს ჩაჰკირკიტებს. ვაჟა უცებ გასხლტა დავითაშვილისაკენ და კალამს უტაცა ხელი:

– ციც, შიო!

შიომ საბოდიშო ღიმილი შემოაგება:

– ვაჟა, საწყენად კი ნუ მიიღებ და ვიფიქრე, იქნებ ასე სჯობდეს-მეთქი

– შიო, ჩემს ნაწერებს გასწორება არა სჭირდება, რაც დავწერე, ბასტა! არ მოგწონთ, ნუ დაბეჭდავთ, გასწორება კი არა-მეთქი“... ვაჟა რომ იქ არ ყოფილიყო, შიო „გაასწორებდა“...

როგორც ჩანს, ამგვარი ჩარევები ხშირი იყო ვაჟას ნაწერებში... როცა **შე-/შა-**, **მო-/მა-** და სხვა მსგავს ვარიანტებზეა საუბარი, „სწორი“ (ანუ სალიტერატურო) ვარიანტის (შე, მო) ჩანაცვლება დიალექტური ვარიანტის ნაცვლად (შა-, მა-) არაა გამორიცხული ბეჭდვის პროცესში (რედაქციასა თუ

სტამბაში)... ამიტომაც, ვისაც ამ თემაზე საგანგებოდ მოუწევს  
მუშაობა, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ავ-  
ტოგრაფებსა და ავტორის მიერ ნასწორებ ტექსტს...

\* \* \*

ყურადღებას მივაპყრობთ სხვა დიალექტურ თავისებურე-  
ბას, რომლებიც გვხვდება ვაჟა-ფშაველასთან და გამოიყენება  
როგორც მიზანმიმართული დიალექტიზმები პროზასა (პერსო-  
ნაჟთა მეტყველებაში) და პოეზიაში:

**ბრუნვის ფორმათა თავისებურებანი** (უთანდებულოდ თუ  
თანდებულოდ):

**ჯავარაი, წიწმატაი; მიხაისგან; დავითო, მარიამო;  
ცხვარშიით, მთაშიით; ცხენზეით...**

**ნართანიანი მრავლობითის ნართანი ფორმები**, თუმცა ეს  
არაა ის შემთხვევა, რომელიც შეიძლება ერთმნიშვნელოვნად  
დიალექტიზმად მივიჩნიოთ („მთანი მალაღნი“ და სხვა)... ამ  
ფორმებს ამკარად აქვთ თავისი მხატვრულ-სტილისტიკური  
დატვირთვა, მაგრამ მათ ვერ დავაყენებთ სხვა დიალექტიზმთა  
გვერდით...

**შუალობითი კონტაქტის ფორმათა ვ-** დაკარგული ვარი-  
ანტები გვხვდება პროზაშიც და პოეზიაშიც: **დააღეინე, ანგრე-  
ინებ, გააცღეინე, აშღეინებ...**

**ვნებითი გვარის აწმყოს მწკრივის III პირის არქაული**  
ფორმები, რომელთაც ამ შემთხვევაში, ცხადია, დიალექტიზმე-  
ბად განვიხილავთ: **დაჯღების, მაუღის...**

**ვალ/ვედ/დი ზმნის სხვადასხვა დიალექტური ვარიაცია:**  
**ჩამოალ, დავა, მოალის, მოიდა, ჩამუედ...**

მკვეთრი დიალექტური ელფერის მისაღებად ვაჟა გამოი-  
ყენებს I თურმეობითის ავ ელემენტთან ფორმებს: **მიწოვავ, მი-  
გემებავ...**

გაგვანხენდება აკაკი წერეთლის საყველური რაზიკაშვილების მიმართ ამ ტიპის ფორმათა გამოყენების გამო...

დიალექტურია სტატიკურ ზმნათა აწმყოს -ავ ელემენტიანი ფორმები: **გირჩვენავ, მგონავ, გაცვავ, გვიკიდავ...** პარალელიზმი აქაც საინტერესოა:

„გიგლია საკაცეში წევს,  
გულს **უწყავ** ხმალი, ფარია,  
გვერდით **უწყვია** გიშრისა  
ქალთა ნაწნავთა ჯვარია“...

**უწყავ** აშკარა დიალექტიზმია, თუმცა ვაჟასთვის ამ შემთხვევაში ეს პარალელური ვარიანტი თანაბარღირებული ფორმებია და მათ გამოყენებას სტილური (მხატვრული) დანიშნულება აქვს; არაა ეს „კოლორიტიისათვის“... საერთოდ პოეზიაში ასეთი შემთხვევები არაა იშვიათი. ამით იმის თქმა გვინდა, რომ ფუნქციური დატვირთვა დიალექტიზმებისა პოეზიასა და პროზაში არაა ერთგვარი...

იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება თავის დროზე ა. წერეთლის მიერ მკაცრად გაკრიტიკებული ფორმები (ავხენებ, გავხენებ...):

„აგერ ტირიან ტყეები  
ელიან ჩვენსა მისვლასა,  
მალი-მალ **გამაჰხენებენ**  
ყელსა ახალის მთისასა“...

ფშავ-ხევსურულისთვის ხოლმეობითის მორფოლოგიური კატეგორია ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია. ამ დიალექტებში ხოლმეობითის მწკრივები გაიაზრება არქაიზმად, თუმცა ფორმობრივი თვალსაზრისით – ინოვაციად ფასდება, ანუ: ამ მწკრივთა არსებობა – არქაიზმია, გამოხატვა – ინოვაცია. ფორმობრივი თვალსაზრისით III პირის ფორმები ძველი ქართულისებურია:

I ხოლმეობითი – აკეთებლის, აკეთებლიან,

II ხოლმეობითი – აკეთის, აკეთიან...

I-II პირის ფორმები ფშაურში დაირთავს **-ოდ** სუფიქსს:

ვაკეთებლ-ოდ-ი, ვაკეთებლ-ოდ-ით

აკეთებლ-ოდ-ი, აკეთებლ-ოდ-ით

ვაკეთ-ოდ-ი, ვაკეთ-ოდ-ით

აკეთ-ოდ-ი, აკეთ-ოდ-ით

ხოლო ხევსურულში დაირთავს **-იდ** სუფიქსს:

ვაკეთებლ-იდ-ი ვაკეთებლ-იდ-ით

აკეთებლ-იდ-ი აკეთებლ-იდ-ით

ვაკეთ-იდ-ი ვაკეთ-იდ-ით

აკეთ-იდ-ი აკეთ-იდ-ით

ამ სხვაობას ვაჟა-ფშაველა კარგად ხედავს. როცა ხევსურულ მეტყველებაზე აკეთებს აქცენტს, სწორედ **-იდ** სუფიქსიან ფორმებს გამოიყენებს:

„ვღეჭიდი, ვღეჭიდი და ვერ გავღეჭიდი“ – „ნაკვესებიდან“ (VII, 316) (ან „გოგოთურ და აფშინადან“ – „საცა შენი სთქვა ბიჭობა, იქავე ჩემის **სთქვიდია**“...).

თუმცა იქვე ასეთ ფორმებსაც წარმოადგენს: „პურ მაილიდიან“... „თავი დავანებდი“... როგორც ჩანს, ვაჟას ბოლომდე არა აქვს შეცნობილი ხევსურული ხოლმეობითის ფორმობრივი ბუნება და III პირის ფორმაშიც დაურთავს **-იდ** სუფიქსს: უნდა იყოს – „პურ მაილიან“...

მაგილიდით, მაილიდით, მაილიან... მსგავსი შემთხვევა სხვაგანაცაა. მაგალითად „ალუდა ქეთელაურში“: „გააფხავიდის ხმალიო; გაუშინჯიდის ვადანი“... უნდა იყოს: „გააფხავის, გაუშინჯის...“

რაც შეეხება „ნაკვესებიდან“ მოყვანილ მაგალითს – „თავი დავანებდი“, უნდა იყოს **დავანებ-იდ-ი**... ეს „შეცდომები“ (მაილიდიან, გააფხავიდის, გაუშინჯიდის“), ასე შეიძლება ით-

ქვას, ხევსურულ მეტყველებასა და ფშაურ მეტყველებას შორის არსებული განსხვავებების „ცოდნით“ დაშვებული „შეცლომები“... მთავარი ამ შემთხვევაში ვაჟასათვის ხევსურული კოლორიტის შენარჩუნებაა, იმ გარემოს შთაბეჭდილების შექმნაა (გავიხსენოთ ლიტერატურიდან კარგად ცნობილი ფაქტები: ილია ჭავჭავაძის ლელთ ღუნისა საუბარი, თუ მ. ჯავახიშვილის რომანის – „თეთრი საყელო“ – გმირთა მეტყველება...).

სხვათაშორის „აღუდა ქეთელაურში“ ხევსურული ხოლმეობითის ილუზიურ ფორმათა გამოყენება სემანტიკური თვალსაზრისითაც არაა მართებული; გავიხსენოთ: ქისტებმა ხევსურთა საქონელი გაიტაცეს:

„ეს რო აღუდამ გაიგო  
თოფს დაუპირა ტალიო,  
აისხა იარაღები,  
**გააფხავიდის** ხმალიო,  
**გაუშინჯიდის** ვადანი,  
ხმალს არ მაუტყდეს ტარიო“...

არ არის აქ მრავალგზის მოქმედებაზე საუბარი... ასეთი რამ ფშაურის შემთხვევაში ვერ დავადასტურებთ...

ვაჟა-ფშაველასთან არაიშვიათია ე. წ. თხოვნით-წაქეზებითი (ანუ – თხოვნით-ბრძანებითის) ფორმათა გამოყენებაც:

„მაღლისა მთისა წვერზედა,  
საფლავი **გამითხაროდი**,  
ჩემის სამშობლოს ქვიშანი  
ხშირ-ხშირად **მომაყაროდი**“...  
„ფშაველნო, **მამიგონოდი**,  
დიდს არის მოგცემთ ზიანსა“...

ვფიქრობთ, ძირითად საკითხებზე გავამახვილეთ ყურადღება. არსებითია ის, რომ, რაც ვაჟა-ფშაველას შემოქმედება-

ში დღევანდელი გადასახელიდან აღიქმება არალიტერატურულად (ზოგჯერ დიალექტურად), იმ დროისათვის და კონკრეტულად ვაჟა-ფშაველასათვის არ იყო არაწიგნური; სხვაგვარად რომ ვთქვათ, „ნორმა“ იყო ვაჟასათვის. ჩვენ იმ მოვლენებზე გავამახვილებთ ყურადღებას, რაც „ნორმა“ არ იყო პოეტისათვის, რასაც მიზნობრივად იყენებდა, როგორც არალიტერატურულს, არაწიგნურს...

და ყოველივე ეს გვჭირდება იმისათვის, რომ ვისაუბროთ ვაჟა-ფშაველასთან დიალექტიზმების მიზნობრივ გამოყენებაზე...

## **ბ) დიალექტიზმების თაობაზე პროზაში, პუბლიცისტიკასა და დრამატურგიაში**

როცა აკაკი წერეთელმა რაზიკაშვილების ენა გააკრიტიკა, საგანგებოდ მიანიშნა, რომ ეს საყვედური **პროზას არ ეხებოდა**: „...წვრილმანი ლექსები როგორც საკუთრად ვაჟასი, ისე მისი ძმის ბაჩანასი და თელოსი საზოგადოთ სამარგალიტო შაირები არიან!... **პროზა ხომ კიდევ უკეთესი**“...

და ამას იმეორებენ – ვაჟა პროზას სანიმუშო ქართულით წერდა; პოეზიას – ფშაური დიალექტზეო...

ივარაუდება, რომ პუბლიცისტური წერილებიც ლიტერატურული ქართულით იწერებოდა...

მთავარი კითხვა ესაა: **რატომ გვაქვს ასეთი პრინციპული ხასიათის სხვაობა პროზისა და პოეზიის ენას შორის? რით უნდა აიხსნას ვაჟა-ფშაველას ასეთი პრინციპული დამოკიდებულება ამ ორი ჟანრის ნაწარმოებთა ენის მიმართ?**

და კიდევ კითხვა: **პოეზიაში რატომ გვაქვს არაერთგვაროვანი დამოკიდებულება დიალექტიზმებისადმი** – სხვადასხვა კონკრეტულ შემთხვევაში განსხვავებულია ვაჟას პოზიცია დიალექტიზმებისადმი...

– ვერ ვიტყვით, რომ ამგვარი კითხვები არ დასმულაო... ჩვენ შევეცდებით ჩვენებური პასუხი გავცეთ... ზოგიც გავიმეოროთ...

\* \* \*

**ვაჟა-ფშაველას პროზაზე** საუბრისას უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ აქ დამოკიდებულება დიალექტიზმებისადმი ისეთივეა, როგორც ჩვეულებრივ XIX საუკუნის მწერლობაში... გავისხენოთ ილია ჭავჭავაძის პროზა; ერთი მხრივ, „მგზავრის წერილები“ და, მეორე მხრივ, „აკაცია – ადამიანი?!“ დიალოგებში ერთ შემთხვევაში პერსონაჟი მხოლოდ დიალექტზე საუბრობს (ლელთ ღუნია), მეორე შემთხვევაში პერსონაჟი გზადაგზა გამოურევს დიალექტურ ფორმებს (ვთქვათ, ლუარსაბი, დარეჯანი...)... ეს პრინციპი უფრო თანმიმდევრულად და მხატვრული თვალსაზრისით საინტერესოდ დავით კლდიაშვილთან იჩენს თავს (იხ.: ჩვენი „სიტუაციით საგსე ქართული“ – ფიქრები დავით კლდიაშვილზე, 2019)... ისიც გავიხსენოთ, მიხეილ ჯავახიშვილი რომ წერდა, ვაჟა-ფშაველა მშობლიურ დიალექტზე წერდა ისევე, როგორც ეგნატე ნინოშვილი და დავით კლდიაშვილიო... მ. ჯავახიშვილი ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, ვაჟას პოეზიას გულისხმობდა... ეს შედარება არ ჩანს გამართლებული – ვაჟას პოეზია და ნინოშვილისა და კლდიაშვილის პროზა ვერ შეუდარდება ერთმანეთს... ნინოშვილსა და კლდიაშვილთან ამ თვალსაზრისით ვაჟას პროზა უნდა შევადაროთ...

\* \* \*

სალიტერატურო ქართული ვაჟა-ფშაველამ ილიასა და მისი თაობისაგან ისწავლა; მართალია, ვაჟა ამის შესახებ არსად საუბრობს, მაგრამ ფაქტია, იაკობ გოგებაშვილის „დადგენილი ნორმებით“ წერს იგი პირველ პუბლიცისტურ წერილებსა თუ მოთხრობებს... ამის ნიშნულად მართლმისი ერთ-ერთი

პირველი მოთხრობა „შვლის ნუკრის ნაამბობი“ იკმარებოდა... აქ არ არის არავითარი ძალდატანება – ესაა **ვაჟას ბუნებრივი ქართული**; ამ ქართულს ასწავლის ის სკოლაში და ამ ქართულით წერს პროზასა და პუბლიცისტურ წერილებს მთელი ცხოვრების მანძილზე.

როცა ვაჟა გრიგოლ ყიფშიძის საპასუხო წერილში რაფიელ ერისთავის გავლენაზე საუბრობს, მხოლოდ პოეზია აქვს მხედველობაში: „ჩვენმა სახელოვანმა მხცოვანმა მგოსანმა რაკი სათემო კილო დაუმკვიდრა ლექსებს და ჟურნალ „ივერიამ“ გზა დაუთმო, მეც გაბედულება მომემატაო“...

ვაჟა-ფშაველას პროზის ენა და პროზაში თავჩენილი დიალექტიზმები მსჯელობის საგანი არასოდეს გამხდარა... ვაჟაც ასე ფიქრობს, რომ პროზა მხოლოდ ასე უნდა დაწერილიყო, მხოლოდ ამგვარად! და ასეა ეს, როგორც ვთქვით, პირველივე მოთხრობიდან მოყოლებული „შეყვარებულამდე“ (ერთ-ერთი ბოლო მოთხრობაა ვაჟასი...). დაბეჯითებით შეიძლება ითქვას: ვაჟას პროზა იმ კლასიკურ წესებს ექვემდებარება დიალექტიზმების გამოყენების თვალსაზრისით, რომელიც XIX საუკუნის პროზაშია დამკვიდრებული (ი. ჭავჭავაძე, ალ. ყაზბეგი, ე. ნინოშვილი, დ. კლდიაშვილი...). ცხადია, ამ მწერლებს აქვთ გარკვეული თავისებურებები, მაგრამ ზოგადი პრინციპი დიალექტიზმების გამოყენებისა მხატვრულ პროზაში საერთოა – მკვეთრად იმიჯნება ავტორისა და პერსონაჟის მეტყველება.

მოთხრობათა დიდ უმრავლესობაში მხატვრულ-სტილისტური თვალსაზრისით არ ჩანს აუცილებელი დიალექტიზმების გამოყენება, აქ ორი მოთხრობა დავასახელებთ – „შვლის ნუკრის ნაამბობი“ და „შეყვარებული“ (ერთ-ერთი პირველი და ბოლო)... ასევე შეიძლება დავასახელოთ: „ია“, „გოჩი“, „კურდღელი“, „მთის წყარო“ და მრავალი სხვა; მათ შორის არის ისეთებიც, რომლებშიც მრავლადაა დიალოგები: „ჩხიკვითა

ქორწილი“, „მელა-კუდიგრძელია“, „სათაგური“, „მელა-სერე-ფენია“ და მისთანანი...

არის მეორე რიგი მოთხრობებისა, რომელთა თემატური თავისებურება სწორედ დიალექტური ფორმების შემოტანის აუცილებლობას უკარნახებს ავტორს.

1881 წელს გაზეთ „დროებაში“ (№184) იბეჭდება ვაჟას პირველი მოთხრობა „სურათი ფშავლის ცხოვრებიდამ“.

მოთხრობა ვაჟასეული ქართულით იწყება: „სადამო იყო. ჭალაზედ გამოჩნდა მწკრივად მომდინარე ხალხი. წინდაწინ მოაგელვებდნენ ცხენებს რამდენიმე ახალგაზრდა ფშავლები წითელგულისპირიან პერანგებში და ახალუხებში. ყველას ცხენის გაგაზედ ესხდა წითელკაბა, შავფაფანაკიანი ქალები.

იმღეროდენ, იცინოდენ, ლალობდენ და აგდებდენ ერთმანეთზედ ცხენებს“... და მოთხრობა ასე გრძელდება, თუმცა დიალოგებში შემოდის დიალექტიზმები – სხვადასხვა პერსონაჟთან სხვადასხვაგვარად:

– „მგელავ! მოდი, აგრემც გენაცვლები, დაჯე, პური იამე...“

– ღმერთმა შაიწყალოს ჩემი ძმა ბურჟუკური.

– მაიხსენოს ღმერთმა.

– რალა ვქნა, ვინ მამცემს, რო გამითავდესო. ძოღან მე რო ცხვარშიით მოსეეს ხახაის სახთანისას ჩამოვიარე, შენს მტერს აისითაი, მე რო იქ ვიხილე. ჩამოალ...“

– დაუჭერავ ამ დედაკაცებს ე სომეხი... გაუტიტვლებავ, შალვარნიც დაუხდიან, ქუდიც წაურთომ, გაუტყრუშავ ჭინჭრით და გაუშვავ საცოდავი...“

თუმცა, ცხადია, ყველა პერსონაჟის საუბარი და ყველა რეპლიკა არაა ამგვარად წარმოდგენილი. ამ მხრივაც საინტერესოა ვაჟას მოთხრობების ანალიზი... ერთი შეხედვით სხვაობს ქალისა და მამაკაცის მეტყველებაც ამ თვალსაზრისით...

ასეთივე ვითარებაა მოთხრობაში „დარეჯანი (ფშავლების ცხოვრებიდამ)“. რამდენიმე მონოლოგს მოვიყვან:

– „შუალამისას დიდი ნორღვენი მოიდა... ვერ მოიხუჭენ თვალნი, ჩამუდნეს დედა... თან ისიც მამაგონდა რო...“

– წყალზე რო ჩამუედ, დავიყურე... შავებვეწე ჩემის მამის სალოცავთა...

– ბაღებისად თავი დაუნებებავ...

– სხვას რომელს უქნავ ეგ საქმე?... გავალე, შავედ...

– უნდა წავასხა შინა, მანამ ბიძა მუევალის. მა რა უყვა, შე ჩემთავამაკვდარო“... და სხვა...

ეს მოთხრობა 1888 წელს გამოქვეყნდა. 1888 წელსაა გამოქვეყნებული კიდევ ერთი მოთხრობა „შთაბეჭდილებანი (ფშავლების ცხოვრებიდამ)“. რამდენიმე ფრაგმენტი:

„– ჩამუდნი ბეჩავს პაპას, რაც ეგ მობრალული და მოყვარული იყვის, ვაჟაკობაში ყინჩი იყვის პაპა შახედულად და ისე არ გასცდის სასაფლაოს, რო არ მისულიყო და არ ეტირა...“

– წამოდი, გამეერე, შე ბეჩაო...

– მინდორზე გამაქანებს, ყოილიანს მინდორზე...

– წავედით ცისაკე, ფთეები შამესხა...“ და მისთანანი...

ეს სამი მოთხრობა საგანგებოდ შევარჩიე, აი, რატომ:

როგორც გვასხოვს, **პეტრე მირიანაშვილი** წერილში „საერო ენა და სათემო კილო“ ვაჟა-ფშაველას გვერდით **დიმიტრი მანხანელის** პროზას აყენებდა: „ფშაურის პოეზიის მოვლინებამ ხომ მთლად არია ენის ტაძარი“... და ამ მსჯელობას მოაყოლა მკაცრი დასკვნა: „ბ-მა ვაჟა-ფშაველას ფშაურმა პოეზიამ დღევანდელს ქართულთან შედარებით ჩამორჩენილი გრამატიკები ფორმები შემოიტანა“...

პ. მირიანაშვილის ეს წერილი იწერება 1888 წელს, როცა ვაჟა-ფშაველას ზემოდასახელებული სამივე მოთხრობა დაბეჭდილია... დ. მანხანელის პროზაშიც ზუსტად იმავე მიზნი-

თაა გამოყენებული დიალექტიზმები, როგორც ვაჟას მოთხრობებში და შეიძლება ითქვას, არცთუ ასეთი სიმრავლით...

გაკვიხსენოთ: პ. მირიანაშვილი „ასწავლიდა“ ვაჟას, რომ „თემის კილოს ადგილი აქვს მწერლობაში, როდესაც მწერალი ალაპარაკებს თავის გმირებს, მხოლოდ მაშინ ნება ეძლევა მწერალს გვიჩვენოს თავისი გმირები ისე, როგორნიც თვითონ ნამდვილად არიან“...

არადა, პ. მირიანაშვილს რომ ყურადღება მიექცია ვაჟას მოთხრობებისათვის, – იოლად შეამჩნევდა, რომ ეს „წესი“ ვაჟამ „იცოდა“... პროზას ვაჟა სწორედ ამ „წესითა წერს“... ასეა ეს, პირველივე მოთხრობიდან ბოლო მოთხრობამდე; მის ყველა მოთხრობაში, რომელშიც სწორედ ფშაველთა ცხოვრებაა აღწერილი და ფშაველი პერსონაჟები ჰყავს ვაჟას შემოყვანილი, ეს „წესი“ მოქმედებს, თუმცა არაერთგვაროვნად... ამ მხრივ ძალიან საინტერესოა ვაჟას ერთ-ერთი ვრცელი მოთხრობა „ფშაველი და მისი წუთისოფელი“, რომელიც 1913 წელსაა დაწერილი... დიალექტურ ფორმათა გამოყენების მიზანდასახულობა და ზომიერება კარგად ჩანს ამ მოთხრობაშიც... სამწუხაროდ, ეს მხარე ვაჟას შემოქმედებისა ამ კუთხით არაა შესწავლილი...

ჩვენი ღრმა რწმენით, დიალექტიზმების საკითხი ვაჟა-ფშაველს პროზაში ისევე მნიშვნელოვანი და საინტერესოა, როგორც (ვითარცა ვთქვით ზემოთ) დავით კლდიაშვილის, ალექსანდრე ყაზბეგის და სხვა, მის თანადროულ მწერალთა შემოქმედებაში... ბევრი რამ არის გასათვალისწინებელი: თემატიკა, დანიშნულება (საბავშვო თუ „სადილო“...), მიზანდასახულობა... ეს უბანი ვაჟას შემოქმედებისა საკმაოდ მრავლისმთქმელია... ვაჟა ამ შემთხვევაშიც უაღრესად ორიგინალური და საინტერესოა... და გვეჩვენება, რომ ძალზე თანმიმდევრულიც, კლასიკური ზომიერებით...

ვიძეორებთ, ვაჟას შემოქმედების ეს მხარე თავის მკვლე-  
ვარს ელის...

\* \* \*

ჩვენ ზემოთ პუბლიცისტური წერილები ვახსენეთ. ვაჟა-  
ფშაველა კრიტიკულ-პუბლიცისტურ წერილებს ჭეშმარიტი  
სალიტერატურო ქართულით წერს. არის რამდენიმე წერილი  
– ეთნოგრაფიული ხასიათისა: „ფშაველები (მათი სხვადასხვა  
ჩვეულება, ცრუმორწმუნეობა და ხატები)“; „ფშაველები (ეთ-  
ნოგრაფიული მასალა)“, „ფშაველების ამოდ-მორწმუნეობანი“;  
„ხევსურები (ზოგადი შენიშვნები)“; „ხევსურული ქორწილი“  
და სხვა. ეს პუბლიკაციები არის კარგი მაგალითი იმისა, თუ  
რამდენად ღრმად იცნობს ვაჟა-ფშაველა ფშავ-ხევსურეთის ყო-  
ფას, დიალექტს. სწორედ რომ დიალექტოლოგის სიზუსტით  
არის ამ ტექსტებში ფშაური და ხევსურული მეტყველება ჩა-  
წერილი. ამას თუნდაც იმიტომ შევნიშნავთ, რომ თუ მხატ-  
ვრულ პროზაში ყველა ტიპის დიალექტიზმები ვერ იჩენს  
თავს, ეს იმის მაუწყებელია, რომ ვაჟა კარგად გრძნობს დია-  
ლექტიზმების მხატვრულ ფუნქციას და მხატვრულ ტექსტს  
არ ტვირთავს „ზედმეტი“ ენობრივი თავისებურებებით... გავი-  
ძეორებ ზემოთქმულს: პუბლიცისტურ წერილებში **შაქდლო**  
ტიპის ფორმები გვხვდება გზადაგზა **შეედლო** ტიპის ფორმათა  
გვერდით. ეს **შაე** ვარიანტი პროზაულ ნაწარმოებთა უმეტესო-  
ბაშიც გამოკრთება... ეს ცალკე მოვლენაა... ეს პროზასა და  
პუბლიცისტიკაში არ უნდა განვიხილოთ სხვა დიალექტიზმთა  
ტოლფასად, თუმიცა აუცილებელია ამ ფაქტს ახსნა მიეცეს...

\* \* \*

ვაჟა-ფშაველას აქვს რამდენიმე დრამატული ნაწარმოები.  
მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია „მოკვეთილი“. ამ დრამასაც,  
როგორც მოთხრობათა ერთ ნაწილს, აქვს მინაწერი „ფშაველ-  
თა ცხოვრებიდამ“. ისევე, როგორც ამ ტიპის („ფშაველთ

ცხოვრებიდამ)“ მოთხრობებში, დიალექტიზმებს ამ დრამაშიც გამოიყენებს და საკმაოდ მრავალფეროვნად, თუმცა ზომიერად... არის მონოლოგები, სადაც არ შეგვხვდება დიალექტური ფორმა.

დრამაში პირველი ოთხი მოქმედება ფშავში ვითარდება, მეხუთე – ქისტეთში. ფშაური დიალექტიზმები ჩვეულებრივ 1-4 მოქმედებაშია. V მოქმედებაში – ქისტეთში – პირველ გამოსვლაში ბახა და დედამისი ჯავარა საუბრობენ; ორადორი დიალექტიზმი (მამკლა და შამობინდდება. – ბახა ამბობს), მომდევნო ოთხ გამოსვლაში (ქისტები, ბახა, ჯავარა, ფშავლები) სულ ხუთიოდე შემთხვევაა შა- ზმნისწინის ხმარებისა...

მეოთხე მოქმედებაში რაჭველი მესაზანდრე შემოჰყავს ავტორს. „**დაუკარ, დაუკარ**“ – მიმართავენ ფშაველნი; „**ქვე რავა არ დოუკრავ**, თუ იცეკვებ“, – უპასუხებს მესაზანდრე. რაჭული დიალექტიზმის გამოყენება ამ შემთხვევაში სხვა ელფერს სძენს საუბარს... გრძნობს ამას ვაჟა და ამიტომაც გაუჩრევს ამ ფრაზას...

ფაქტია, ვაჟა-ფშაველა „მოკვეთილში“ მიზანმიმართულად, დიდი მხატვრული გააზრებითა და ზომიერებით გამოიყენებს დიალექტიზმებს. თითქოსდა მოულოდნელი იყო V მოქმედებაში რამდენიმე დიალექტიზმი, მაგრამ შა-ს თაობაზე ზემოთაც ვისაუბრეთ, იგი საგანგებო შემთხვევაა.

\* \* \*

რაც შეეხება „ტყის კომედიას“, ორმოქმედებიანი პიესაა. ამ პიესაში, ისევე როგორც ამგვარი თემატიკის პროზაში („ჩხიკვათა ქორწილი“, „სათაგური“, „მელია სეფერენია“, „ბუნების მგოსნები“...), ჩვეულებრივ სალიტერატურო ქართულით „მეტყველებენ“ პერსონაჟები; აქაც დასტურდება ორიოდე დიალექტიზმი – ისევ შა- ზმნისწინი (შამრჩა, შაიგულებდა, შაირგეთ, შაგეწიოთ) და ერთი სხვა (გავიყრინებთ)... სულ ესაა...

\* \* \*

დრამატულ ნაწარმოებთაგან სამი არის – „სცენები“ (ტ. VII): „სცენა მთაში (ხევსურების ცხოვრებილამ)“, „სცენები (ფშავლების ცხოვრებილამ)“ და „სცენები (სცენა ხევსურეთში)“.

სამივე ეს ნაწარმოები გამოქვეყნდა 1889 წელს „ივერიაში“.

„სცენებში“ ავტორისეული ვრცელი რემარკები გამართული ქართულით იწერება; დიალოგები – თითქმის მხოლოდ დიალექტზე; ლამის ეთნოგრაფიულ წერილებში რომ ხევსურს ან ფშაველს მოათხრობინებს ამბავს, იმგვარად... მაგალითად, „სცენა მთაში“ ასე იწყება:

ა ბ ი კ ა. რა ხელ გეძინა, მამასწვერაგ?

მ ა მ ა ს წ ვ ე რ ა. ქვე რა მეძინა, სიზმართ ქვე გადამლახეს.

ა ბ ი კ ა. რა ღნახე, ქვე რა იყვა აგეთაი?“...

„სცენები (სცენა ხევსურეთში)“

ა ბ ი კ ა. (გიგოს მიესალმება) გიგოიც აღღენგრძელას ღმერთმა! მახვედ მშვიდობით, გიგო!... რაგორ ხარ, გიგო, რაგორ ღბმანდები, რაგორ შაექცევი? კაცით, საქონით, ხო არა გიჭირს?

უ შ ი შ ა და ს ხ ვ ა ნ ი მ რ ა ვ ა ლ ნ ი ხ ე ვ ს უ რ ნ ი. (გიგოს) გიგოიც აღღენგრძელას ღმერთმა!... საისკად მიღბმანდები ეხლადა?

გ ი გ ო. გაგიმარჯოსთ!... მოვედი აქ, ხევსურეთში, თქვენთან“...

აღარ გავაგრძელებთ. მიზანი ავტორისა ამ სცენებში ნათელია – რაც შეიძლება ენობრივად ზუსტად იმ გარემოში გვაძელოს... ვფიქრობთ, კარგად არის დაჭერილი ყველა ის ძირითადი თავისებურება, რაც ფშავ-ხევსურულ დიალექტებს აქვს. როცა ვსაუბრობთ ვაჟა-ფშაველას დამოკიდებულებაზე

დიალექტიზმების მიმართ, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ დრამატურგიას.

ფაქტობრივ, ამ საკმაოდ მცირე ნაწილში მისი შემოქმედებისა, რასაც დრამატურგია ჰქვია, სამი ვარიანტი გამოიკვეთა დიალექტიზმების გამოყენების თვალსაზრისით: „მოკვეთილი“, რომელიც დიალექტიზმების გამოყენების პრინციპით ახლოსაა იმ პროზაულ ნაწარმოებებთან, რომლებშიც ფშაური ყოფაა აღწერილი; მეორე – „ტყის კომედია“ – რომელიც ენობრივად ახლოსაა ვაჟას საბავშვო და ბუნების თემატიკის ამსახველ მოთხრობებთან და ზოგიც სხვა... და, მესამე, „სცენები“ – რომლებით უახლოვდება ეთნოგრაფიულ წერილებში წარმოდგენილ დიალექტურ ჩანაწერებს, თხრობას...

ყოველივე ეს უფრო ღრმა და საფუძვლიანი კვლევის საგანი უნდა გახდეს...

### გ) დიალექტიზმების შესახებ პოეზიის ენაში (ლექსები)

არაერთხელ გავიმეორეთ – ვაჟა-ფშაველას სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე გაჩნდა აზრი, რომ **ვაჟა პროზას სანიმუშო ქართულით წერდა, პოეზიას – ფშაურ** (ფშავ-ხევსურულ) **დიალექტზე**. გავიხსენოთ პირველივე კრიტიკოსის პ. მირიანაშვილის შეფასება: „ენა მეტად აჭრელდა და ქიზიყური პროზისა და **ფშაურის პოეზიის მოვლინებამ** ხომ მთლად **არია ენის ტაძარი**“ (1888 წელია!)...

რას ნიშნავს ფშავ-ხევსურულ დიალექტზე ლექსებისა და პოემების წერა? – ამის ნიმუშად ორიოდ მაგალითს მოვიყვან ხალხური პოეზიიდან:

**ფშაური** (ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, 1961):

**სიკვდილმ თქვა...**

„სიკვდილმ თქვა: ზღვა-ზღვა წამოველ,

ზღვა ჩქეფით შამოვიარე,

შაკაკაზმე ჩემი ლურჯაი  
ხმელეთ სულ შამოვიარე,  
გადმაუხედენ ფშაველთა,  
ყოოდეს როგორც იანი,  
ჩაველირე და ვერ ჩაველ,  
ხატი ჰყოლიყო ძრიალი,  
შორს გზაზე ამამეგება,  
შავარდენივით მხრიანი.  
გადმაუხედენ ხევსურთა;  
შაენ იყვნეს როგორც ჭიანი,  
ჩაველ და ისე ჩავთიბე,  
როგორც ნალევმა თივანი.  
ბევრს კარი გამოუჯარე,  
ბევრისა ისევ ძლე არი,  
ბევრისა დედა ვატირე  
ბევრისა ცოლი თმიანი,  
ბევრისა თოფი შავკიდე  
სიათა პირკომლიანი,  
ბევრისა ხმალი დავაგდე  
ფრანგული, ფხასისხლიანი,  
ბევრისა ქალი გავწირე  
კალათა, ჩხირ-წინდიანი“

**ხევსურული** (ა. შანიძე, ქართული ხალხური პოე-  
ზია, I, ხევსურული, 1931).

### **ხოლმე და მეთქი**

„სალექსოდ, ჯურჯიაულო, გამაგიჩინდეს ზნენია.  
დღე-მუდამ ნაჭრევიანო, ღმერთმ გაგაყოლნას დღენია!  
მასწირენ შვიდის წლისამა თავის სამშობლოს კლდენია,  
ციხენი სიპერდიანნი, არხვატის სიმაგრენია,  
სახლნი ქვიტკირად ნაგებნი, ეყარნეს არყის ხენია.  
სრუ კვამლად არშავიანნი, ყმაწვილნიც ომის მქნელნია,

მკართა სძეს შავებ რკინები, კორცს ჭამენ, სისხლის  
მსმელნია,  
მკარზე ნაქონნი წრიაპნი, ისენიც ნადირთ მტერნია.  
მე კი ჩამავე კახეთა, კლდეთ მაგიერა ხენია.  
აქ სახელ-სირცხვილს რა უნდა? წინილგე კახის ძენია.  
„ხოლმე“ და „მეთქი“ სიტყვანი სათქმელად  
საკვირველნია;  
ზოგს ხფარავ, ზოგსა არ ხფარავ ფართლის პერანგის  
ძველია...“  
ესაა ფშაურად და ხევსურულად „დაწერილი“ ლექსები.

როცა ვაჟა-ფშაველაზე საუბრობენ, ჩვეულებრივ კონკრეტულად „ფშავე-ხევსურულზე დაწერილი“ ლექსებს არ ასახელებენ... გიორგი ცოცანიძე ამგვარ ლექსებზე როცა საუბრობს, „**მწყემსის ანდერძს**“ მოიყვანს მაგალითად. ჩვენ სრულად წარმოვადგენთ ამ ლექსს:

„თქვენნიც თვალნ დამიტირებენ,  
სწორებო, გენაცვლენითა,  
ნეტავი მენა, თუ მიწა  
მელირსა თქვენის ხელითა!...  
აქ ნუ გასწირავთ, წამილეთ,  
ჩემს ადგილს მიმაბარეთა;  
გზა-გზა ქურდულად მავლიეთ,  
ნაბადი წამაფარეთა;  
ჩემ მამა-პაპათ გვერდითა  
სამარე გამითხარეთა;  
სიცოცხლით ჩამწარებული  
მკვდარ მაინც გამახარეთა.  
დამცქერდეს დიეელის გორი,  
ინოს მთა ჭიუხიანი,

ყინჩად ნალრანტი აქა-იქ,  
ზეგები შალდაყიანი.  
ზმალიც თან ჩამაყოლოდით,  
ჩემი ფრანგული ფხიანი.  
ქალს, თვალ შალშავას უთხროდით,  
მალე მაიჭრას თმანია,  
შავეთში კელაპტრად მინდან,  
რო გავიკვლიო გზანია.

ზომ იცით, უთვისტომო ვარ,  
მამგონე არა მრჩებაო;  
ვინ აიტკივებს ჩემთვის თავს,  
დღეში ათასი კვდებაო!

ჩემ სარჩო-საბადებელი  
მიმირთვით თამარ-ნეფესა.  
გენაცვლეთ, ნუ მამიმშიებთ  
ბროლას, თეოზე მყეფარსა.

რო შაიყარნეთ ციხე-გორს,  
ან ლამარს დავლათიანსა,  
ფშავლებო, მამიგონოდით,  
დიდას არ მოგცემთ ზიანსა“.

თითქოსდა მოსალოდნელი იყო, II სტროფში ზმნები მი-  
მაბარეთა, წამაფარეთა, გამითხრეთა თხოვნით-წაქეზებითის  
ფორმით ყოფილიყო (მიმაბაროდით, წამაფაროდით, გამითხა-  
როდით), მსგავსად მომდევნო სტროფისა – ჩამაყოლოდით,  
უთხროდით... („ფშაურად წერის“ „წესი“ ამას მოითხოვდა...)...

შეიძლება არაერთი სხვა მაგალითის მოყვანა, თუმიცა  
ვერ ვიტყვით, რომ ეს ლექსები „ფშაურად არის დაწერილი“...

ეს ერთ-ერთი იმ ლექსთაგანია, რომლის „ლირიკული  
გმირი ფშაველია“... ამგვარი ლექსები ვაჟას შემოქმედებაში  
მრავლადაა, თუმიცა ფშაური დიალექტიზმები „ასე ჭარბად“,  
როგორც ამ ლექსშია, არ გვხვდება. მაგალითად, ცნობილ

ლექსში „ფშაველი ჯარისკაცის წერილი“ პირველივე სტრიქონშივე გვხვდება დიალექტური ფორმა:

„გულ-მკერდიმც აგყოვდება  
დეღაო ია-ვარდითა“...

შემდგომ ამ ვრცელ ლექსში ერთი ფორმაა მხოლოდ „ფშაური“ „მაგიცვალოს“, თუმცა შა- ფორმა ზმნისწინისა გვხვდება პროზაშიც და პუბლიცისტიკაშიც...

ან თუნდაც კლასიკური ლექსი „არაგვს“ –

„დაწუხებულმა, არაგვო, რო გნახე, გავიხარე“...

ამ ვრცელ ლექსში ორიოდ ფორმაა შა- და შა- ზმნისწინიანი და „აყოვდებიან“... გ. ცოცანიძე განმარტავს, რომ „სიტყვამ „დაწუხებულმა“ გადასტყორცნა მკითხველი ფშავის არაგვის ხეობაში“... ანუ: იმ კრიტიკოსთა აზრით, აქცია ლექსი „ფშაურად“...

ისევ კლასიკა: „ღამე მთაში“ –

„დაღამდა, წვრილნი ვარსკვლავნი

აყვავდნენ, დასხდნენ ცაზედა,

მთვარე კი ჯერ არსადა ჩანს,

არ დაგვნათოის თავზედა“...

კვლავ გ. ცოცანიძის კომენტარს მოვიშველიებ: „თავიდანვე იტვირთება ლექსი შინაგანი ენერგიით, რაშიც მნიშვნელოვან როლს სიტყვაფორმა „დაგვნათოის“ ასრულებს“... ამ ლექსშიც ერთგან არის მხოლოდ შა- ზმნისწინიანი ფორმა (შაუწონია)...

ძალიან საინტერესოა, პირველივე სტროფში გაელვებული დიალექტური სიტყვა-ფორმა და მთლიანი ლექსის განწყობა... „ამ ლექსების ენა თუმც სალიტერატუროა, კილოა მთური, გნებავთ ფშაური, ამ სიტყვის პოეტიკური და არა ლინგვისტური გაგებით. მათში აქა-იქ გამოკრთება დიდი ოსტატობით ნახმარი არალიტერატურული ფორმები, რის ძალითაც იხატება მთური პოეტური გარემო, ლექსი მთის სურნე-

ლებას დაიკრავს“. – არ შეიძლება არ დავეთანხმოთ გიორგი ცოცანიძის ამ აზრს.

აქ შეიძლება ისიც გავიხსენოთ, რ. ერისთავის „**სამშობლო ხევსურისა**“ თუ „**ზამთარი**“, „მთის კილოთი“ ნაწერ ლექსებად რომ განიხილება და ვაჟა-ფშაველა რომ განასხვავებს „ფშაური ლექსის კილოსა“ და „ფშაური მეტყველების კილოს“... ეს ლექსები „ფშაურ კილოზე“ დაწერილი... საერთოდ კი, ვაჟა-ფშაველას ლექსების დაჯგუფება-გადაჯგუფება მასში დიალექტური ფორმების გამოყენება-არაგამოყენების თვალსაზრისით საკმაოდ სარისკო საქმეა... არადა, ვაჟას მდიდარი პოეზია ამის შესაძლებლობას იძლევა... მკითხველს გავანდობ: ამ თვალსაზრისით ძალიან საინტერესოდ გვეჩვენება ჩვენ მიერ უკვე დამოწმებული ნაშრომი გიორგი ცოცანიძისა („კვლავ დიალექტიზმების საკითხისათვის ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში“: ვაჟა-ფშაველა – 150. საიუბილეო კრებული, 2011). ამ მცირე მოცულობის წერილში ბევრი საგულისხმო აზრია... ერთი კი მთავარი: „რომ **სათავეშივე მცდარი იყო დებულება, ვაჟა-ფშაველა ფშაურად წერსო**“, თუმცა ფაქტია, რომ „**ვაჟას სამწერლო ენას, მის ინდივიდუალურ სტილს, სალიტერატურო ქართულის უწყვეტ ტრადიციასთან ერთად კვებავს ფშაური დიალექტური მეტყველებაც**“...

ფშავ-ხევსურული ხალხური ლექსების გახსენება, ვაჟას ლექსების ამ კუთხით გაცნობა ამ საინტერესო დაკვირვებას ჭეშმარიტებად მიგვაჩნევენებს...

როგორც ლექსების შემთხვევაში, ასევე არაერთგვაროვანია ვაჟა-ფშაველას პოემების ენაც... ვფიქრობთ, აქ მეტი სისტემურობა და მეტი კანონზომიერებაა... თუმცა ამის თქმაც პირობითია (ლექსებსაც, როგორც ჩანს, თავისი კანონზომიერება აქვს...)... შეიძლება ერთი შეხედვით ჩანს ასე... სხვა სხვაგვარად დაინახავს... მაინც ვცდით, ორიოდე სიტყვის თქმას...

დ) დიალექტიზმების შესახებ პოეზიის ენაში  
(პოემები)

ანა კალანდაძე როცა თავისი განმაურებული „ფშაური ციკლის“ შესახებ საუბრობს, წერს – „სათქმელი ხშირად „თვითონ მოძებნის“ თავის გამოხატვის ფორმას, თვითონ „გიკარნახებთ“, რა ფორმით სურს განსხეულება“... სხვაგან წერს: „ვერ გადმოსცემს ეს ნათქვამი იმ განწყობილებას, რაიც მაშინ „მკარნახობდა“ ამ სტრიქონებს“... და ასეთ კითხვასაც სვამს: „საინტერესოა, რას უნდა მიეწეროს ის, რომ ფშავ-ხევსურული პოეზიის ნიმუშების კითხვისას მსახიობთა უძრავლესობა უთუოდ უქცევს ამ კუთხის დიალექტზე? ხომ არაა ეს ის, რაცას გარემოს კარნახი შეიძლება ეწოდოს“...

ანა კალანდაძის „გაკვეთილებზე“ ნარკვევის ბოლოს ვისაუბრებ... ახლა ამას მივაქცევ ყურადღებას, რასაც კლასიკოსი პოეტი გარემოს კარნახს უწოდებს...

ეს პრინციპი, გარემოს კარნახის პრინციპი, უმთავრესი მგონია ვაჟა-ფშაველას პოემებზე საუბრისას. მე ენობრივი სამყარო მაინტერესებს...

როცა ვაჟა-ფშაველას ენაზე ვსაუბრობთ, პოეზია, ზოგადად, და პოემები, კერძოდ, ცალკე განხილვის თემა უნდა იყოს. საერთოდ მის შემოქმედებაში პოემების ხვედრითი წილი, მისი ფასი და მნიშვნელობა ვაჟასთვის – როგორც შემოქმედისათვის – განსაკუთრებული მნიშვნელობისაა...

შესაბამისად, ენობრივი თვალსაზრისით აქ ძალიან მნიშვნელოვანი ვითარებაა, ... ყველასაგან განსხვავებული...

\* \* \*

დიალექტიზმებთან დაკავშირებით ვაჟა-ფშაველას პოემებში სხვადასხვაგვარია ავტორის პოზიცია, ერთი მხრივ, შეიძლება განვიხილოთ „სტუმარ-მასპინძელი“ და კიდევ არაერთი პოემა... სადაც „გარემოს კარნახის“ პრინციპით დიალექტიზმე-

ბის გამოყენება ფაქტობრივ არ ხდება. დიალექტურ ფორმათაგან პოემაში შა- ზმნისწინი დასტურდება, ისიც არა ყოველთვის. სტატისტიკა ასეთია: სულ პოემაში 58-ჯერ არის შე- ზმნისწინიანი ზმნა გამოყენებული. მათგან 21 არის შა- ვარიანტით (შამაფეთა, შაჰრცხვეს, შაიბა, შასწირონ, შაგკონავთ, შაეწირები, შაიძლება და სხვა). 37 შემთხვევაში შე- ვარიანტია წარმოდგენილი (შეჰხედა, შესცქერის, შეატყობინა, შემოუძახა, შეფიქრდა, შეუკრეს და სხვ). საინტერესოა ისიც, რომ შა- ვარიანტს გამოიყენებს ერთი მხრივ ავტორი, მეორე მხრივ – პერსონაჟები (ჯოყოლა, მუსა, ალაზა, ქისტები...). ამ საკმაოდ ვრცელ პოემაში სულ ორიოდე დიალექტიზმია სხვა სახის (მაუდის, მოგიჭრავ, გაუყიდავ)... სულ ესაა.

შა- ვარიანტი ზმნისწინისა არ ჩანს შემთხვევითი. შენიშვნებიდან ირკვევა, რომ ორ შემთხვევაში ხელნაწერის ა ხმოვნისანი ვარიანტი ნაბეჭდში ჩასწორებულია ე ხმოვნისანი ვარიანტით: შაუკრეს > შეუკრეს, ხელ-ფეხ შაკრული > ხელ-ფეხ-შეკრული; ხოლო ექვს შემთხვევაში ხელნაწერის ე ხმოვნისანი ვარიანტი ნაბეჭდში შეცვლილია ა ხმოვნისანი ვარიანტით:

შემეფეთე > შამეფეთე

შემოეფინა > შამოეფინა

წარბშეუხრელად > წარბშაუხრელად

შეწირულია > შაეწირება

შეუხსნეს > შაუხსნეს

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ შა- ვარიანტი ზმნისწინისა გვხვდება პუბლიცისტურ წერილებშიც, შეიძლება ითქვას, რომ „სტუმარ-მასპინძელში“ დიალექტიზმების მხატვრულ-ესთეტიკური თვალსაზრისით გამოყენება არ ხდება... „სტუმარ-მასპინძელში“, შეიძლება ითქვას, რომ ენობრივი თვალსაზრისით „გარემოს კარნახის“ საკითხი ასე ღვას: გარემო ამ შემთხვევაში „უკარნახებს“, რომ, როგორც ვაჟა იტყოდა, „ჩვენებურის მთის კილოთი“ არ „ეწერება“...

პოემის მოქმედება ქისტეთში ხდება... „გარემო ჩვენებურის მთის კილოთი“ საუბარს ვერ უკარნახებდა...

„სტუმარ-მასპინძლის“ ტიპის პოემებია „სისხლის ძიება“, „ახუნდი“ და სხვა... დიახ, არაერთია ისეთი პოემა, რომელიც „ჩვენებურის მთის კილოთი“ არ იწერება...

ის განწყობა, რომ გარემო არაა „ჩვენებური“, პირველივე სტრიქონიდან გვექმნება:

„მოსჩანს ქისტეთის მიდამო  
სალის კლდეების ტახტითა“...

და სწორედ ეს ვითარება „უკარნახებს“ ამგვარ დამოკიდებულებას ენობრივი ფაქტისადმი...

\* \* \*

ვაჟა-ფშაველას პოემა „გიგლია“ ასე იწყება:

„პურა შაჭამე ნუ სჩქარობ,  
შვილო, სილაღევ დედისა,  
ჯერ ვერ-ოთ გადაავლიეს  
კიდეგ მათსწრობ მთებისა“...

გიგლიასა და მისი დედის საუბარში ფშაური დიალექტიზმები საკმაოდ ჭარბადაა ნახმარი:

„შენ არ მაუკვდე დედასა“...  
„სხვა მე აქ არვინ მინახავ“...  
„ცხენზეით არ ჩამამხდარა“...  
„მე სალეკოს კარ შაუკრავ“...  
„უთხროდი თოფი დაჰკროდეს“...  
„შორი გზა მაქვის სავალი“...  
„სირცხვილი არის კაცისად“...  
„ახადი ლეკებს აუკლავ“...  
„იმ ძალთი ძალლი სარდალი“...  
„ძალა მაიეც მუხლშია“...  
„მალი-მალ გამაჰხედნებენ“...  
„როგორც ცით ელვა მოარდა“...

„ტოტ დასცის, დაიჭიხვინის“...

„მოთქომი სიტყვის მწარისა“...

„გულს უწყევავ ხმალი, ფარია“...

მე აქ თითო მაგალითი მოვიყვანე სხვადასხვა ტიპის დი-ალექტიზმებისა. პერსონაჟები ფშავლები არიან... საინტერესო ისაა, რომ ამ შემთხვევაში, ამ გარემოში, ავტორიც ფშაველია და ავტორისა და პერსონაჟის მეტყველებაში ამ მხრივ სხვაობა არ არის.

თუ გავიხსენებთ პროზას, იქ ავტორისეული (ვაჟა-ფშაველასეული) მეტყველება და პერსონაჟისეული მეტყველება მკვეთრად სხვაობდა. დიალექტიზმები დამახასიათებელი პერსონაჟთა მეტყველებისათვის იყო. პოემებში ასე არ არის: „სტუმარ-მასპინძელშიც“ ასე იყო – ავტორის ქართული და პერსონაჟთა ქართული არ სხვაობს...

ასეა „გიგლიაშიც“: ფშაურისათვის დამახასიათებელი ფორმები ერთნაირადაა დამახასიათებელი როგორც პერსონაჟთათვის, ისე ავტორისათვის; როგორც ვთქვით, ავტორიც „პერსონაჟია“... გავხზავთ: ესაა არსებითი, პრინციპული განსხვავება ვაჟა-ფშაველას პროზასა და პოეზიას შორის!

\* \* \*

ასეთივე ვითარებაა პოემაში „გოგოთურ და აფშინა“. პირველივე სტროფიდანვე ვაჟა-ფშაველა ფშაურ გარემოში შეგვიყვანს და ამ „გარემოს კარნახით“ იწერება მთელი პოემა...

პოემაში სამი პერსონაჟია – გოგოთური, აფშინა და გოგოთურის ცოლი. ყველა მათგანი ფშავ-ხევსურულის „გარემოს კარნახით“ საუბრობს და არის კიდევ ერთი „პერსონაჟი“ – ავტორი:

„თანაც იტყვიან: გოგოთურს ჯანით ვერ შეადრებაო“...

„რამდენჯერ მარტომ შაბერტყის“...

„არავის ახსოვს, ფშავშია ხმამაღლა ასძრახდომოდეს“...

„ჩამაუჯდება კერასა“...

„წაიტყვის უგვან სიტყვასა“...

„ახლად ყოოდენ იანი“...

„ხმალს მიაწვადა ხელია“...

„ზენაით მეორე მოჩანს“...

„ცხვრის თავები ჰყრავ ყორედა“... – ეს ავტორია – ვა-  
ჟა-ფშაველა.

**გოგოთური:**

„მამეხიბლება გუნება“...

„არა-დ ვიქნითო ცელია“...

„რატუ არ იტყვი იმასა“...

„ფშავით მოიდეს ლაშქარი“...

„ჯერ არ-ოთ არი ბერიო“...

„ნეხვი არა ვარ მოსული“...

„თუ მართლა აფშინაი ხარ“...

„ქუდმოხდილს ქვეყნად ნუ მავლევ“...

„მაშ მიგქონ ჩემნ იარაღნი,

კიდევ არ შაირცხვინია?“...

„კაცისად იარაღისა აყრა“...

„გწყალობდეს, ძმისავ, ხატია“...

**აფშინა:**

„იარად მამცენ, ფშაველო,

რად გი, არ იცი ხმარება“...

„ჩქარა შაინხენ ხმალია,

სიათაც გადმამაწვდინე“...

„თუ არა, ბევრად მირჩევნავ“...

„ეხლა სჯობს სახჩი ვიძალო“...

„აფშინას ვერ შეაწონვი“...

„ვინც ხვალ პირველად მოიდეს!“... და მისთანანი

**გოგოთურის ცოლი:**

„აბა, დაჰკვლიე, უტირნავ,

ცრემლი აქვ პირზე მცვრეული“...

„ამბობენ აფშინაის ცხენს“...

„ლაშქრობით რა მოგიტანავ“...

„თუ სარჩოც არა ჰხვეტია“...

ამ პოემაში „ფშავის გარემოში“ ვართ; ფშაური „გარემოს კარნახით“ იწერება... პოემის ავტორიც მისი გმირების გვერდითაა და ისიც ამ „კარნახს“ ემორჩილება...

\* \* \*

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში დიალექტური გარემოს წარმოჩენის კლასიკური მაგალითია „ალუდა ქეთელაური“. პოემას მინაწერი აქვს – „ხევსურეთის ცხოვრებიდამ“. ამ მინაწერით პოეტმა უკვე გვიმეგზურა ხევსურულ გარემოში. თუმცა პირველივე სტროფებიც ამ მიზანს ემსახურება:

„მაცნე მოიდა შატილსა“...

და აქედან მოყოლებული ავტორი თავადაც ხევსურული გარემოს წარმომადგენელია და ამ „გარემოს კარნახით“ მეტყველებს:

„ალუდა ქეთელაური,

კაცია დავლათიანი,

საფიხენოს თავში დავდების

სიტყვა მაუდის ფხიანი

**ცუდას** რად უნდა მტერობა,

კარგია მუდამ მტრიანი!...

ქისტებს წაუსხამ ცხენები,

**ალუდაისიც ფთიანი**

**გუმან აქვ, გადაავლიონ**

არხოტის თავი მთიანი.

**გადაბერტყინონ** ნალითა

ქუჩი მთებისა, ცვრიანი“...

გეოგრაფიული გარემო, ლექსიკაც და გრამატიკაც ხევსურული სამყაროა. თავად ავტორიც „ხევსურულად უქცევს“:

„ეს რო ალუდამ გაიგო,  
თოფს დაუპირა ტალიო  
აისხა იარაღები,

**გააფხავიდის** ხმალიო;  
**გაუშინჯიდის** ვადანი  
ხმალს არ **მაუტყდეს** ტარიო“...

ზემოთაც ვთქვით, **გააფხავიდის, გაუშინჯიდის** ხევესურული ფორმების ილუზიაა. ფშაველი ასე არ იტყვის... სხვა (**რო, ვადანი, მაუტყდეს**) ფშავ-ხევესურულია...

დასაწყისი პოემისა ენობრივად სწორედ იმ მიზანს ემსახურება, რომ ხევესურულ გარემოში გადაგვასახლოს და თავისი გმირების ცხოვრებით გვაცხოვროს...

„ალუდა ქეთელაური“ ერთ-ერთი იმ პოემათაგანია, რომელიც როგორც თემატურ-პოეტური თვალსაზრისით, ისე ენობრივად კლასიკური პოემაა...

თუ „სტუმარ-მასპინძელში“ ქისტების მეტყველებას ფშავ-ხევესურულთან საერთო არა აქვს რა, აქ მუცალის „ქართული“ ისეთივეა, როგორც ავტორისა, ალუდასი თუ სხვათა:

**მუცალი:**

„არა **გჭირსაა**, რჯულ-ძაღლო?!“...

„არ **მოგხვდაუა**“...

„ნამტვრევს **მაშლიდა** კლდისასა“...

„იმაც ხო **მამიკალ**, მეც **მამკალ**“...

**ალუდა ქეთელაური:**

„გამმარჯვედ ჯვარი **დაჰყვების**“...

„ძალს **შაახვეწებს** ღვთისასა“...

„**მოკლელავ** გადავეწივე“...

„**ორნ** იყენენ“...

„მე პურ არ მიღდა, დეღაო, გული **შამეკრა რადამე**“...

„რიგში **ვიყოდი** სადამე“...

„**მენაც** იქ ვიყავ“...

„მე-ღ იმის ბრძოლის“...  
„ჭამეო, რამამ მიძახა“...  
„ვერ გიქნავ კარგი, მინდიავ“...  
„რაად მინდარის“...  
„გამიმეტებავ მისთვისა“...  
„მოდით, მამყევით, ვიღინოთ“...

**მინდია:**

„ადვილ გავიგო მართალი“...  
„დღესავ მოგივათ მინდია“...  
„თავს აჭრეინებთ ცულითა“...  
„გული-ღ გონება ძმანია“...  
„წაიღ, მიაკარ ქავადა“...

**ხეესურები (უშიშა, ბერდია და სხვანი):**

„მოკვლე, სიკვდილი გირჩეენავ“...  
„დამბაჩა გამაადგებათ“...  
„გამუქცევიზარ ქისტიშვილს“...  
„მაჰკალ, მარჯვენა არ მასჭერ“...  
„იმასამც შეეწირება“...  
„ქისტისად საკლავის დაკვლა“...  
„პაპითა-ღ პაპის პაპითა“...  
„გადმეხრია მიწასა“...  
„საკარგემო დამალეინეთ“...

**და ავტორი – ვაჟა-ფშაველა:**

„გააფხავიდის ხმალიო; გაუშინჯიდის ვადანი“...  
„გადავარღება ცხენზეით“...  
„შამაუჭყვივლებს ქისტასა“...  
„მაჰგლეჯს, დაიფევს წყლულშია“...  
„ნისლებმ დაწირეს ხევები“...  
„სოენი არწივებს მასდევენ“...  
„ყმა მოიღოდა გორი-გორ“...

„ტახტაზე დაუკიდებავ“...  
„მეება ჭიუხიანსა“...  
„ვერავინ უყვა ავიო“...  
„პირჯვარი დაიწეროდეს“...  
„ავად შაჰხედნეს ალუდას,  
**შაუძრახნიან** ხმელადა“...  
„მატილს მინდიაც **მოილა**“...  
„ალუდას ხელი **მიართვის**“...  
„ერთხელ **მაუნდა** ალუდას“...

როგორც სხვაგან, მრავალთაგან სხვადასხვა სახის თითო-ოროლა დიალექტიზმები შევარჩიეთ...

სურათი ნათელია: პოემის დასაწყისიდან ბოლომდე („მაცნე **მოილა** მატილსა“ – „ერთი **მაისმა** შორითა მწარე ქვითინი ქალისა“) მკითხველი ხევესურულ გარემოშია და ეს განცდა უპირველესად ენობრივად იქმნება... როგორც ვთქვით, ამ „გარემოს კარნახით“ ქისტიც კი „მთის კილოზე“ უქცევს...

\* \* \*

„ხევესურული გარემოა“ „გველისმჭამელშიც“, თუმცა, თემატიკიდან (და პრობლემატიკიდან) გამომდინარე, აქ ენობრივი თვალსაზრისით „გარემოს კარნახი“ შედარებით ნაკლებია... ესეც საინტერესო პრობლემაა, როცა ვაჟა-ფშაველას ენობრივ სამყაროზე ვსაუბრობთ...

თითქმის „გოგოთურ და აფშინას“ მსგავსი ვითარებაა „ბახტრიონშიც“... ვაჟა-ფშაველას ორმოციოდე პოემა აქვს. ჩვენ რამდენიმე კლასიკური ნიმუშის შესახებ ვისაუბრებთ. ფაქტია – „სტუმარ-მასპინძლის“ „გარემო“ ენობრივად თავისებური ვერ იქნება; ასევეა, როგორც ვთქვით „სისხლის დიება“, „ახუნდი“ და სხვა... უცხო სამყაროა... იგი ვერ „უკარნახებს“ თავისებურ დიალექტურ გარემოს...

როგორც ვნახეთ, არის პოემები, რომლებიც ფშაურ დიალექტურ გარემოში გადაგვიყვანს, ფშაური „გარემოს კარნახით“ იწერება („გიგლია“, „გოგოთურ და აფშინა“, ძირითადად „ბახტრიონი“ და ბევრიც სხვა) და არის ნაწილი პოემებისა, რომლებიც ხევესურული „გარემოს კარნახით“ იწერება („ალუდა ქეთელაური“, „ძაღლიკა ხიმიკაური“...)... არის ნაწილი პოემებისა, სადაც ფაქტობრივ „გარემოს კარნახი“ არ ხდება („დაჭრილი ვეფხვი“, „მეჯლისი ლომისა“, „ნახევარწიწილა“, „მთათა ერთობა“ და სხვა...).

ვაჟა-ფშაველას პოემები ამ თვალსაზრისით უაღრესად საინტერესო და მრავალფეროვან მასალას იძლევა... და თავის მკვლევარს ელის...

ერთ საინტერესო ფაქტს მივაპყრობთ ყურადღებას:

როგორც ვნახეთ, დიალექტიზმების გამოყენების თვალსაზრისით ერთნაირი ვითარებაა პროზასა და პოეზიაში. პოემებშიც ის დიალექტიზმები გამოიყენება, რაც პროზაში. ვიმეორებთ, არის ერთი არსებითი ხასიათის სხვაობა: **პროზაში ვაჟა-ფშაველა ცალკეა და პერსონაჟები – ცალკე;** ვაჟა სალიტერატურო ქართულით მეტყველებს; პერსონაჟები მიმართავენ დიალექტიზმებს (XIX ს-ის ტრადიციული „წესის“ მიხედვით)...

პოემებში ასეა: **ვაჟაც და პერსონაჟებიც ერთნაირად მეტყველებენ;** ვაჟაც „პერსონაჟია“ და მრავალი პოემა „გარემოს კარნახით“ იწერება... ასეა ლექსებშიც: ფშაველი ჯარისკაცი იქნება („ფშაველი ჯარისკაცის წერილი“) თუ პოეტი, როგორც ლირიკული გმირი (მაგალითად „არაგვს“), ერთნაირ „გავლენას განიცდის“ „გარემოსაგან“...

აი, სწორედ ეს ეუცხოებათ კრიტიკოსებს; ამიტომაც, რომ პროზა არ იწვევს მათს გულისწყრომას (ვიძეორებთ, აქ ვაჟასთან ისეთივე ვითარებაა, როგორც მის თანამედროვე მწერლებთან – პროზაიკოსებთან), მეტიც, პროზა ვაჟას, რო-

გორც პოეტის, საწინააღმდეგოდ მოჰყავთ... ვაჟა ვაჟას წინააღმდეგ...

ბევრი რამის თქმა შეიძლება ვაჟა-ფშაველას ენის შესახებ; ვაჟა, როგორც ენობრივი მოვლენა ქართულ მწერლობაში, ჩვენი ღრმა რწმენით, ყველაზე მდიდარი, ყველაზე მრავალფეროვანი, ყველაზე ღრმა ფენომენია... როგორც ითქვა, „ვაჟა, როგორც ენობრივი მოვლენა, დღესაც შეუსწავლელია“... ვაჟა-ფშაველა ამ მხრივაც, „მომავლის პოეტია“...

ჩვენი ამ საკმაოდ ვრცელი და, ალბათ, ბევრისთვის სადავო ნარკვევის „ერთგვარ რეზიუმედ“ წარმოვადგენთ მომდევნო პარაგრაფს – „ანა კალანდაძის გაკვეთილები“... სადავო, ვფიქრობთ, ეს იქნება, თუ იქნება...

## 9. ანა კალანდაძის ბაკკმითილი

როცა ვაჟა-ფშაველას პოეზიის ენაზე ვსაუბრობთ, ვფიქრობ, ძალიან საინტერესოა ანა კალანდაძის აზრი ზოგადად პოეზიის ენისა და, კერძოდ, ფშაური კილოს შესახებ.

ანა კალანდაძე ერთგან წერს: „ხალხურ კილოს საგანგებოდ მივმართავ ხოლმე **კოლორიტის – ხალხურობის სურნელის შესანარჩუნებლად**... მივმართავ, ცხადია, მხოლოდ მაშინ, როცა **ლექსის თემა მითითვს** ამას. მაგალითად, ასე მოვიქეცი ფშაური ლექსების ციკლის წერისას“... ქ-ნი ანას ამ განცხადებამ შეკითხვა გამიჩინა და როცა შესაძლებლობა მომეცა, ვკითხე: „პირველი პოეტური შთაგონება“, „პირველი პოეტური სიტყვა“ თქვენს „სოფელს უკავშირდება“ (ბრჭყალებში ჩასმული ფრაზები ციტატებია ქ-ნი ანას საუბრებიდან – გ. გ.)... და რამდენადაც დავკვირვებივარ, თქვენს ლექსებში გურული დიალექტის კვალი არა ჩანს... რატომ?“

(ამ საკითხზე ვრცლად ვსაუბრობ წიგნში „ენა – ბედისწერა!“ – ფიქრები ანა კალანდაძეზე“ – თბილისი, 2019 წ.).

კითხვის არსი ნათელია: ქ-ნი ანას ლექსებში გურული დიალექტი ფაქტობრივ არ აისახა. უფრო სწორად, ლექსებში გვხვდება რამდენიმე დიალექტური ლექსიკური ერთეული:

„შემოდოდა **ჩიჩილაკებით**

ჩვენში **კალანდა**“...

„ქუდმოხდილი ქვევრი,

ღვინიანი **კობე**“...

„პაწაწინა აჭვის წყალი...

ამ **ბოგის** ქვეშ ახმიანდა“...

და თითქმის არცერთი გრამატიკული დიალექტიზში (რითაც ასე მდიდარია გურული მეტყველება). განსაკუთრებით საინტერესო ისაა, რომ ანა კალანდაძესთან სწორედ ლექსებში არ გვხვდება ასეთი დიალექტიზმები, თორემ პოეტის პროზაულ ჩანაწერებში მრავლადაა:

„რამ შეგაშინა **ნენა**, გული არ **გეიტეხო**... იმ დალოცვილმა **აგი** მაინც **რაფერ** თქვა... **ეილე**, დეილა, **ეილე**, – ერთი კაპიკია **მარა**... მთებში იმერელი ხალხი ვერ **ანავალა**, – თათრის **ნაშინება**... ეძება, ეძება და ბოლოს მიაგნო, **მარა** მარტომ ვერ **ამეიყვანა** და სოფელს გასძახა: ბაწარი **მეიტანეო**... ვერ **გეიგეს**, ეგონათ, თათარი **მევიდაო**... **გოუკვირდა**, სა **წევიდა** ეს ხალხიო... **ივენმაც** როცა **გეიგეს**, რაში იყო საქმე, **ქე დაბრუნდენ** უკან... მეზობელი სუფრიდან გურულმა კაცმა იკითხა, – **დეიწყეს იქინეც?**“...

ამ და მსგავს შემთხვევებში საკმაოდ კარგადაა დაჭერილი გურული დიალექტის თავისებურებანი...

სწორედ ამან გამიჩინა ის კითხვა: გურული დიალექტი არ არის „პოეზიის ენა“?... პროზაულ ტექსტებში ქ-ნი ანა არ უკარგავს ხიბლს გურულ მეტყველებას; რა ხდება პოეზიაში?...

ჩვენ გვახსოვს, როგორ შეხვდა წიგნიერი საზოგადოება ვაჟა-ფშაველას სამწერლო ასპარეზზე გამოსვლას, როგორ ეუცხოვათ მისი პოეზიის ენა...

ანა კალანდაძის შემთხვევაც გავიხსენოთ:

ანა კალანდაძე მსმენელის წინაშე წარდგა 1946 წელს; 1953 წელს გამოდის პოეტის პირველი კრებული... მკითხველი საზოგადოება აღტაცებულია, პარტიული ოფიციალიზი – შეშფოთებული პოეტის „სითამამით“... და აი, 1955 წელს ჟურნალ „მნათობში“ გამოქვეყნდა ანა კალანდაძის ფშაური ციკლის ლექსები; არაერთმნიშვნელოვანი აღმოჩნდა კრიტიკისა და მკითხველთა დამოკიდებულება ამ ფაქტისადმი...

ქ-ნი ანა საკმაოდ გულდაწყვეტილი საუბრობს იმის თაობაზე, თუ როგორ გამოეხმაურა „ერთი ახალგაზრდა კრიტიკოსი“ „მნათობის“ მე-11 ნომერში გამოქვეყნებულ ფშაური ციკლის ლექსებს: „**გახალხურებისაკენ, სისადავისაკენ სწრაფვას პოეტი ხალხური პოეზიისა და ვაჟას ლექსების იმიტაცია-მდე მიუყვანია**“-ო...

გავიხსენოთ: 50-იანი წლების დასაწყისიდან ვაჟა შერის-ხული იყო... და „ვაჟას ლექსების იმიტაცია“ სერიოზული ბრალდება იყო ახალგაზრდა პოეტი ქალის მიმართ...

საუბრობდნენ ანა კალანდაძის „**ფშავ-ხევსურულზე დაწერილ ლექსებზე**“... (მოგეხსენებათ, მოგვიანებით ანა კალანდაძემ გამოაქვეყნა „ხევსურული ციკლის“ ლექსებიც...).

ქ-ნი ანა სიამოვნებით აღნიშნავს, რომ „მნათობის“ რედაქტორი სიმონ ჩიქოვანი „არ ეთანხმებოდა ამ შეფასებას და, თითქოს თავისი შეხედულების დასასაბუთებლად, ჟურნალის არქივიდან გადმომცა ვეძათხველი ავტორ-მთქმელის, ალექსანდრე ქუშხველელის, ლექსი – „ანა კალანდაძეს ჟურნალ „მნათობის“ მე-11 ნომერში გამოქვეყნებული ფშაური ლექსების გამო“...

ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ქ-ნი ანა ცდილობს ახსნას, განმარტოს „ფშავ-ხევსურული ლექსების“ მოტივაცია; პოეტის პოზიცია ასეთია: „ჩემთვის სასიამოვნო ის გახლდათ, რომ უმდიდრესი ხალხური პოეზიისა და ვაჟას პოეტურ მარგალიტს ნაზიარებ მთიელ კაცს, ხალხის წიალიდან გამოსულს, სწორედ იმ კუთხის შვილს (საუბარია ალექსანდრე ქუშხველზე – გ. გ.) ჩემი სტრიქონები „ხალხური პოეზიისა და ვაჟას ლექსების იმიტაციად“ რატომღაც არ მოსჩვენებია.“ **იგი იმთავითვე ჩასწვდა ჩემს ჩანაფიქრს, „მიხვდა“, რომ „ეს ლექსები დაწერილი იყო ხალხურ კილოზე (ხაზგასმა ყველგან ჩვენია – გ. გ.), „მათი ბაღიდან“ იყო... ჩემი მიზანი ის იყო, რომ სწორედ ხალხური პოეზიის ენით შევხმიანებოდი ხალხური პოეზიის მადლცხებულ კუთხეს“...**

აქ ორ ძირითად მომენტს მივაპყრობთ ყურადღებას: ა) **ფშავი**, უფრო სწორი იქნება ვთქვათ, ფშავ-ხევსურეთი – „**ხალხური პოეზიის მადლცხებული კუთხეა**“ და ბ) **ფშაური**, უფრო ზუსტად ფშავ-ხევსურული დიალექტი – „**ხალხური პოეზიის ენა**“...

ანას ლექსების დაბეჭდვით გამოწვეული პოლემიკა ამით არ დასრულებულა, თუმცა ჩვენთვის ამჯერად მთავარი და არსებითი ქ-ნი ანას პოზიციაა; **პოზიცია**, ერთი მხრივ, **კლასიკოსი მწერლისა** და, მეორე მხრივ, **პროფესიონალი ენათმეცნიერისა!**...

ჩვენ ამ ფაქტს (**კლასიკოსი მწერალი** და **პროფესიონალი ენათმეცნიერი**) საგანგებოდ გავხაზავთ, რადგან მივიჩნევთ, რომ, ერთი მხრივ, მწერლები (ვთქვათ: ტ. ტაბიძე, კ. გამსახურდია, მ. ჯავახიშვილი, გ. აბაშიძე...) და, მეორე მხრივ, ენათმეცნიერები (შ. ძიძიგური, ი. გიგინეიშვილი, ი. ქავთარაძე...) ვაჟა-ფშაველას ენის პრობლემებზე საუბრისას ცალმხრივი, სუბიექტური პოზიციიდან ახდენენ ანალიზს; უფრო სწორი იქნებოდა თუ ვიტყოდით, თავიანთი პროფესიონალური თვალსაწიერიდან...

ასე რომ, ანა კალანდაძე – კლასიკოსი პოეტი და პროფესიონალი ენათმეცნიერი – სრულიად შეგნებულად წერს „**ხალხური პოეზიის მადლცხებულ კუთხეზე**“, „**ხალხური პოეზიის ენაზე**“...

და მაინც რატომ ამგვარად? საოცრად პოეტურია ქ-ნი ანას პასუხი – „ამას უჩვენოდაც ჩინებულად **აწესრიგებს** „ის“, რაიც **შთაგონებით გვწყვალობს!** დიას, **სათქმელი ხშირად „თვითონ მოძებნის“** თავის **გამოხატვის ფორმას**, თვითონ „**გიკარნახებთ**“, რა **ფორმით სურს განსხეულება**“...

ჩვენი აზრით, ეს არის საოცრად ზუსტი, მნიშვნელოვანი **გასაღები ვაჟა-ფშაველას ენობრივი სამყაროსი!**...

ანა კალანდაძის **გაკვეთილი** ფშავ-ხევსურული კილოსა და **პოეტური ენის** პრობლემის თაობაზე ამით არ მთავრდება.

ზემოთ ის კითხვა მოვიყვანე, ქ-ნ ანას რომ დავუსვი: „თქვენ გურიაში დაიბადეთ, როგორც წესი, „პირველი პოეტური შთაგონება“, „პირველი პოეტური სიტყვა“ თქვენს „სოფელს უკავშირდება“... და რამდენადაც დავკვირვებივარ, თქვენს ლექსებში გურული დიალექტის კვალი არ ჩანს... რატომ?“...

კითხვა ეს იყო, თუმცა ამ კითხვის დასმის საფუძველი ქ-ნი ანას ფშავ-ხევსურულმა ციკლმა მომცა.

ქ-ნ ანას კითხვა არ გაკვირვებია... პასუხი მრავლის-მთქმელია:

„თუ მკრეხელობაში არ ჩამომერთმევა, მოვიგონებ ადგილს „მგზავრის წერილებიდან“: „მართალია თუ არა ჩემი მოხვევე, მე მაგის განსჯაში არ შევალ, ან რა ჩემი საქმეა ეგა? მე გაკვრით, როგორც მგზავრი, ვინსენებ იმას, რაც მისგან გამიგონია. ჩემი ცლა მართო იმაშია, რომ იმის აზრისათვის იმისივე ფერი შემერჩია და იმის სიტყვისათვის იმისივე კილო, თუ ეს შევასრულე, ჩემი განზრახვაც შემისრულებია“...

ქ-ნი ანას პასუხი გასაგებია, თუმცა უფრო დაზუსტება და მეტი განმარტება მიიჩნია საჭიროდ: „**ფერი**“ და „**გემო**“ **ყოველ ქართულ დიალექტურ სიტყვას თავისებური, განუმეორებელი აქვს... ფშავ-ხევსურული სიტყვის „ფერი“ და „კილო“, ჩემთვის... საკმაოდ უცხო აღმოჩნდა, თანაც... „უმაღლესი პოეზიით“ გაჯერებული... თავი მთვარეზე მეგონა“...**

გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება — ანა კალანდაძე სანამ ფშავსა და ხევსურეთში იმოგზაურებდა, იმ გარემოში იცნობრებდა, ცხადია, კარგად იცნობდა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას, ხალხურ პოეზიას, მაგრამ **ფშავ-ხევსურეთის** იმ გარემოში აღქმული **ფშავ-ხევსურული** სხვა შთაბეჭდილებას ახდენს!

ქ-ნი ანა განაგრძობს: „ხალხური პოეზიის დიდებულ კუთხეს მინდოდა ისე შევხმიანებოდი, მხოლოდ — „თავის ენაზე!“ ეს ლექსები მხოლოდ ასე გახმაურდნენ ჩემში“...

ეს მსჯელობა წაუძმღვარა წინ ქ-ნმა ანამ ჩვენ მიერ გურული დიალექტის თემაზე დასმულ კითხვას: „ჩემს ლექსებში გურული დიალექტის კვალი რომ არ ჩანს, ამასთან დაკავშირებით ისევ ჩემს ნათქვამს გავიმეორებ: **„ჯერ კიდევ ბევრი რჩება ამქვეყნად ამოუხსნელი, ამოუცნობი და ამდენად – განუმარტავი!... აქ შეიძლება ზემონათქვამიც გავიმეოროთ: „მას უჩვენოდაც ჩინებულად, აწესრიგებს ის, რაიც შთაგონებით გვწყალობს!“**

ქალბატონი ანას „გაკვეთილს პოეზიის ენის“ შესახებ რეზიუმედ ისევ ქალბატონი ანას მსჯელობა შეიძლება დავურთოთ (თავისი განმეორებებითა და სიახლეებით):

„ხალხურ კილოს საგანგებოდ მივმართავ ხოლმე კოლორიტის – ხალხურობის სურნელის შესანარჩუნებლად (უხსოვარ ღროში შექმნილ პოეზიას ვგულისხმობ, ძველ ხალხურ პოეზიას და იმ **ხალხური ლექსის კილოს**); მივმართავ, ცხადია, მხოლოდ მაშინ, როცა ლექსის თემა მოითხოვს ამას, მაგალითად, ასე მოვიქცევი ფშაური ლექსების ციკლის წერისას. ისინი ფშაური ხალხური ლექსის მოტივებზეა შექმნილი, – ხალხური პოეზიის დიდებულ კუთხეს მინდოდა (უფრო სწორი იქნებოდა, თუ ვიტყვოდი, **„უნდოდა“**–მეთქი!) ასე შევხმიანებოდი, მხოლოდ **„თავის ენაზე!“** არა, **ვერ გადმოსცემს ეს ნათქვამი იმ განწყობილებას, რაიც მაშინ „მკარნახობდა“ ამ სტრიქონებს**: ეს ლექსები ასე გახმაურდნენ ჩემში მთიდან დაბრუნებისთანავე, მხოლოდ ასე მეწერებოდა!“

აქ ქ-ნი ანა ერთი საინტერესო კითხვასაც დასვამს და ამით კიდევ უფრო ნათელს ჰფენს თავის აზრს: „საინტერესოა, რას უნდა მიეწეროს ის, რომ ფშავ-ხევსურული პოეზიის კითხვისას მსახიობთა უმრავლესობა უთუოდ უქცევს ამ კუთხის დიალექტზე? ხომ არაა ეს ის, რასაც **გარემოს კარნახი შეიძლება ეწოდოს**“...

„გარემოს კარნახის“ პრინციპი უდავოდ საინტერესო და ახლებური მიდგომაა ფშავ-ხევსურული პოეზიის თემაზე საუბრისას!...

ე. ი. რა გვასწავლა ქალბატონმა ანა კალანდაძემ? მისი აზრით:

ფშავ-ხევსურული –

„ხალხური პოეზიის ენაა!“

„ხალხური ლექსის კილოა!“...

„მისი სიტყვის „ფერი“ და „კილო“... საკმაოდ უცხო აღმოჩნდა, თანაც...“ უმაღლესი პოეზიით გაჯერებული კილო“...

ფშავ-ხევსურეთი –

„ხალხური პოეზიის მადლცხებული კუთხეა“...

„ხალხური პოეზიის დიდებული კუთხეა“...

„გარემოს კარნახი“ გაიძულებს – „შეეხმიანო“ მხოლოდ „თავის ენაზე“...

– და ყოველივე ეს იძლევა თუ არა რაიმე გასაღებს ვაჟა-ფშაველას პოეზიის ენის შესახებ?

– ვფიქრობთ – უთუოდ იძლევა.

არ დავივიწყოთ მთავარი – „გარემოს კარნახის“ პრინციპი...

